# ახალი

ლიტერატურული ჟურნალი

№1, 2014

# ივანე ჯაფარიძის 70 წლის იუბილე

დიდი სიყვარულით ვულოცავთ!

სახელოვანი ქართველი მთამსვლელების შთამომავალს, დიდებული წინაპრების ღირსეულ მემკვიდრეს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს, დავით ალმაშენებლისა და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიების ლაურეატს, ქართული სპორტის, კულტურის, ემიგრაციის ამაგდარსა და ქომაგს, ჩინებულ ჟურნალისტს, მეცნიერს, პედაგოგს, არაჩვეულებრივ ადამიანს, უერთგულეს მეგობარს, ალალ-მართალ კაცს – ბატონ ივანე ჯაფარიძეს დიდი სიყვარულით ვულოცავთ დაბადებიდან 70 წელს!

ვუსურვებთ, ასეთივე შემართებით კვლავაც დიდხანს ეღვაწოს ჩვენი ერისა და ქვეყნის სასიკეთოდ!




# ანეული

**№ 1. მარტი. 2014 წელი**

## ლიტერატურული ჟურნალი



კლასიკა
შოთა ნიშნიანიძე უფალო,შეგვიწყალე! ..... 3
თითქოს დღეს დაიწერა
იოსელიანი ევდოშვილი რა ვიტაძარო? ..... 4
პრეზა
ფიქრია ყუშიტაშვილი ბიძაჩემ ოთარას სიზმარი ..... 5
ერთი ლექსი
ჯემალ შონია ეს ირემი ტყვიას უნდა გადაურჩეს! ..... 7
პრეზა
ბექა ალამაშვილი Déjà vu, როგორც არაასეთი ..... 8
პატარა ქალაქის ისტორიები ..... 10
პოეზია
ელენა ელბერ „შეგირდი“ ..... 12
ხათუნა ჩიტაძე ..... 17
ნონა ლავითია ..... 20
მაია ბოთუა არმაზიდან სამთავროში ..... 22
ერთი ლექსი
თამო ჯაფარიძე მონადირის ცოლი ვიყო ..... 28
პრეზა
ნათია ჩოსტიაშვილი ჟანგისფერი სამყურა ..... 29
მხატვრობა
გიორგი წიკლაურის ფერადოვანი სამყარო ..... 31
პრეზა
ზურაბ ჯოხაჩიძე მამაო ..... 32
ტარიელ ნამოჩაძე ბებრები ..... 34
ზურაბ პაპიაშვილი პრეზენტაცია (პიესა) ..... 36
პოეზია
ეთერ ზარიძე ..... 37
ღიტსო�ით შემკული
ივანე ჯაფარიძე მშვიდობით,დიდებულო ქალბატონო! ..... 38
ჯემბერ ჯიშკარიანი ფრაგმენტები ამერიკული დღიურიდან ..... 40
ერთი ლექსი
ჯუბა ლებელი პოეტს ..... 42
დემიუტი
ანა ბვენსაძე ..... 43
ჯიმშერ ლეკვა სულხან-საბას იგავ-არაკების წიგნის სათაურის შესახებ ..... 45
პოეზია
ვასილ ბოსტაშვილი ..... 48
მაია სერგეევაძე ელისაბედ ერისთავის მემუარებიდან ..... 50
თენგიზ უთმელიძე ქართული გენის ბრწყინვალება ..... 55
თემურ ჩალაბაშვილი მოგონებები ..... 58
ნინო ჩხიკვიშვილი საუბარი ერლომ ახვლედიანთან ..... 61
ალონსტანტინე ბაბანელი ქართული ტიპი ..... 64
რეკორდ გამაშვილი – 130 ..... 66
თარგმანი ედა ჩარსოვა ვაცლავ ჰაველი. ბიოგრაფია ..... 71
მაყვალა ბერიძანოზაშვილი ზურაბ ჯაფარიძის გახსენება ..... 76
ლინა ბარათაშვილი თამარი – მეფე, პოეტი, ქალი... ..... 81
პოეზია
თამარ შაიმერდაშვილი ..... 84

ISSN 1987-9717

ჟურნალი-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეული“

ჟურნალი „ანეულთან“ ახსებული
ლიტერატურული გაერთიანება:

თამარ მიქაძე
ლეილა ქიტოშვილი –
სახლთხუცესიშვილი
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკვიშვილი
თამაზ ხმალაძე
ივანე ჯაფარიძე
ჯუბა ლებელი
ჯუმბერ ჯიშკარიანი

მთავარი რედაქტორი

თამარ შაიშმელაშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი

სოფიო ჯაფარიძე

ლოგოს ავტორი

ბიორბი ზურებიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გოჩა სოზიაშვილი

გარეკანზე: ბიორბი ნიკლაურის ნატურმორტი „ვარდები“

რედაქციის ტელეფონი: 551 00 50 58

რედაქციის ინტერნეტფოსტა: aneuli@mail.ru

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი

## შოთა ნიშნიანიძე

# უფალო, შეგვიწყალე

უფალო, შეგვიწყალე, უფალო, შეგვიწყალე
ცოდვილნიც... უცოდველნიც... დიდებიც, პატარებიც,
ვაიმე, ქართველები შევიცვალეთ –
ბევრი ვართ ტახტრევანით და კისრით სატარები.
შინაურ-გარეულნი ერთმანეთს თაკილობენ,
ჩქარობენ, ერთმანეთი გადათელონ.
უფალო, დაიფარე გოდოლი ბაბილონის –
ვულკანზე შემდგარი საქართველო.
უფალო, შეაჩვენე სიმართლე მოსყიდული,
ამნაირ ერისკაცთა ჭერს მარიდე,
უფალო, შეაჩვენე ეშმაკის მოციქულნი,
ამრავლე, აძლიერე გმირები ჭეშმარიტი.
უფალო, შეგვიწყალე, რამეთუ ცოტანი ვართ,
ნუ დაგვსჯი სიმცირით, მწიროვნებით,
შვილები დაგვიზარდე დემეტრე-ცოტნეებად,
ნინო და გიორგი მყავს ნათლია-მირონები!
უფალო, შეგვიწყალე და ბნელი ანათელე,
უფალო, შეგვიწყალე დიდებიც... პატარებიც...
არც ისე საწყალია ეს ჩვენი საქართველო,
არც ისე საწყალია და ხელით სატარები.





## იოსეფ ეკეოშვილი

### რა ვიტაძარო?

თუმც ველარ ვხედავ ჩემს სამშობლოს,
მის ამაყ მთებსა,
თუმც ველარ ვხედავ მისსა მდელოთ,
სერთა ნაქვთებსა,
ველარც იმ ჭალას, რუ ცქრიალა
რომ ჩაურბოდა,
ველარც იმ მწვანეს, ნიავი
რომ წყნარად უქროდა,
და ველარც ჩემთა მამულიშვილთ,
მამაც ოცნებით,
მაგრამ ყოველდღე ვიგონებ მათ,
ვიგონებ სევდით,
ვიგონებ სევდით და თან ვფიქრობ:
მიდიან წელნი,
უცხო ტომთაგან იკირწყვლიან
სამშობლოს ველნი;
და სამშობლო კი, საქართველო
დღიდან-დღით სჭკნება,
მის შვილთა ამაყ ოცნებაში
ის იმარხება.
მშვიდობით, ჩემო თაიგულო,
მწარევ და ტკბილო,
მშვიდობით, ჩემო უძილობის
შავო აჩრდილო,
მშვიდობით, სევდავ მოფენილო
მშობლის თვალებზე,
მშვიდობით, სევდავ კავკასიის
მთათ მწვერვალებზე!
რაღა მიყვარდეს, ვინ მიყვარდეს,
ვით შევიყვარო,
გულს თუ დავმარხავ უიმისოთ,
რას ვემთაბარო?
ვიყავ ბოგანო, დღიური მუშა,
ღარიბ-ღატაკი, თლად უსახლკარო,
მქონდა სამშობლო და აღარა მაქვს
აღარც სამშობლო...
მის მაგიერ რა ვიტაძარო?

1911 წ.

ფიქრია ყუშიტაშვილი

# ბიძაჩემ ოთარას სიზმარი

სტალინის ძეგლების აღდგენა რო დაიწყეს და ბიძაჩემმა ოთარამ სანადირო თოფი რომ გაყიდა, იმ წელს ორი ტომარა მოსავალი ძლივს მოვაქუჩეთ, სულ გადახმა სიმინდი და მზესუმზირა და მონაგარის აღების დრო რომ მოატანა, დიდი უსაქმურობის ჟამი დაგვიდგა მეცა და ჩემ ბიძაშვილებსაც. ზაურა ოცდამეორეში გადადგა,ნოდო ჯერ სუ ჭყლინტია, თხუთმეტისა ჯერაც არ გამხდარა, აი სუ უფროსმა, პაპას სეხნია ემზარამ კი, ჯარიც მოიარა, უწინდელი ტეხნიკუმიც (ეხლა მოდაზე კოლეჯად რომ იხსენიებენ) და ეხლა ტრაქტორს უზის ყინჩად. წითელი, საარჩევნოდ „ნაციონალების“ დარიგებული ტრაქტორით მეზობლებს დასდევს ხვნა-თესვაზე და კაი ფულსაც შოულობს, მაგრამ განა დაგპატიჟებს ან „პივაზე“,ან ხინკალზე?! – სამწვადეზე ლაპარაკი ხო ზედმეტია და ზედმეტი?! ფულს აგროვებს, მემრის, ოქტომბრის ბოლოს, ცოლი უნდა მოვიყვანოო. ძალუა ცალყბად იღიმის და სიყვარულიან ქოქოლას აყრის, მგონი არ მოსწონს ემზარას წელწვრილი და ცხვირაბზუებული რჩეული, მაგრამ თავისი ბიჭის უტეხ ხასიათს კარგად იცნობს და არ ეკამათება: იცის, ერთი დღე და, მაინც მოაყენებს საპატარძლოს კარზე, იქნება და რო დაუწუნონ, ჯინაზე უფრო დააჩქაროს, ისევ ისა სჯობია ნელ-ნელა მოემზადნენ სარძლოს ოჯახში შემოსაყვანად. საძინებელი, თეთრეული, ნიშნობის საჩუქრები, კალიცო, სადედოფლო კაბა და ტუფლი, ყველაფერი საფიქრალია. არადა, ანეტა ძალოს გუშინდელივით ახსოვს ბიძაჩემს რო ცოლად გამოჰყვა, ეხლა უკვე ეშმაკური ღიმილით ამხელს თავის სასიყვარულო დეტალებს და შიგადაშიგ პიკანტური ამბებიც წასცდება ხოლმე. მაგრამ დრომ თვალსა და ხელს შუა ჩაირბინა და გაქრა და ეხლა უკვე ემზარას კარსმომდგარი ბედი აქვთ საზრუნავი.

ოთარა ძია გარეგნულად მშვიდადაა, ვითომადა არ ფიქრობს და დარდობს, ეგ ამბები სადედამთილოს საქმეა და დადგეს ჩემი ქალბატონი და ორი აგური ირტყას თავშიო, მაგრამ აშკარად ძილი და მოსვენება აქვს დაკარგული იმ წამიდან, ჟორა პაპას ორმოცზე შეჭიკჭიკებულ ემზარას რომ თავისი მომავალი ქორწილის ამბავი დასცდა. ოთარა ძია მალიმალ ამოიხვნეშებს, გრძელსა და დაბრეცილ კატანკა მავთულს გაღიზიანებით უჩხიკინებს მიმქრალ ფეჩს და ზედშემოდგმულ წყლიან ქვაბს ხუფს ხდის, რომ შეამოწმოს, წამოდუღდა წყალი თუ ვერა.

ვაიმეეე, შენ რო ვისმეს შეუჩნდები, – ცხარობს ანეტა ძალო,– აცალე,რას ასტყდი სამგლესავითა, იქნება და წამოინთქლიო ამ მშვიდობის ჟამს მდუღარე და საპატრონო გამიხადო თავი.

– მაშ, მეტი საქმე არა მაქვს,– პასუხობს ოთარა ძია და უკვე მერამდენე პაპიროსს უმარჯვებს ასანთს, – მე შენი პატრონობა არა მჭირდება, ჩემ თავს მე თავად ვუპატრონებ, აგე, ბიჭი მოგგვრის ქალს და იმას უპატრონე, გაზარდე შენს ჭკვაზე.

– როდის აქეთა, ნასკი ვერ გაგიხდია უჩემოდა და ეხლა უპატრონებ არა?! – კისკისებს ანეტა ძალო და შინდის კერკი „პლაშატკაზე“ გააქვს გასაშრობად.

– ნასკი არა, ტუბიტეიკა!

– მამი, ტუბიტეიკა უზბეკური ქუდია არა? – თვალს გვიკრავს ნოდო და იკრიჭება.

– ნეტა ერთი არ იკრიჭებოდე ჭაჭადალეულივითა,– იღრინება ემზარა. მაინც განიცდის, რო იმის ცოლის მოყვანა ქვეშეცნეულად საპრობლემოდ გახდომია ოჯახს.

– მე კლუბში მივდივარ, კომპიუტერებში... – ზაურა საქმიანია, ეგეც ეხლა რა, კომპიუტერებში ისე აცხადებს, გეგონება მეცნიერული შრომა ან მოხსენება აქვს ამოსაბეჭდი...

– მეც წამოვალ ე! – ფეხის ხმას ასდევს ნოდო, რაც ჯარიდან ჩამოვიდა ზაურა, იმის მერე კვიცსავით სუ კუდში დასდევს...

– მაიტა, ეს სიმინდი დამაბინავებინეთ და

მერე წადით კლუბში,– ოთარა ძია შაქრის ტომარაში მოგროვილ სიმინდს გაშლილ ჭილობზე წამოჰყრის და ახლა მეორეს ეჭიდება.

– ვაიმეე, რა ფეხზე ადექი ნეტა,იქნება და, წელი ჩაიგდო სიმინდის მარტოკინა თრევით და საპატრონო გამიხადო თავი...

– შენა, რა ვქნა, რაღაც ძაან გეზარება ჩემი მოვლა ამ სიბერეში... – ოთარა ძია თავს უკმაყოფილოდ აქნევს და პაპიროსს უკიდებს.

– აგე კიდეეეე! რა გითხრა ექიმმა, ამდენი პაპიროსი არ შეიძლება შენთვის, არა! – ანეტა ძალო ხელიდან გამოსტაცებს მოკიდებულ პაპიროსის ღერს და რეზინის ჩუსტით გასრესს.

– მოვწევ კიდეცა, დავლევ კიდეცა და ვინერვიულებ კიდეც ჩემ გემოზე! – იქადნება ოთარა ძია.

– ქალები, მამი, ქალები რად დაგავიწყდა? – იკრიჭება ნოდო.

– ი, ამას უყურე,– წამოჰკრავს ზაურა ქეჩოში,– ე, ნედლო, დიდ-პატარა ვერ უნდა გაარჩიო?!

ძმაზე დაბოღმილი ნოდო გვერდზე გადის ბურტყუნით,ლამისაა ტირილი წასკდეს: უფრო სწყინს, ვიდრე სტკივა ძმის წამონარტყამი, მაგრამ ხვდება რომ ტყუანია და გულში იბრუნებს ბოღმას.

– ქალები სიზმრადა ჰყავს გადანახული! –ჰყვება ხუმრობაში ბიჭებს ანეტა ძალო და თანაგრძნობით მხარზეხელს უცაცუნებს ნოდოს, აქაოდა, გულში არ ჩაირჩინო წყენაო.

– ეხლა თქვენა გკითხამთ კიდე, ვინ უნდა დამესიზმროს,– ბრაზობს ოთარა ძია, და ის-ისაა სიმინდით გადავსებული ჭილობის კიდეს უნდა დასწვდეს, ირინდება და სივრცეს აშტერდება.

– ჰა, დაირტყი არა წელკავი,- ქოთქოთებს ანეტა ძალო, – ეგრეც ვიცოდი, გეუბნებოდი, აცალე ახალგაზრდებს, აცალე....

– გაჩუმდები თუ პატრულს გამოუძახო, ისევ სივრცეს მიშტერებული ამბობს ოთარა ძია,– ეეე, წუხანდელი სიზმარი გამახსენდა... თქვენ არ იცით, რა ვნახე წუხელ სიზმარში...

– ანჯელინა ჯოლის მაინცა ნახავდი – მხიარულობს ნაწვიმარზე ცისარტყელასავით გამოდარებული ნოდო...

– ბიჯოოო! – ეხლა კი მართლა ბრაზობს ზაურა, მაგრამ ოთარა ძია ყურადღებას არ აქცევს ძმების კინკლაობას:

– ვითომ ომია, სტალინობა და სუ მთავარი ტანკი გაუფუჭდათ ჩვენებსა.

– კაი რა, მამი, გვაშაყირებ თუ რა, მთავარი არა, ბოლოდან ოცდამეორე?! – ახლა ზაურაა ნაწყენი... მამის ქომაგობაში კინაღამ სუ „ტუფტაზე“ საშვილთაშვილოდ არ აწყენინა უმცროს ძმასა...

– რას გაშაყირებ, შე მამაძაღლო, მართლა ვნახე ომიანობა... ვითომ, მე ახალგაზრდა ვარ, ასე 35-40 წლისა და მაშინაც მატორისტად ვმუშაობ... ჰოდა, გაუფუჭდათ ტანკი ჩვენებსა და დამავალეს სტალინის დავალებით იმისი შეკეთება. 2 დღე და ღამე გავასწორე, მატორი თავიდან გავჩარხე და ჩავუდგი ტანკს, მაგრამ რო დავქოქე,ტანკმა წინ წასვლის სანაცვლოდ, უკან-უკან სიარული არ დაიწყო?! გავნერვიულდი, მაგრამ რა გავნერვიულდი,სუ ცივი ოფლი მასხამს რო გამახსენდება კრემლში სტალინი! რო იკითხამს ტანკის ამბავს და რო ეტყვიან, რა ოინიც მომივიდა... გონების თვალით გადავავლემზერა ჩემ ცხოვრებას კინოს კადრებივით, გამოვემშვიდობე ცოლ-შვილს... – ახალ პაპიროსს უკიდებს ოთარა ძია.

– მაშინაცა გყავდა ცოლ-შვილი, მამი? – აწყვეტინებს ნოდო თხრობას.

– ზაურა იდაყვსა ჰკრავს და აჩუმებს.

– და უეცრად გაისმის ტელეფონის ზარი და ხელის კანკალით ვწვდები ტრუბკასა და ველი განჩინებას, უფრო სწორედ დახვრეტასა, ჰა-ჰა, უკეთეს ვარიანტში გადასახლების განაჩენს.

– კაკ დელა, ტავარიშჩ მეტრეველი?

...ბიჯოოო, ბელადის ხმაა თუ მეჩვენება?! არააა, ნამდვილად ის არის, კინოებშიც ზუსტად ეგრე ლაპარაკობს, დინჯად და კავკასიურ აქცენტით, ოღონდ ეგაა აწ განსვენებულ ჟორა პაპას მიუგავს ლაპარაკის კილო.

– და ტავარიშჩ სტალინ! – ხმის კანკალით ვპასუხობ.

– კაკ დელა, ტავარიშჩ მეტრეველი – ეს უკვე მეორედ ფოლადივით მძიმედ და მჭახედ ისმის ბელადის ხმა.

– ოტლიჩნო, ტავარიშჩ სტალინ, ვსიო ისპრავილ, კარბურატორ პაჩისტილ, სვეჩი სმენილ, მატორ ნოვი პასტავილ, ტოლკო...

– შტო ტოლკო?

პაუზა.

როგორც ურო გრდემლზე, ისე მიცემს მკერდში გული...

– ვოტ... ტოლკო...ზადნიმ ხოდომ ხოდიტ ტანკ, ტავარიშჩ სტალინ! კაკ ნე სტარაიუს, პავერნუტ ნე პოლუჩაეტსია! ნო ვი ნე ვალნუეტეს, ვსიო ისპრავლიუ... ეშჩო ნედელიუ სპატ ნე ბუდუ ი ისპრავლიუ...

– სიჩუმე სიკვდილის მოლოდინივით იწელება...

– და ნე სპეშიტე ტავარიშჩ მეტრეველი, – ისმის სტალინის თავშეკავებული და მკვახე სიცილი – ეტოტ ტანკ კაკ რაზ დლია ოტსტუპლენია!

კავშირი წყდება და ისმის ტელეფონის გაბმული წრიპინი...

– მერე მამი, – ნოდო შოშიასავით პირდაღებული რჩება.

– რაღა მერე?.... მერე, ეგე, დედაშენის

ხმა მაღვიძებს, ადე კუპრაჭას ოპელ ვექტრაზე რემენი გასწყვეტია და გაუმართეო...

– და სტალინი, მამი?

– რა სტალინი?

– აი, ჟორა პაპას რო უყვარდა?

– ჰოდა რო უყვარდა, ეგე, გაატანეს კიდეც იმის ფოტოსურათი იმ ქვეყანას და ისევ დასდგეს სანკანტორის ეზოში...

ნოდო ფიქრებში იძირება და ველარც კი ესმის ზაურას დაძახილი... ანეტა ძალო ინდაურებსა და ქათმებს აპურებს, ოთარა ძია ადუღებულ ქვაბში კომბიკორმას ჰყრის და დიდი კარდალით ღონივრად ურევს. მოსავალი გადახმა, არადა, ღორებიც საზრუნია.

# ლოთი ლექსი

## ჯემალ შონია



### ეს ირემი ტყვიას უნდა გადაურჩეს

ეს ირემი ტყვიას უნდა გადაურჩეს
და მოესწროს აპრილსა და მყვირალობას,
არ დამიჭკნეთ, არ დამიჭკნეთ არ დამიჭკნეთ,
აფხაზეთში დაკრეფილო გვირილებო.
შეკივლებამ გაიჟღერა მთათა მიღმა
ქართლის დედა ისევ ძაძით იმოსება
არ გამიხმეთ, არ გამიხმეთ, არ გამიხმეთ,
აფხაზეთში დაჩეხილო მიმოზებო...
ნაცარტუტით ავსებულა ცათა სიღრმე,
აკვნებისთვის სინათლეს არ იმეტებენ,
არ დამიდნეთ, არ დამიდნეთ, არ დამიდნეთ,
აფხაზეთში დარჩენილო იმედებო.
ჩვენი ყანა ისევ ჩვენი სისხლით ვირწყეთ,
ნატყვიარზე ყვავის ცეცხლის ზაფრანები,
არ გამიწყრეთ, არ გამიწყრეთ, არ გამიწყრეთ,
აფხაზეთში მომლოდინე საფლავებო...
დამცხრალია უკვე ფრთათა სიჩაუქე,
ვაი, ლექსო, იქნებ ხვალაც ვერ იკვერცხლო...
არ ჩამიქრე, არ ჩამიქრე, არ ჩამიქრე,
აფხაზეთში ძლივს მბჟუტავო კერის ცეცხლო...
ვახ, ხსოვნაში როგორ უნდა გავიბრწყინო,
თუ ვითმინე, სამარცხვინოდ ჩამუხლება,
არ მიწყინოთ, არ მიწყინოთ, არ მიწყინოთ,
აფხაზეთში დაცემულო ჭაბუკებო,
მოითმინეთ ეს დროებაც გავა ძნელი,
მერე ნახეთ მტერი თუ კვლავ ვათავხედო,
გაუძელი, გაუძელი, გაუძელი...
აფხაზეთში წამებულო აფხაზეთო...
მტრობის ღამე, ძმობის დილით გათენდება,
ურჯულოთა ბოდვით ველარ გადამთელონ...
აშენდები? დიახ, კვლავაც აშენდები,
აფხაზეთში დანგრეულო საქართველო!

ბექა ადამაშვილი

# Déjà vu, როგორც არაასეთი

პროლოგის მაგიერ

— ოდესმე ყველაფერი საწყის წერტილს უბრუნდება. დედამიწა. ცხოვრება. ისტორია. თქვენ. მე — დაიწყო პროფესორმა და აუდიტორიას გადახედა...

I

კაცს „უ-უ“ ერქვა. ქალს „უ“. ერთად ცხოვრობდნენ და სხვებთან ერთადაც. ღმერთთან,მაგალითად. ღმერთი მზრუნველი იყო. ცხელი. ნათელი. უტყვი. დროდადრო ტკაცუნობდა მხოლოდ. და იფერფლებოდა. მერე „უ-უ“ ან რომელიმე „უ-უ“-თაგანი მიდიოდა და ღმერთისთვის საჭმელი მოჰქონდა. ხე უყვარდა ღმერთს. მშრალი ხე და ფოთლებიც. ფოთლებს მალევე ჭამდა. ხეს კი ნელ-ნელა აგემოვნებდა. აგემოვნებდა უსიტყვოდ. მართალია ბევრი ენა ჰქონდა, მაგრამ მაინც მუნჯი იყო ღმერთი. დროდადრო ტკაცუნობდა მხოლოდ. და იფერფლებოდა...

...მკვდრეთით რომ აღმდგარიყო მერე ისევ, ალბათ, იმიტომ.

II

კაცს ჟანი ერქვა. ქალს — ჯინა. არლიში ცხოვრობდნენ. შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიოსგან მოშორებით. კაცი თანამედროვე ხელოვანი იყო. ხატავდა. ქალი უბრალოდ თანამედროვე იყო და კალმით ნახატი. წითური თმებით. ცეცხლივით. ამის გამო — კაცი ქალს აღმერთებდა... არა, აქალღმერთებდა და მუზას უწოდებდა. მუზასაც, უფრო სწორად.

კაცს არასტანდარტული ხელოვნება მოსწონდა. უნდოდა აბსოლუტურად ცარიელი ტილოების გამოფენა მოეწყო, სადაც თითოეულ ტილოს თავისი ინდივიდუალური სათაური ექნებოდა — „სიცოცხლე მარსზე“, „იდეალური მამაკაცი“, „პარალელური ხაზების თანაკვეთა“, „მარადიული მშვიდობა დედამიწაზე“ და „პის დასასრული“, მაგალითად.

არარაისგან არარა რომ შეექმნა, ალბათ, იმიტომ.

III

ზოგჯერ „უ-უ“ სანადირობაც გადიოდა. ეს,როგორც წესი,მაშინ ხდებოდა,როდესაც თავის წილს უკვე სხვა ღმერთი ითხოვდა. მეორე. მეორე ღმერთი პირველისგან განსხვავებით უხილავი იყო. სადღაც შიგნით ცხოვრობდა. სხეულში. და დროდადრო იჩენდა თავს. უსიამოვნო შეგრძნების გემო ჰქონდა მეორე ღმერთს. უფრო პრეტენზიულიც იყო. ხე და ფოთლები აღარ აკმაყოფილებდა. ხორცი უყვარდა. ახალიც და პირველი ღმერთის მომზადებულიც.

თავისი ღმერთის ჭირვეულობას კიდევ აიტანდა „უ-უ“, მაგრამ „უ“-საც ჰყავდა საკუთარი ჭირვეული ღმერთი. ჰოდა, რა ექნა. „უ-უ“-ს ცხოვრების მთავარი აზრიც ხომ მხოლოდ ეს იყო — ზრუნვა ღმერთებზე.

IV

ნადირობა ჟანსაც უყვარდა. ძირითადად, გულებზე ნადირობდა. ჯერ ჯინას გულზე. მერე — საზოგადოების. საბოლოოდ, ერთიც მოინადირა და მეორეც. ახლა უკვე „საქვეყნოდ პოპულარული“ ერქვა. გარეკანიდან გარეკანზე მოგზაურობდა. ქვეყნიდან — ქვეყანაშიც. ჯინას გასახარად და მტრების ჯინაზე.

ხელოვნებაში მინიმალიზმი მოსწონდა. ზარმაცი იყო და საკუთარ სიზარმაცეს „მინიმალიზმის სიყვარულით“ ამართლებდა — უფრო სწორად. ყველაზე მოკლე მოთხრობაც დაწერა ერთხელ — „დუმილი“ ერქვა სათაურად და მანდვე მთავრდებოდა.

ასე იყო თუ ისე, ჟანისთვის მთავარ საზრუნავს საზოგადოების სულიერი შიმშილის დაკმაყოფილება წარმოადგენდა. მისი ცხოვრების მთავარი აზრიც ხომ სწორედ ეს იყო – შეექმნა ისეთი რამ, რასაც შემდეგ ხალხი გააღმერთებდა.

V

მესამე ღმერთის "უ-უ"-ს ყველაზე მეტად ეშინოდა. მესამე ღმერთი მაღლა იყო, ცაში. „უ-უ" ვერასოდეს ხვდებოდა როდის და რატომ ბრაზდებოდა მესამე ღმერთი, მაგრამ იცოდა, რომ მისი ყოველი გამოჩენა ციდან წყლის ჩამოსვლით სრულდებოდა. ეს კი პირველ ღმერთსაც ემუქრებოდა და მეორესაც. ამის გამო „უ-უ"-ს არ უყვარდა მესამე ღმერთი – ციდან ყვითელ ჯოხებს რომ ისროდა და თავისი მოულოდნელი ხმაურით, შიშის მთავარ სიმბოლოს წარმოადგენდა „უ-უ"-ს გონებაში.

VI

მეხის გავარდნას ჰგავდა ჟანის გამოჩენა ხელოვნებაში, ამიტომ მისი პირველივე ნამუშევარი ელვის სისწრაფით გავრცელდა. არადა, კაცის აზრით განსაკუთრებული არაფერი იყო იმაში. ოცდათორმეტი „შავი კვადრატი" ოცდათორმეტივე თეთრ კვადრატთან უნისონში. ჭადრაკის დაფა, მოკლედ. თუმცა, ტილოს სახელად „რასობრივი თანასწორობა" ერქვა, რაც ამ დაფას სიმბოლური დატვირთვის ილუზიას უქმნიდა. „მთავარი არ არის რას ხატავ, მთავარია რას უწოდებ ამ ნახატს" – ამბობდა კაცი – „ადამიანები ხომ გიჟდებიან სიმბოლოებზე".

მილიარდერებიც გიჟდებოდნენ.

VII

იმ დღესაც წამოვიდა ციდან წყალი. ბევრი წყალი. იმდენად ბევრი, რომ გამოქვაბულშიც შემოაღწია. „უ-უ"-ს არ უყვარდა წყალი. უკან დაიხია და ჟანგმიწაში მოუხვდა ხელი. „უ-უ"-მ არ იცოდა „ჟანგმიწა" რა იყო (და ვერც ვერასოდეს გაიგებდა, ცხოვრების განმავლობაში), ამიტომ სველი ხელი რეფლექსურად გამოქვაბულის კედელს გაუსვა. თეთრ ფონზე წითელი სილუეტი გამოისახა. ხუთი თითის. „უ-უ"-ს მოეწონა. რაღაც ახალი იყო. ისეთი, რამაც დროებით ყველა ღმერთი დაავიწყა. სამივე. ამიტომ ხელმეორედ გაისვარა ხელი და ამჯერად ხაზი უკვე თითით გაავლო. ესეც მოეწონა. თუმცა, ასე არაფრის ხატვა მალე მოსწყინდა და შეეცადა პირველი ღმერთი დაეხატა. ან მეორეს საჭმელი, თუნდაც. პირველ ჯერზე არ გამოუვიდა. არც მეორე, მესამე, მეოთხე და მე.ა.შ.-ე ცდა იყო წარმატებული. როგორღაც მიამსგავსა მხოლოდ და კმაყოფილმა „უ"-ს გამოსახვაც გადაწყვიტა. ამჯერად უფრო ადვილად მოახერხა. „უ"-საც მოეწონა წითელი „უ" და ყველა დანარჩენ „უ-უ"-თაგანსაც.

ბედნიერება მოძებნა „უ-უ"-მ. იჯდა და უსვამდა ხაზებს – უთავბოლოდ, უშინაარსოდ, ალოგიკურად...

...პირველი მხატვარი იყო ისტორიაში.

VIII

წვიმდა. ჟანის უყვარდა წვიმა. ასეთ დროს შინ რჩებოდა და ხატავდა. ისევე როგორც ახლა. თუმცა ამ ჯერზე ხატვის ახალი მეთოდის გამოცდა გადაწყვიტა. უფრო თანამედროვე მეთოდი. უფუნჯო. ხელისგული ჩაყო საღებავში და ანაბეჭდი დატოვა ტილოზე. მოეწონა. მერე თითითაც გაუსვა ხაზი. ესეც მოეწონა. ხაზს ხაზი მოჰყვა. ხელისგულს ხელისგული. ესეც მოსწონდა. „რას ხატავ?" – ჯინამ ჰკითხა. „ჯერ არ ვიცი, რაღაც ხო გამოვა და რაობაზე ხალხმა იფიქროს" – უპასუხა. კმაყოფილი იჯდა და უსვამდა ხაზებს – უთავბოლოდ, უშინაარსოდ, ალოგიკურად...

„პირველი მხატვარი ხარ მსოფლიოში" – ჯინამ უთხრა და მარჯვენა წარბის დასაწყისში აკოცა. ტუჩები ზედმეტად ბანალური მოეჩვენა ამ მომენტისთვის და ალბათ, იმიტომ...

პროლოგი

– ოდესმე ყველაფერი საწყის წერტილს უბრუნდება. დედამიწა. ცხოვრება. ისტორია. თქვენ. მე – დაიწყო პროფესორმა და აუდიტორიას გადახედა – ეს ალტამირას გამოქვაბულში აღმოჩენილი ნახატებია – თითით პირველ სურათზე ანიშნა – ათასწლეულების წინ არის შექმნილი, მაგრამ ხელის სილუეტიც კარგად ჩანს. ხაზებიც. ხალხიც. ეს კი – თითმა მეორე სურათის მიმართულებით გადაინაცვლა – თანამედროვე ხელოვნებაა. ხელისგულებით მოთხაპნილი. სხვადასხვაფერი ხაზით გაფორმებული. უწესრიგო. უხეში, მაგრამ გენიალურად შერაცხილი და ძვირადღირებული. მსგავსება ამ ორ სურათს შორის, როგორც ხედავთ ძალიან დიდია, თუმცა „ხანდაზმული" კაცობრიობა ერთს – პირველყოფილს უწოდებს და მეორეს – სრულყოფილს...

# პატარა ქალაქის ისტორიები

საქართველოს მწერალთა სახლში გაიმართა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, მწერალ თამარ მიქაძის მინიატიურების წიგნის – „ძალიან პატარა ქალაქში“ წარდგინება. მწერალთა სახლში შეკრებილი აუდიტორია სიამოვნებით ისმენდა პატარა ქალაქის ისტორიებს. ეს დღე შემთხვევით არ შეირჩა. 14 თებერვალს მწერლის ბიძის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის გურამ პატარაიას დაბადების დღე იყო. შეკრებილმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გაიხსენა საყვარელი რეჟისორი. დარბაზში ხალხმრავლობა იყო – მოვიდნენ მწერლის კოლეგები, ახლობლები, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები,მათ შორის ახალგაზრდებიც. საღამოს უძღვებოდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ქეთევან ელაშვილი, რომელმაც პროფესიული გემოვნებით ისაუბრა მინიატიურაზე, როგორც ჟანრზე. ასევე, ავტორზე.

ქეთევან ელაშვილი

მწერლის მეცნიერული დამსახურების, პიროვნული ღირსების შესახებ ისაუბრა ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის დირექტორმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნინო მამარდაშვილმა.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა,მთარგმნელმა მაკა ნაჭყებიამ ხაზი გაუსვა თამარ მიქაძის შემოქმედების ფესვებს, აღნიშნა, რომ მისი ნაწარმოებები ქართული ტრადიციების გაგრძელების საუკეთესო ნიმუშია.

მთარგმნელმა გივი შაჰნაზარმა ისაუბრა ქვიშხეთზე, იქ გამართულ საღამოებზე, ქალბატონ თამარზე, როგორც დიმიტრი ყიფიანის ღირსეულ შთამომავალზე.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხათუნა ლორთქიფანიძის აზრით, მცირე ნაწარმოებთან ასეთი შეჭიდება მხოლოდ რჩეულ ავტორებს ძალუძთ.

თამარ მიქაძე

მწერლის ბავშვობის მეგობარმა, ხელოვნებათმცოდნე ნინო ღაღანიძემ ისაუბრა ავტორის ცხოვრებისეულ და შემოქმედებით იუმორზე – როგორც დღევანდელ იშვიათობაზე.

ასეთ თბილ, გულწრფელ, გემოვნებიან შემოქმედებას მეტ-ნაკლებად მონატრებული აუდიტორია კმაყოფილი ჩანდა. ყველამ ერთხმად აღნიშნა მწერლის არტისტული მონაცემი. „ძალიან პატარა ქალაქში“ მწერლის მინიატიურების მეორე წიგნია. თამარ მიქაძე ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. არის ჟურნალ „ანეულთან“ არსებული ლიტერატურული

გაერთიანების წევრი. 2003 წელს „საარში“ გამოიცა მისი მინიატიურული პროზის კრებული „სევდიანიდან მხიარულამდე”. მინიატიურული პროზის ეს მეორე კრებულიც „საარმა“ გამოსცა. წიგნში შესულია ავტორის როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებელი 50 მცირე ზომის ნაწარმოები. გარეკანზე გამოყენებულია რეზო ესაძის ნახატები.

აღსანიშნავია,რომ თამარ მიქაძე დიმიტრი ყიფიანის პირდაპირი შთამომავალია. იგი არის ფოტოალბომის – „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება და მოღვაწეობა“ – პროექტის ავტორი და შემდგენელი. 2013 წელს დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლისა და მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მას დიმიტრი ყიფიანის სახელობის მედალი გადაეცა.

# ელა ელენ

## „შეგირდი“

*ვუძღვნი ირინოლა მეიფარიანს*

გადიან წლები. სულ უკან-უკან ვიხედები.
გადიან წლები. გავდივარ დროის თამაშიდან –
არ ვიზრდები.
ვერ ვბერდები.
ყველა სამან-მიჯნას გამოვცდი.
ცხოვრებას მხოლოდ
წამოვცდი.

შეგირდობანას ვთამაშობ – დილეტანტი, ისე წავხდი,
მენცარი მინდა ვიყო – უმეცარს.
საწუთროს – წუთებს იქით ვუთვლი.
წუთისოფელს ცხოვრების გაკვეთილს ვუყვები და –
წუთშესვენება მაქვსო.
მაინც არ ვისვენებ და არ ვასვენებ.
ბოლო გამოცდაც მომადგა კარსო.

ვერ დავიზუთხე ცხოვრების უნარ-ჩვევები.
ვაბარებ და – იჭრები. დინებას მივყვები. ისევ.
სხვა ზუთხიებს არ ჰგავსო, თავხედობს ნამეტანსო.
სიზმრებს ვიხატავ ფრთებად – უვიცი შეგირდი.
ცვილის ფრთებით – მზისკენ!..

ვარსკვლავებს ვკრეფდი ცაში – ჩემს ბედის ცალებს.
ცთომილთა შუქზე ვკითხულობდი ჩემს ბედისწერებს.
ამშალა. დამშალა.
არ ვიყავი ნიჭიერი შეგირდი-
ცხოვრების სკოლამ... ვერაფერი მასწავლა.
თქვენთან – არც ერთი,
საკუთარ თავთან წავაგე ყველა შეჯიბრი.

ვსცოდე – დასაზუთხებელ  წესებს ვშლიდი და ვანგრევდი –
არასმცოდნე.
ეს რა წესიაო, ზუთხიებმა მითხრეს.
წესებს მე ვერ ვგუობ,
მიწაზე ვერა – ცაში ვიარები უფრთო.
წამართვა, რაც მებადა – დრომ.
დრომ ჩემი გზიდან გადაუხვია – ახლა სხვის გუნდშია.
ყველა შუქნიშანი გამორთულია.
ვერ ვნახე ასაქცევი გზა.
მიწაზე ვხოხავ ცასწავალა.
არ ვარ ნიჭიერი შეგირდი,

ცხოვრების სკოლამ ვერაფერი მასწავლა.
ასონიშნებმა მოხაზულობა შეიცვალეს.
ვერ ვკითხულობ თქვენს იგავ-არაკებს.
წერტილმა წერტილის დასმა არ იცის.
მრავალწერტილები მომრავლდნენ ჩემს წერილშიც.
მისამართებმა მისამართები დაივიწყეს,
ადრესატები ამოიშალნენ ცნობარებიდან.
გაცვთა კალამი. ამოშრა მელანი.
აღარ არიო მოდაში.

სიტყვებიც გაცვთდნენ. გახუნდნენ. გაცვეთილ სიტყვებით
როგორ გიამბოთ გულის ამბები.
თუ არ დაიფიცა გულის საფიცარი – როგორ დავიჯეროთ,
რომ სიტყვა – სიტყვას არ გატეხს.
ქვასატეხელა.

ცხოვრების თამაშს ვერ თამაშობ – უნიჭო ხარო,
მითხრეს სიტყვაგაცვეთილებმა.განა უნიჭობა დანაშაულია?
არ ვიცი სხვა ანაბანა,
ცხოვრების სკოლამ ვერაფერი მასწავლა.
მიყვარს საწუთრო, რომელსაც მე არ ვუყვარვარ.
ცალმხრივი სიყვარულიც წესია.
დასაშვებია ესეც.
დღეებიც ღამდებიან ბოლოს.
მზეებიც ქრებიან ბოლოს და ბოლოს.
სტრიქონებიც წაიშლებიან.

ხედავთ – ცრემლი ცივდება.სიტყვა ხუნდება.
იცვლებიან უცვლელები. იშლებიან წარუშლელები.

გადიან წლები, სულ უკან – უკან ვიხედები.
გადიან წლები, არ ვიზრდები. ვერ ვბერდები.
მე ჩემზე მეტყველ სიტყვას
ვერ ვიტყვი. მე – ჩემზე მეტი
ალბათ არცა ვარ.
არ ვარ ნიჭიერი შეგირდი,
ცხოვრების სკოლამ ვერაფერი მასწავლა.

ადგილს აცდენსო, თქვეს.
დრო გაჰყავსო.
დრო მე თვითონ გამყავს – შლეგს.

გარბიან წლები – არ ვიზრდები, ვერ ვბერდები.
გავშალე.
ყველა ბგერა გამებად დავშალე,
ასე გინდოდათ და წაგშალეთ, დაგშალეთ.
საწუთროს წუთებს იქით ვუთვლი.
წუთისოფელს გაკვეთილს იქით ვუხსნი.
გავრბივარ შატალოზე.

ხიდი ვერ მოვიგონე – წყალში ვცურდები,
წყალში ვვარდები – წყალმა წაიღოსო.
გული ვერ მოვიგონე – უბეში ქვა მიდევს.
სანგარი ვერ მოვიგონე – ტყვიის თავსხმაში მოვხვდი,
კეთილი სიტყვა მესროლეთ – კეთილი ტყვიით მოვკვდე!

ღრუბელი ვერ მოვიგონე – ცრემლებად ვწვიმვარ.
წინ ვარ.სად სიკვდილში მიგეჩქარებაო, უკანანი მომძახიან.
ასეთ დროს ბოლოში უნდა იდგე, არ ვიცი,
არ ვიცი სიცოცხლის ანაბანა.
უნიჭო შეგირდი ვარ,
ცხოვრების სკოლამ ვერაფერი მასწავლა.
სუფრასთან ბოლოში ვარ.
ადგილი არ შემხვდა მაჩანჩალას.
ჩიტის რძეც მაკლია.
ჩიჩახვი კი სავსე მაქვს უთქმელი სიტყვებით –
არ კენკავს არცერთი ამ საკენკს.

ფრთები გავშალე უფრთომ, საით მიხოხავო კუს ნაბიჯებით.
ბედნიერებისაკენ!
რა არისო ბედნიერება?
არ ვიცი.ვერ ვისწავლე.
მაშ საით მიგეჩქარებაო. ბედნიერებისაკენ –
კუს ნაბიჯებით მხოლოდ.
მათ ჩემი ენა არ ესმოდათ,მე მათი ენა ვერ ვისწავლე –
უნიჭომ.
მითხრეს, გვარცხვენო, სიიდან ამოგშლითო.
ვიდრე წამშლიდნენ, თავად მე ამოვეშალე, მათ სიას არა – ჩემს თავს.
დავიშალე.დავიღალე.
პასუხს –კითხვები დამისვეს.
მე თქვენი კითხვის პასუხი კი არა –
პასუხის კითხვა ვარ – ასე ვეუბნები.
ბოდავსო,თქვეს.
წადით, მომშორდით-თქვენ არა,მეორე მეს ვეუბნები.
თქვენს ჩრდილს რომ მისდევს, თქვენს წესს და რიგს რომ იცავს
თითქოს.
და კიდევ თქვენ გეუბნებით, თქვენ – ჩემს მასწავლებლებს
ცხოვრების სკოლაში,ვით უგრძნობ კოლაჟში.
დაქოქილი თოჯინა.

ვარ თითქოს და არც ვარ,
ხომ ვიცი, რაც ვარ.

სიტყვამრავლობენ სიტყვები, მჭერმეტყველებენ უტყვები.
სათქმელი დაფარეს-იმდენი ილაპარაკეს.
გადახადეთ სიტყვა სამოსელები – ვნახო, ვინ წევს სიკვდილის სარეცელში.
ვეძებ – ვისაც ბოლო სიტყვას ვეტყვი.
გულწრფელს.
ცრემლცხელს.
შენდობის სიტყვას დავუდებ თავსასთუმლად.

თავთან ცრემლის ტაბლას დავუდგამ.
ცრემლის გუბეს დავუყენებ.
ეს თქვენ.
მე კი –
ვარ თითქოს და არც ვარ,
ხომ ვიცი,რაც ვარ.
ქარის ფრთები მაქვს – ვფქვავ წისქვილის ქვას,
გულქვად.
წყალღარები მიგდია უქმად.

აიშლებიან სიტყვები-ავი მეწისქვილეები.
აკრიახდებიან კრუხები, აქოთქოთდებიან,გამოჩეკავენ – მწივანა წიწილებს,
სიტყვებს – არაფრის მთქმელებს.
სათქმელგამოლეულებს.

რიტმიდან ამოვარდებიან დამფრთხალი ჩემი სტრიქონები.
მეტაფორები, ვით მეტეორები
ელვასავით დაიკლაკნებიან ცაში.
თქვიო, თქვიო – მიკიჟინებენ რითმები აჩეხილი.
რისი მთქმელი ვარ – არ ვიცი ამქვეყნის ანაბანა –
ცხოვრების სკოლამ ვერაფერი მასწავლა.

ხელში ყავარჯენი მომცა – იარეო.
ცერზე მიმინო დამისვა – მოინადირეო.
ბეწვი იყავ სხვის თვალში,
შენს თვალში – დირეო.
ჩამქრალა ცეცხლი და კოცონი გიზგიზა გაზაფხულების.
ცრემლებში ვიხრჩობი. სუნთქვებში ვიგუდები.
თქვენ არა – თქვენ ჯვარი გწერიათ,
თქვენ არა – თავის თავს ვუკვდები.
სკდებიან გულის მაჯები.
სულს ღაფავენ ლექს-მაჯამები.

მერე დაუდგათ დრო – ზღვარს გადააბიჯეს,
სიტყვები დაუყუჩდათ – არაფერი არ სტკივათ.
მეც ძილ-ბურანში ვეხვევი.სხვის ფერხულში ვებმები.
ვარ თითქოს, არცა ვარ, ხომ ვიცი – რაცა ვარ.
არ ვცეკვავ სხვის ცეკვას.
არ ვიცი სხვისი რიტმი. არ მაქვს ამისი გა-ბა-რი-ტი.

სიტყვა-შიშველა, ვერ ვმოსავ საკუთარ თავს,
თქვენს სათქმელს ვუყვები სხვას.
ბზუიან ყურებთან ტკივილის ნესტრებით ავსიტყვა კრაზანები,
წუიან კოღოების ოხვრა-ვიშები.
ჩემი სიტყვა-სათქმელების გახსნილია სარქველები –
გულიდან სისხლივით მდიან.
ჭკუიდან მშლიან.

კივიან რიტმიდან ამოვარდნილი ლექსები,
დარჩენა მინდა და –

ვერ ვრჩები.
დავღოღავ მიწაზე ცასწავალა
არ ვარ ნიჭიერი შეგირდი.
ცხოვრების სკოლამ ვერაფერი მასწავლა.

ვარ, თითქოს არცა ვარ,
ხომ ვიცი-რაცა ვარ.
მე ჩემზე მეტყველ
სიტყვას ვერ ვიტყვი,
მე ჩემზე მეტი, ალბათ, არცა ვარ.

ვერ ვიტყვი: ჭირი იქა.
ვერ ვიტყვი: ლხინი აქა.

რა ვუთხრა,სულო, რა ვუთხრა შენს იანვარს და ზამთარს.
შენი სახელი ვასწავლე – მასწავლებელსაც არ ჰგავს,
ვაიმე – სულის შეგირდო,
ვისაც ოსტატი არ გყავს,
ლექსები – სულის კონები შეუკონავი დამრჩა,
რა ვკითხო, ახლა რა ვუთხრა
იმ ღმერთს, ცაში რომ არ ჩანს.
იმ ღმერთს, ცაში რომ არ ჩანს.

გადიან წლები,სულ უკან-უკან ვიხედები.
გადიან წლები – გავდივარ დროის თამაშიდან.
არ ვიზრდები.
ვერ ვბერდები.

## გურამ პეტრიაშვილმა ეროვნულ ბიბლიოთეკას თავისი არქივი გადასცა



მწერალმა გურამ პეტრიაშვილმა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას თავისი არქივი გადასცა. არქივი შეიცავს 90-იანი წლების პერიოდიკას და სხვა მასალებს. არქივს გურამ პეტრიაშვილი თავად დაამუშავებს.

# ხათუნა ჩიტაძე

*დაიბადა ქალაქ ხაშურში, 1977 წლის 17 იანვარს. 1994 წელს წარმატებით დაამთავრა ხაშურის №7 საჯარო სკოლა (მაშინდელი რკინიგზის №4 სკოლა). 1993 წელს მიენიჭა ამიერკავკასიის მხატვართა კავშირის ოსტატის წოდება. 1994 წელს ზემოაღნიშნული საბუთის საფუძველზე მუშაობა დაიწყო ხაშურის №9 საჯარო სკოლაში (ძველით 25-ე სკოლაში) და დღემდე მუშაობას განაგრძობს ხელოვნების პედაგოგად. 1995 წელს ჩაბარა თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიურ ინსტიტუტში „ცოდნა". 2001 წელს დაამთავრა დაწყებითი პედაგოგიკისა და მეთოდიკის სრული კურსი. ლექსებსა და ჩანახატებს 5-6 წლის ასაკიდან წერს. არის 5 წიგნის ავტორი. მრავალი გამოფენის ავტორი (ქარგვა, ქსოვა, როგორც პერსონალური, ასევე შერეული გამოფენებისა). ჰყავს მეუღლე და 5 შვილი.*

## მითხარ რამე

ქარმა ქარვისფერმა სევდა მომახვია,
რითმა ჩამიშალა ჩამოწნილი.
სიტყვა — სამშვენისი რა მალია,
შენს გასახარებლად ჩამოშლილი.
მთელი ცხოვრებაა ამ ქარს ვებრძვი!
თმაც ვერ დავიბნიე, როგორც მინდა,
და ჩემი ცხოვრების ერთი ღერძი,—
ლექსი, არის ჩემთვის უფრო წმინდა...
ცხრა მთას გადაფრინდა ის პათოსი,
ფიქრიდან ფიქრში რომ მახანებდა,
ცას რომ მიჭრელებდა, მალაღებდა!
რითმას მიბამდა და მახარებდა!
ქარმა, ქარვისფერმა გამაბრუა,
მზე მეგონა და იყო მთვარე,
დღე მეგონა და იყო ღამე!
გამომეღვიძა და... მითხარ რამე!

## ს ი თ ვ ა

ქარგა ჩემთვის კვლავაც მზაობს,
ოქროს ნემსი, ძაფი-ბროლი,
მინანქარი და მარჯანი,
თეთრი ფერის ცა — ბისონი!
ვერცხლმკერდ — აბრეშუმის ზეზი,
და ფიქრისებრ მშვიდი ქარგვა,
მზემზიანი ჩემი ეზო,
მადლიანი ქართლის ქარგა!
გრეხილი და კილიტები,
ეს ხელსაქმე — საკოსია!
მის სამშვენად ფიფინები,
ამ ცხოვრების სამოსია...
ბავშვობიდან ენა მზეობს,
ნაქარგითაც ბევრი მითქვამს! —
როგორც ლექსი იდუმალი,
სულის ლამპრად მშვენის სითვა!

## ნუ მკითხავ..

ნუ მკითხავ — როგორ ხარ,
ნუ მკითხავ — რას შვრები...
— ვგავარ ზღვას გაფენილ იალქანს,
რომელსაც მესაჭედ
ჰყავს მზე და ბავშვები,
დედა კი თავად ჰგავს ნიავ-ქარს!
ნუ გაიფიქრებ, რომ
ცხოვრებას დავნებდი!
...დროებით, დროებით ასეა...
მე ახლა ვივსები
სიმღერით და ვნებით,
ვცვლი დღეებს, —
ღრუბლიან პასეანსს...
მე მოვალ ყველასთან...
მე მოვალ ყველამდე...
იქნება ადრე თუ გვიანი!
და ამ სიყვარულის ზღვაში
ვარ ყელამდე,
მზე მზეობს, მზე ზეობს, მზიანი!
ნუ მეტყვი, რომ არ ვარ,
რომ არ ვარ დაღლილი,
— ჩემში ყველაფერი ბობოქრობს!
ეს დაღლაც შველაა,
ცრემლია და ღიმი,
ვერ შეეგუება დღე — ბოქლომს!
...ნუ მკითხავ, როგორ ხარ...
ნუ მკითხავ, რას შვრები...
ვგავარ ზღვას გაფენილ იალქანს,
რომელსაც მესაჭედ ჰყავს
მზე და ბავშვები,
დედა კი ძლიერ ჰგავს
ნიავ-ქარს!

## შ ე მ ო დ გ ო მ ა

შემოფინე ქარო, ქარვის ფოთოლი,
თორემ ამ გულს შემოეკრა ფითრი.
მერე რა, რომ ადამს უნდა გოდოლი
ბაბილონის. ამ ზეცას კი – ფიქრი...
ეს სარკმელი გახსნილია ჩემითგან...
გული ეძებს მაგ ოქროსფერს სიბრძნეს!
შემომღიმე, ეგ ფოთოლი მე მინდა!
გევედრები, ნუ წამართმევ სიყრმეს...
შემომქარგე ქარო, ქარვის ფოთოლი,
შემოდგომას ნეტავ რა დრო უყვარს?
მე აგიგე, მე აგიგე გოდოლი,
თაფლისფერი! – ნუ გადამყრი ურვას..
შუამავალს, თმაგაფრენილს, უხილავს,
ქარო, ჯიღად მოლოდინი გადგას...
სარკმელს ვუჭვრეტ,
ეგ ფოთოლი მე მინდა!
რადგან,რადგან,რადგან,რადგან,რადგან...
და სივრცეში ქარვისფერი ფოთოლი
ჩამაგულე... ჩემი სულის სუნთქვა!
სიოდ მისი ოცნებები შემყარე,
გევედრები, ნუ იქნები გულქვა!
შემომფინე, ქარო, ქარვის ფოთოლი...

## ალუჩებს

დღის გასაყარს ვუჭვრეტ
და დღის დასაწყისში
წვიმები რეცხავენ ხეებზე
ალუჩებს!
ჩამოკრა თორმეტმა
და ზურმუხტ-მაისში,
გრილი ცა ტკივილებს უწამლოდ
აყუჩებს.
ნამმა გააცეტა
კვლავ თოთო ფოთლები,
ცას ვარსკვლავთნაპკური უხდება
ვუალი,
სიზმრებო, ფერადნო, არა ხართ
ობლები,
შვილობას მე თქვენსას ვით ვუთხრა
უარი...
ღამის ჰაერ-შოლტებს ერწყმის
ხმა-შრიალი,
როგორც ღვინის ძალა და მადლი –
ამ ტუჩებს,
გტანჯავს ფიქრი ჩემზე, და ისევ
სიზმარი,
..წვიმები რეცხავენ ხეებზე
ალუჩებს!

## მ ე უ ღ ლ ე ს

მცირეა სიტყვების ქარავანი,
სათქმელი, საშენოდ მშვენი,
აქაა მომავლის ბალავარი:
ოჯახი, – ჩემი და შენი!
პეპლების ცისარტყელა ჩემს სიზმარში,
უდაოდ, გვირგვინად მშვენის!
ზღაპარი, აქამდე მონათხრობი,
გაცხადდა, – ჩემი და შენი!
ბილიკი, ბავშვობაში ჩაკარგული
და სახლი, ყველაფრის მშვენი!
როგორ ავიხდინეთ სასწაული!
შვილები! – ჩემი და შენი!
თვალების სიმრავლე და ვარდისფერი...
სათქმელი – მარტივი... ძნელი...
სიკეთე! ყველაზე მადლისმფენი;
ცხოვრება – ჩემი და შენი!
კალამი... იმედები... სურვილები...
ამ გულს, გულჩათხრობილს შველის.
არადეს იქნება ბორკილები,
ძვირფასო! – ჩემი და შენი!
მცირეა სიტყვების ქარავანი,
სათქმელი, საშენოდ მშვენი.
აქაა მომავლის ბალავარი,
ოჯახი – ჩემი და შენი!

## მომავალს

გვიანი ზაფხულის ფერები მესიზმრა
და მზე დაღლილობის ახლოს...
შენ, ჩემო პატარავ და ჩემო ძლიერო,
ამ გულთან ლხენით რომ სახლობ,
მაგონებ: ადრეა სუსხი შემოდგომის,
რომ მზე ძალას ახლას იკრებს...
ოჯახში პატარა ვარსკვლავი შემოდის!
შური კლავთ უსახურ ჭინკებს!
ბედის რჩეულობას აწი დაიჯერებს,
ეს გული, იმედით სავსე,
სახლ-კარი შვილებით, ალაგი იებით,
ნაკვალევს ბარაქით ვავსებ!
მე მზად ვარ, ძვირფასო!
ლხენით ჩამოგძახი და
შენით ამაყი ვმღერი:
ღმერთო, გაგვიმრავლე
ნაყოფი სიკეთის! –
შვილებით, – ბერი და ერი!

## იარებს

მზის სურნელია ჰაერს რომ ერწყმის,
ისე უბიწო ზეცა კრიალებს.
გაზაფხულივით მიღიმის ლექსი
და ვერ დამატყობს კვალს, ნაიარებს!
ვერ დავახატე ჩემი სინათლე,
გრძნეულ ჯადოქარს, უცხოს და უბირს!
შემოვიფარე ლბილი სინაზე,
დავტოვებ მარტო, უღირსთან უღირსს.
გაზაფხულია ახლა ჩემი დღე,
მე რა ვინაღვლო, — სხვა დაიღალოს,
მარტო დარჩენილს უცხო ბუნაგში,
ტყვია-ტყუილი გულს დაიხალოს!
ხო, ახლა მარტი მეფოფინება,
აპრილი თმებში თეთრს კვირტებს მიწნის,
სხვას თავის სევდა ემყოფინება,
ჩემი გული კი ტკივილებს იცლის...
გაუფერულდა რადგან სიმღერა,
ვერ შევასწავლე ანი და ბანი,
როგორ მეგონა, რომ დაიმღერა
ბედნიერებამ პატარა ქნარით...
წაბილწეს ყველა თეთრი ოცნება,
უფრთო ფიქრი და კეთილი სენი,
ვერსად ვიხილე მე გამოწვდილი
მართალი კაცის ძლიერი ხელი!
აი, ესაა ჩვენი ცხოვრება!
გამოცანა და ჩუმი ტყუილი,
მიტომ არ მოდის უფლის ცხონება,
რჩება ტკივილი და მგლის ყმუილი!
მაგრამ ახლა რა მოსატანია
ამ გაზაფხულზე ტვირთი და ვიში!
მზის სხივი ჩემთვის ხომ საფარია,
ნავსაყუდელი კი კიდევ ვისში?
მზის სურნელია ჰაერს რომ ერწყმის,
ისე უბიწოდ ზეცა კრიალებს,
მე დავიკარგე ისევ ჩემს ლექსში...
მე დავუბრუნდი ისევ იარებს...

## პ ა ს უ ხ ი

შენ რომ მკითხე, ძვირფასო,
გითხრა სიზმარმა რაო...
— მე ღიმილით მოვირგე
ვარსკვლავების მარაო!
თითების სიმრავლე და
ახდენილი ზღაპარი!
ოჯახში აინთება კიდევ
ერთი ლამპარი!
სახელები მერევა,
მეცინება, ვიბნევი,
ღმერთო, ყველას აჩუქე
ჭრელა-ჭრელა შვილები!
რაც კი მიოცნებია,
ან მიხატ-მიქარგია...
ნეტავ, შენ ვინ იქნები,
მომავალო, პაწიავ!
დედაჩემი იღიმის;
ეს რა ქნაო, ქალამა,
არ ყოფნის ცა ქუდად
და დედამიწა ქალამნად!
სწორედაც რომ ასეა,
წელში ვარ გამართული:
მყავს ხატული შვილები
და ოჯახი ქართული!

# ნონა დავითაია

* * *

*„რა უცებ იწვის თაია ზვინი“...*
**ტარიელ ჭანტურია**

რა უცებ მორჩა ყველაფერი
ჩემო თაია...
რა უცებ გაქრა შემოდგომა
მოკლე სიზმრების...
თებერვალია...
პირფერაობენ დედოფლები
მწუხრის კარებთან,
ქსილოფონზე კი თავს იკლავენ
ხის ფირფიტები...
ცრემლი სდის ზღაპარს,
მიტოვებულს, თეთრი კედლიდან
და ფორტე – ნიშნებს, –
კენჭებივით მსუბუქს და იაფს
აღარ აქვს ძალა ამულეტების...
– იქნებ ცოტაა,
– იქნებ ბევრია
ოთხი დრო ერთი ვიოლინოსთვის...

...რა უცებ მორჩა ყველაფერი,
ჩემო თაია?
...რა უცებ იწვის, თაია, ზვინი?

* * *

ჩუმად.
რაღაც მაღალი ისევ გიახლოვდება...
ისევ მოდის მესამე
თვალი – ლურჯი მდინარე!
ახლა უნდა იჩქარო...
ახლა უნდა მოასწრო...
ახლა უნდა მიუხვდე,
თორემ მერე ინანებ...

ახლა, როცა სავსეა
სივრცე ჩქარი ტალღებით,
როცა ციდან გრანელის
უცოდველი სხეული
წმინდანივით ანათებს, –
თორემ თეთრი სვავები
ისევ დასტრიალებენ
ახალშობილ ქალაქებს....
მერე ისევ შეგაკრთობს
დედა – შენი – სიჩუმე
ტრიუმფალურ ღამეთა
ფეხშიშველი ლანდებით,
მერე გვიან იქნება,
მუხლისთავზე დაცემა,
უცებ აგტკივდები და
უცებ გაგითავდები...
ხედავ? აწვიმს როიალს
უსასრულო სინესტე
ბნელი ფარდა–სცენების
მღვიმით შემორკალული...
დაღლილ ცისარტყელების,
დაღლილ ჰორიზონტების,
დაღლილ სირინოზების,
ბგერა არაქალური...
ხედავ? როგორ წკარუნებს
მელნის თოთო მარიხი,
როგორ გტირის ლაზარე,
როგორ მოგდევს ელადა, –
ველარ გახდი საკუთარ
თავზე გოჯით მაღალი,
ხერხემლიდან მზე – კარდუ
ველარ ამოელვარდა....
ჩუმად...
მიდის ზაფხული
მდარე სველი ქარებით...
ჩარღვეული საზღვრით და
ჩაკეტილი კარებით...
...გადავიდეს ივნისი...
...გადავიდეს ივლისი....
...გადავიდეს აგვისტოს
რია – რია – რიები...
იქნებ გადაარჩინო
სიზმარივით ჩამქრალი,
მონანიე სიცოცხლე
თეთრი მაგნოლიების...

* * *

*ოდეო – ვმღერი*

ნატვრა ვინატრო: სულ შენ მაკლდე.
სულ შენ  ტკიოდე.
არ მასვენებდეს მზის ნატორი გუმბათის ყელზე.
არ მახსენებდეს ვაზის ცრემლი ჩაშლილ ბოგირებს.
არ მაკლდეს ძილში ჩარჩენილი სიზმარი – ტაო.
ჩატეხილ მკერდში არ ყვაოდეს ფერი  დაისის.

ნატვრა ვინატრო:
არასოდეს წახვიდე ჩემგან.
შუბლს მიკოცნიდეს თეთრი კრავი მშვიდი ნათების
და ქვის ლომები დარაჯობდეს ისევ აიას.
ვცეკვავდეთ ზღვასთან და ზღვა იყოს უცოდველი,
აუმღვრეველი.
ჩუმად ვიტანდე წვიმაწყლების ეჭვიან ხარხარს.
ჩუმად მომწონდეს შუშაკირდე, თეთრი ფრთოსნების
და მქონდეს თვალი ცამდე სავსე შენი სახელით.

ნატვრა ვინატრო:
ბზა უჩრდილებდეს
ირმის ჯოგით ამოქარგულ კარიბჭის დეკორს.
მოცხარს გიკრეფდე. მასწავლიდე ფრინველთა  ენას.
და მანამ, სანამ უსაგნობა დაგვცვივა ფერფლად
და სანამ ჩრდილი გახდებოდეს ხორბლისოდენა,
ვარდის ფურცლებით ვაგრილებდეთ ღამის ქალაქებს.

ნატვრა ვინატრო:
ფრთხილად გიყვარდეს ,,ოდოია“ –  იაფეტური.
ვცეკვავდეთ ზღვასთან და ზღვა იყოს უცოდველი,
უცხოდ კამკამა
და მკლავჩაბმული სასწაული – ცეცხლი ხორუმის, –
შენს პირველყოფილ და საძეო ლოცვად მიმაჩნდეს...

ნატვრა ვინატრო:
ფრთას ვისწორებდე.
გზას ვიწყებდე.
თავი მომწონდეს.

# იმედიანი სევდა

## არმაზიდან სამთავროში

2005 წლის 14 და 15 დეკემბერი განსაკუთრებული სიწრფელით, სიყვარულითა და განცდათა ღელვით აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში.

დაბადებიდან 100 წლის თავზე, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით, ლევან გოთუა არმაზის მიწიდან მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში უნდა გადმოსვენებულიყო.

14 დეკემბერი იყო დღე ახალი შეყრისა ლევან გოთუასთან გარდაცვალების შემდეგ, ისევ არმაზში, სადაც მასთან ერთად გავატარეთ ჩვენი საინტერესო ბავშვობა და სადაც უფროსების მეთვალყურეობის ქვეშ ჩამოყალიბდა ოჯახის, სამშობლოს, დედაეკლესიისა და წიგნის სიყვარულის განცდა.

უნებურად მახსენდება ლევან გოთუას ბოლო ნაწარმოების „სერაფიტას“ ფინალი: „... და ახლა, ვინ იცის, როდის, როდის შევხვდებით ურთიერთს?... და საერთოდ შევხვდებით კია?!..ანახალ შეყრისას ამოვიცნობთ ჩვენს უთქმელ კავშირს? ამიტომ ხომ არ არის ყოველი ადამიანი ასეთი რთული ამოცანა?!.. დაე, ეს გრაგნილი იყოს ჩვენი მეხსიერება... საწინდარი ჩვენი შეყრისა – ათას და ათას წლებში გადატყორცნილი!“

და მაინც, როგორი იყო ეს შეხვედრა 32 წლის შემდეგ?

ზამთრის სუსხი ძვალ-რბილში ატანდა, მზიანი დღე იდგა, თუმცა მტკვრიდან მონაბერი ქარი მაინც მარჯვობდა და მესაფლავის ნიჩბის კაკუნს უწყობდა ხმას... ველოდით, უკვე კაი ხანია ველოდით, მაგრამ სასახლის ნაწილების გამოჩენას ჯერ კიდევ ბეტონის დამცავი ფენის აშრევება და არმაზის მიწაში კიდევ უფრო ღრმად ჩასვლა უსწრებდა წინ. როგორც ოდესღაც, მთამსვლელობისას მწვერვალებზე აღმა-აღმა მავალს, ისევ ქვემოდან უნდა ამოეხედა და როგორც ქართველმა მამულიშვილმა, პოეტმა სილოვან ნარიმანიძემ ბრძანა: „კიდევ ერთი დღით თვალი მოევლო მისი უსაყვარლესი და ნანატრი სამშობლოსათვის”.

პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ჯვარისმამის წინამძღვარი, დეკანოზი მამატარიელი (სიკინჭილაშვილი) და დავითგარეჯის მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი მამა ილარიონი (ჭიღლაძე) ლევან გოთუას ნეშტის გადმოსასვენებლად ერთხელ უკვე ჩამობრძანდნენ არმაზში, მაგრამ სასახლის ზედაპირი ჯერ კიდევ არ ჩანდა... დაგვიბარეს: კვლავ ჩამოვალთო, მოგვიანებით. ჰოდა ჩვენც, ოჯახის წევრები, ახლობლები და თაყვანისმცემელნი, მოთმინებით ველოდით ლეგენდარული ლევან გოთუას ნეშტის გამოჩენას. ბინდში გაეხვია არმაზის ხეობა, გაფაქიზდა გრძნობა, გაირინდა სიტყვა და მესაფლავის კაკუნი საუკუნეთა ოდრიკალებს გადაეცა...

ახლა მეზობლების მოხელეები მოგვეხმარნენ, მამაკაცები ცვლიდნენ მესაფლავეს... სინათლეც გადმოიყვანეს და გაჩახჩახდა საფლავზე მდგარი ძეგლი, რომელიც ქვისა და ქანდაკების ხელმადლიანმა ოსტატმა, ბატონმა ჯემალ თუშურაშვილმა უსასყიდლოდ უძღვნა ლევან გოთუას ხსოვნას.

– ჩემი და ჩემი მეგობრების ცხოვრება ლევან გოთუას და სხვა ღირსეულ ქართველთა სულებზე, როგორც სალესზე ისე აილესა და მათგან მიღებულმა შთაგონებამ გზახსნილად გვაკეთებინა მრავალი სასიკეთო საქმე. ამბობს ბატონი ჯემალი და თან დასძენს, რომ „მისთვის ლევან გოთუას ხსოვნისადმი მიძღვნილი ძეგლი განსაკუთრებულია, როგორც სიყვარულსა და წიგნზე დაფუძნებული, მუდმივი მოძრაობისა და თავგანწირვის ეროვნული სიმბოლო“.

მომავალი ანგელოზი ცალი ხელით აკურთხებს განუწყვეტელი ბრძოლისათვის მზადმყოფ ფარ-ხმალს, მეორეში კი – გადაშლილი წიგნით გმირთა ვარამზე მოგვითხრობს:... ბერ-ნამეფარი ალექსანდრე ხატის ნიშში მისჩიხა შეჭირვებულმა ერმა და კათოლიკოსმა მეფედ შემობრუნება ავალდებულა.

„– ვაი კაცს,ჯერ საეროდან განდევნილს, მერმე ბერობიდან გამოძევებულს! ვაი ბერს – ნამეფარს... მეფობაზე შემობრუნებულს! ღმერთო, შენ მიშველე, ღმერთო, შენ! თავს ნუ მაკარგვინებ! სულსა და თავს! – მოთქმით ჩურჩულებდა, ხმამაღლა ფიქრობდა ალექსანდრე“... და პირი იბრუნა, მოხედა ერს.

წიგნზე გამოსახული სიტყვები მეფე ალექსანდრესია – „არა ღმრთისათვის,არა ჩემთვის, არამედ თქვენთვის, და ერთობლივ საქართველოსთვის“... და გრძელდება სიტყვა მწერლისა: „ვიბრუნებ ამ მძიმე ხვედრსა და გვირგვინს. ყველასათვის კეთილქართველობა და გულდამშვიდება მითხოვია... ვალის შეგნება და მადლი მისურვებია! უდანაშაულოდ დასჯილთ სრული სამართალი აღუდგეს,საპატიებელთ – ეპატიოს! ღვთისმშობლის მფარველობა და ალაზნის მადლი და ბარაქა თქვენ! ჩემთვის შავბერულ ჩოხას ვიტოვებ! – გვირგვინი პირდაპირ ბარტყულაზე დაიდგა, ალამსა და ჯვარძლიერს ემთხვია. ხმალი კი აღარ შეირტყა, აქვე გიორგი ბატონიშვილს დაულოცა, თანამესაყდრედ გაიხადა”.

ლევან გოთუას მეფე ალექსანდრე თვით უსამართლოდ დასჯილი მწერლის ცხოვრების ვარამსაც ამბობს და შორეული გადასახლებიდან მერამდენეჯერ შემობრუნებულ იმედსა და თავგანწირვასაც.

უფრო დაღამდა არმაზში,უფრო მეტად გაბრწყინდა გმირთა ვარამის ძეგლი არმაზის ხეობაში. მესაფლავემაც იმარჯვა, მალე კარგად შენახული სასახლე და მთელი სუდარა გამოაჩინა,შემდეგ სუდარაც გადაუხსნა ტანჯულს, მწერლის კარგად შენახული ნეშტის ნაწილები ფრთხილად ამოალაგა და ფაქიზად ჩაასვენა ახალ სასახლეში. მწერლის ნეშტიც ახალი სუდარით შეიმოსა.

– როგორი ძლიერი ძვლებია, მტკიცე, მორკინალი, უტეხი... ისეთი როგორი გმირებიც ჰყავდა, აკი ამბობდა, რომ წინაპართა ძვლებით უნდა შევებრძოლოთო მტერს! საგულისხმოა,რომ ლევან გოთუას ფეხსაცმელებიც ისეთი შემონახული იყო,ეჭვი არ შეგეპარებოდათ,რომ ისიც მოუთმენლად ელოდა ამ დიდებულ გადმოსვენებას.



დაბრუნდნენ მოძღვრები: მამა ტარიელი და მამა ილარიონი. მამა ტარიელმა თან თავისი ოჯახის წევრები და მგალობლები ჩამოიყვანა, მათ შორის აწ განსვენებული და სამთავროს დედათა მონასტერში დაკრძალული მადლმოსილი მორჩილი, ჭედური ხელოვნების დიდოსტატი ანა (ლია მიქიანი) და მორჩილი მარიამი (ირემაშვილი),ამჟამად მონაზონი ანა. ბუნებრივად მოხდა, რომ ის სასულიერო პირები და თაყვანისმცემლები შეეგებნენ პირველად მწერალს, რომელთაც განსაკუთრებული სასოება და პატივისცემა ჰქონდათ ლევან გოთუას მიმართ. თვით მწერლისთვისაც, ალბათ,სულიერი,სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა იქ მყოფთ. ნიშანდობრივია, რომ მოძღვარი,რომელმაც პატრიარქის ლოცვაკურთხევით აღასრულა ეს გადმოსვენება იყო მამა ტარიელი- დიდი შოთას ვეფხისტყაოსნის ფორაჯიანი გმირის მოსახელე, მხნე და სულით ხორცამდე ქართველი ღვთისმსახური, ისეთი, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ეყრდნობოდა ერი ჭირსა თუ ლხინში, ვინაც სახეა გატანისა და ძალგულოვანი, შეუპოვარი ბრძოლის...

ლევან გოთუასათვის შემოქმედების საზომი „ვეფხისტყაოსნის“ სამყაროა, სწორედ ამიტომაც მან რუსთაველს უძღვნა „გარეჯულა“ სიტყვებით:„მას,ვინაც თავად განიძარცვა და უკვდავი წიგნი ვეფხის ტყავით შემოსა“. „გარეჯულა“–დავით-გარეჯის უკვდავი სული,რომელმაც ეკლის გვირგვინი დაიდგა და ჯვარზედ გაკრულმა, ორივე ხელით სახელოვანი სასულიერო წიგნები,ძლიერი და მდიდრულად შემკული ხატები და განძ-ჭურჭელი ურდოთა მუსვრისგან გადაგვირჩინა, მესამე ხელით კი ვეფხისტყაოსანს უპატრონა.

მამა ილარიონი „გარეჯულას“ ჩამოჰყვა ლევან გოთუასთან, დავით-გარეჯის უდაბნოს ქვაბ-ტაძრებისა და სენაკების სუნთქვა და მოუღლელი ლოცვის ძალა და მადლი ჩამოიტანა.

„ხშირად, ერის სულიერ სახის შეს-

ანახავად და შესამტკიცებლად, წიგნი უფრო საჭიროა,ვიდრე მუზარადი!.. მკაფიო სტრიქონი – ვიდრე შუბი! მოწოდებრივი, ფეთქადი აზრი – ვიდრე გუნდი ლაშქრისა! ხოლო წიგნისეული გმირები, სამშობლოს დასაცავ ზღვართან,ისტორიული გმირების პირველ წყებაში დგანან!“ – წერდა ლევან გოთუა მის ნარკვევში „ვეფხის წიგნი და სვეტიცხოვლის სამყარო“ და თვითონაც სულდგმულობდა სვეტიცხოველით, ვეფხ-ისტყაოსნით, საქართველოს ისტორიული წარსულითა და მომავლით.

„დიდი მდუმარებაც შენი იყო,გარეჯუ-ლავ,ქვასა და კლდეში ხილვით ნათქვამო სიტყვავ! ყველა ელის შენს სამხელა შემობრუნებას!“–წერდა ლევან გოთუა და ახდა კიდეც, შემობრუნდა ისტორია, მრავალტანჯულ მწერალს განსასვენებელი მიეჩინა, მისი წიგნებისეული გმირები კი კვლავაც პირველ წყებაში დგანან სამშობ-ლოს დასაცავ საზღვართან.

კიდევ უფრო ჩამოწვა ღამისეული ბინდი არმაზში, უფრო მეტად გაჩახჩახდა გმირთა ვარამის ძეგლი არმაზის ხეობაში, შორიდან თითქოს კელაპტრად აენთო. მამა ტარიელმა და მამა ილარიონმა პანაშვიდი გადაუხადეს მწერალს. მის ნეშტთან ჭირისუფლები, ერი და ბერი, მგალობლები და მთელი არმაზის ხეობა ერთმა სიყვარულმა, კრძალულებამ, პატივისცემამ და მადლიერებამ აიტაცა. ისმოდა ლოცვა, გალობა... ლევან გოთუას სასახლეს ერთი მხრიდან მრავალჭირდამთმენი მამა ტარიელი და მეორე მხრიდან დავითგარეჯელი მამა ილარიონი ამოუდგნენ, მათ მიყვნენ მგალობლები,ოჯახის წევრები,ახლობლები, თაყვანისმცემლები... და ლევან გოთუამაც ახალნაკურთხი სასახლით კიდევ ერთხელ შემოუარა მის საყვარელ კარ-მიდამოს და გეზი სამთავროსკენ აიღო. არმაზის ეზოში კი დარჩა გაბრწყინებული გმირთა ვარამის ძეგლი და სიბნელეში ციცინათელებად მიმოფანტული ანთებული მრავალი სანთელი,ნიშნად უდიდესი მადლიერებისა უფლის, ზეციური მხედრიონისა და საქართველოს ეკლესიის მიმართ.

დამთავრდა „არმაზის პერიოდი” და დაიწყო „სამთავროს პერიოდი”.

იქ კი, ღამის შუქზე გაცისკროვნებ-ული სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის კარიბჭესთან შავმონაზვნურ შესამოსელში დედა იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი) და მონასტრის დედები, თა-ვიანთი დარბაისლობით,კდემამოსილებითა და გულმხურვალებით, როგორც სულიერი სიმბოლო ჭირისუფალი საქართველოისა, გალობითა და ანთებული სანთლებით მიეგებენ მწერალს. ლევან გოთუა სი-ცოცხლეში ეთაყვანებოდა წმიდა ქეთევან წამებულს და განგებამაც ინება, რომ გარდაცვალების შემდეგ წმიდა ქეთევან წამებულის სახელდებით ნაკურთხმა იღუმენიამ, ქართული სულიერი პოეზიით მლოცველმა – დედა ქეთევანმა და სამთავ-როს დედებმა მიიღეს და მოსახსენებლად ჩაიბარეს მარტვილი მწერლის სული. „წმიდაო ღმერთოს“ გალობით მწერლის ნეშტი დაასვენეს სამთავროს მაცხოვრის ფერისცვალების ტაძარში. ისევ ილო-ცეს მამა ტარიელმა და მამა ილარი-ონმა ლევან გოთუას სულის საოხად... „...საუკუნოდ იყავნ ხსენებაი ამისი, ხსენებაი და კურთხევაი ამისი. სულმან მისმან კეთილთა შინა განისუენოს და ნათესავმან მისმან დაიმკვიდროს ქვეყანაი“... ...უკმიეს ნეშტს და თითქოს ისიც მადლიერების გრძნობით აენთოო, მისი ტანსაცმელიც ოდნავ საკმევლის ნაღვერდალით გაღივდა... დედა ქეთევანმა და დედა ტატიანამ (ბოკუჩავა) მწერლის ამ გრძნობის ღადარსაც უსალბუნეს და კუბოს სიმშვიდის საფარველში განასვენეს. დედა პარასკევამ (როსტიაშვილი), დედა ნანამ (აგლაძე) და დალი მშვენიერაძემ ფსალმუნთა კანონებით ღამე უთიეს მწერალს.

15 დეკემბრის დილას იღუმენმა მამა ისააკმა (ფირცხალავა) საუფლო ლიტურღია აღასრულა წმიდა აბიბოს ნეკრესელის ტრაპეზზე ლევან გოთუას სულის მოსახსენებლად. გალობდა და ზეიმობდა სამთავრო,ტკივილსა და სევდას სიყვარულისა და სასოების საკმეველს უკმევდა...

შუადღისით თბილისიდან ჩამოვიდა წმიდა სამების ტაძრის იღუმენი მამა ადამი (ახალაძე),საქართველოს მეფეთა და დედოფალთა ღვაწლის დიდი დამფასებელი, ლევან გოთუას და საქართველოს სხვა ღირსეულ შვილთა მხურვალე მომხსენებელი. მან პანაშვიდი გადაუხადა საყვარელ მწერალს და პატივი მიაგო მის ხსოვნას. შიო-მღვიმის მამათა მონასტრის წინამძღვარმა და სამთავროს დედათა მონასტრის მაშინდელმა სულიერმა მოძღვარმა, არქიმანდრიტმა მიქაელმა (გაბრიჭიძე) დიდი ღვაწლი დასდო ლევან გოთუას გადმოსასვენებლად. მისი ლოცვა-კურთხევით საფლავზე პანაშვიდი აღასრულა მღვდელ-მონაზონმა მამა გაბრიელმა (ქაჯაია), რომელმაც საბოლოოდ აკურთხა მწერლის უკანასკნელი განსასვენებელი მცხეთა-

ქალაქის მოციქულთა სწორი წმიდა ნინოსა და საქართველოს პირველ ქრისტიან მეფე-დედოფლის წმიდა მირიანისა და წმიდა ნანას ნატერფალ, საოცნებო და სათაყვანებელ მიწაზე.

მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გახსენების ცერემონიალს სათავეში ჩაუდგა ლევან გოთუას უახლოესი მეგობრების, ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეების ლეგენდარულ მთამსვლელთა ოჯახის ღირსეული წარმომადგენელი, ქართული ალპინიზმის ისტორიის მკვლევარი, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი ივანე ჯაფარიძე, რომელმაც ასე მიმართა შეკრებილ საზოგადოებას: „დღეს, როცა საქართველოს ასე სჭირდება ერის ბედ-იღბალზე დაფიქრებული და ზნეობით შემკული, სპეტაკი ადამიანები, კიდევ უფრო მწვავედ განვიცდით ბ-ნი ლევანის არყოფნით გამოწვეულ ტკივილს, მაგრამ სწორედ დღეს, არმაზიდან აქ, მცხეთის უწმინდეს სავანეში გადმობრძანებით, ბ-ნი ლევანი ნიშანს გვაძლევს, რომ იგი ჩვენთანაა და გვაფრთხილებს: „გამოფხიზლდით, ქართველებო, უღმერთოთა, ბნელეთის მოციქულთა და რჯულგაყიდულთა თარეშსა და ორომტრიალში, სამშობლოს მიხედეთ, ხელიდან არ გაგისხლტეთო!“ ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს აქ, ამ მიწაზე გადმოსახლებით, ბ-ნი ლევანი დავით აღმაშენებლის შეგონებას, მის ანდერძს მიჰყვება და ყველას მოგვიწოდებს: „გულზე დამადგით, ფეხი დამადგით, გულზე ყოველთა“... ჩვენ, ბ-ნი ლევანის მომდევნო თაობა, ვალში ვართ დიდებული მწერლის წინაშე, რადგან ჯერ კიდევ ვერ გავისიგრძეგანეთ მისი სიდიადე და მასშტაბურობა, ვერც სიცოცხლეში და ვერც სიკვდილის შემდეგ, ვერ მივაგეთ ღირსეული პატივი. გვაპატიე, ბ-ნო ლევან, ამ ცოდვისათვის!

საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და მწამს, დადგება დრო, როცა იგი გაბრწყინდება და ახალი თაობა შესაფერ პატივს მიაგებს ყველა იმ ჭეშმარიტ მამულიშვილს, ვისაც სამშობლოს სიყვარულისთვის „ხელფეხზე იმდენი მავთული დაახვიეს, რომ მთელ დედამიწას შემოერტყმოდა“.

– გემშვიდობებით, ბატონო ლევან და გწამდეთ, ვიდრე ვიცოცხლებთ, თქვენც ჩვენს გვერდით იქნებით, ვითარცა მოძღვარი და მაგალითი მოყვასის სიყვარულისა!“

აწ გარდაცვლილმა, ღვაწლმოსილმა ქართველმა პოეტმა სილოვან ნარიმანიძემ ლევან გოთუასადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა.

საქართველოში საბჭოური პერიოდის

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და თანაგრძნობის საზოგადოება „მემორიალი“, მწერლის პატივის მისაგებად დიდი წარმომადგენლობით ჩამობრძანდა სამთავროში, მათ შორის: ბატონი გურამ სოსელია, აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე, პროფესორი ბაადურ რაჭველიშვილი, ბატონი ილამაზ მიწიშვილი და სხვები, რომელთაც გაიხსენეს ლევან გოთუას მძიმე თავგადასავალი და მამულიშვილური ღვაწლი.

მწერლის შემოქმედებასა და სამშობლოს წინაშე აღსრულებულ მოვალეობაზე გულმხურვალე სიტყვა წარმოთქვა იღუმენმა ადამმა.

პოეტმა ქალბატონმა, ნინო ქუთათელაძემ გაიხსენა ლევან გოთუა, როგორც ოჯახის ნათესავი, თბილი, მოსიყვარულე ბიძია ლევანი, მისი ქომაგი და პოეზიის მესაიდუმლე.

მაია გოთუამ წაკითხა ლევან გოთუას ორი ლექსი. ერთი უკიდურესად ტრაღიკული, დაწერილი შინაგან ციხეში, მესამე გადასახლების წინ 1946 წელს, როდესაც ის, უკვე ცნობილი მწერალი, განწირული იყო შორეულ ციმბირში მესამე გადასახლებისათვის...

მართალია, ლევან გოთუა უდანაშაულოდ პირველად 19 წლის ასაკში დაატყვევეს, მაგრამ განსაკუთრებული მოსაგრეობა მისი ცხოვრების გარიჟრაჟზე მან სოლოვეცკის მონასტერში გამოავლინა. სოლოვეცკის 6 ერთმანეთთან დაკავშირებული კუნძული შორეულ ჩრდილოეთშია, თეთრ ზღვაში, დვინისა და ონეგის უბეებს შორის, კუნძულების დიდი ნაწილი დაფარულია ასწლოვანი ფიჭვნარ-ნაძვნარით, იქვეა ბევრი დაჭაობებული და სახიფათო ტბა. სოლოვეცკის კუნძულებზე XV საუკუნის 20-30-იან წლებში დაარსდა მსოფლიოში ერთერთი უდიდესი მამათა რუსული მონასტერი, რომლის ტერიტორიაზეც

ცოტა მოგვიანებით აშენდა მსოფლიოს მერვე საოცრებად მონათლული უნიკალური ხუროთმოძღვრული სამონასტრო კომპლექსი. სამწუხაროდ, სოლოვეცკის მონასტერი საბჭოთა ხელისუფლების დროს პოლიტიკური პატიმრების უსასტიკესი ტანჯვა-წამების საპყრობილე გახდა, რომელშიც უსამართლოდ რეპრესირებულებთან ერთად თავმოყრილი იყვნენ რეციდივისტები, მკვლელები, კანონიერი ქურდები. მათ სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებები ჰქონდათ გადასახლებულებთან. თამარ და ალექსანდრე გოთუების წიგნიდან „თავგადასავალი ლევან გოთუასი“ ვიგებთ, რომ 1926 წელს ქართველების ჯგუფმა ლევანის მონაწილეობით იშიმშილა 20 დღე იმ მოტივით, რომ გაემიჯნათ პოლიტიკური პატიმრები ბანდიტებისაგან. ბოლოს ცოცხალმკვდარი მოშიმშილეები საავადმყოფოში გადაიყვანეს, მართალია, გარკვეული დროის შემდეგ მათ მიაღწიეს იზოლაციას ბანდიტებისა და ყაჩაღებისაგან, მაგრამ სამწუხაროდ, ბევრი დაიღუპა და მხოლოდ შვიდი გადარჩა, მათ შორის 21 წლის ლევან გოთუა. მას შემდეგ მრავალმა წელმა, ქარტეხილმა, დამცირებამ და ფიზიკურმა წამებამ ჩაიარა, სად არ იყო და რა არ განიცადა, საქართველოზე შეყვარებული, მისგან განდევნილად გადასახლებაში 22 წელი იტანჯებოდა... თავის თავზე ის ასე წერდა: „ვიყავი პატიმარი საკონცენტრაციო ბანაკის, კატორღელი, დანომრილი, გვარწაშლილი, ვიჯექი სხვადასხვა სახის „იზოლატორში“, რამდენჯერმე „სასიკვდილო საკანში“ ჩაბორკილი.



დახურულ ციხეებს ხომ ნუ ჩამოთვლით – თბილისის, მოსკოვის, სოლოვკების, ნარიმის, ბიისკის. ეტაპებით სად არ მათრიეს, სად არ გადამაგდეს, სად არ მაწვალეს... ...ვფიქრობ, ერთი ადამიანისათვის ეს ბევრზე ბევრია გადასატანად და დაუჯერებელიც. მაგრამ მწარე ფაქტია და სინამდვილე. განა მე მარტო ვარ ამისთანა? მილიონობით ხალხია გაწყვეტილ-განადგურებული, ცოცხლად დამარხული, უუფლებოდ დარჩენილი, დაკნინებულ-დაჩაჩანაკებული“ (ლევან გოთუას წერილები ბანაკიდან წიგნში „თავგადასავალი ლევან გოთუასი“). ღმრთის მადლით მას არასოდეს დაუკარგავს ღირსება, თუმცა ყოფილა მიჯნაზე, სადაც სევდა ებრძოდა იმედს, მაგრამ მაინც სიყვარული მარჯვობდა და მაღალი ღმერთი იფარავდა მწერალს.

გადასახლებათა შორის მოგზაურობდა, მთამსვლელობდა, მრავალი ახალი მწვერვალის დალაშქვრასა და ნათლობაში მიიღო მონაწილეობა, სად არ ავიდა და რა არ იკვლია: კაცხის სვეტი, თუ ხვამლის ციხე-ქვაბული, ალექსანდრე მეორეს კახეთი, თუ მითრიდატე პონტოელის საქართველო. სულ კითხულობდა წიგნებს, ითხოვდა და იკვლევდა, ჩხრეკდა ისტორიულ წარსულს ციხეებსა, თუ გადასახლებაში, შინ, თუ მოგზაურობაში, სვეტიცხოველსა, სამთავროსა თუ შიო-მღვიმეში, ალავერდსა, გრემსა თუ ნეკრესში, დავით-გარეჯსა თუ ხერთვისში... სად არ წერდა? წერდა სამუშაო მაგიდასთან და კატორღაში, სანთლისა თუ ჭრაქის შუქზე, მშიერი და მოყინული, სისხლში დათხვრილიც, შრომისგან არაქათგამოცლილიც, მაგრამ მაინც მხნე და იმედიანი, ლოცულობდა, იმაგრებდა გულს, სხვასაც ამხნევებდა და გაჭირვებულთ ეხმარებოდა...

„გმირთა ვარამიც“ ხომ გადასახლებაში, გაუსაძლის პირობებში, ღრმა შახტაში დაიწერა და ფურცელ-ფურცელ ხის მორებში დამალული, მრავალი ქართველი თუ სხვა ეროვნების თანამოაზრის სიცოცხლის რისკის გაწევით შორეული ციმბირიდან საქართველოში საიდუმლოდ გადმოიგზავნა. ან კი როგორ წერდა ისტორიულ ნაწარმოებებს საქართველოსგან მოწყვეტილი? მისთვის გაგზავნილი ისტორიული წყაროები ხშირად იგვიანებდნენ, ან კი სიმწრით ნაშოვნი და გადაგზავნილნი, ეროვნულ-პატრიოტული მოტივის საბაბით ცენზურის მიერ უკუგდებულნი, ვეღარ აღწევდნენ დიდი მოლოდინით მღელვარე ქართველი მწერლის კატორღულ ყოფამდე. ოჯახისადმი მოწერილი მისი წერილები უმრავლეს შემთხვევაში თავდება თხოვნით

კვლავ და კვლავ წიგნების გადმოგზავნის თაობაზე, რომელთაც ოჯახის წევრები მამაცურად ხან ლეგალური, ხან კი გასაიდუმლოებული გზით სისტემატიურად უგზავნიდნენ ისედაც გადასახლების ცხოვრებით განაწამებ ლევანს.

„... ვაგლახ, ჩვენ სამშობლოსათვის არც მკვდრებში და არც ცოცხლებში ვწერივართ. ყოფილა რაღაც მესამე, დაუძლეველი ძალა, მესამე მდგომარეობა, მაგრამ, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, არ დაგვიკარგავს და ჩვენც გაგვაჩნია გვარიშვილური თავმოყვარეობა, შესაძლებელია ცოცხლებზე და თავისუფლებზე მეტიც, ჩვენ ხომ უდანაშაულო პატიმრები ვართ, მაშასადამე წამებულები, არც ზედმეტ ბარგად ვგრძნობთ თავს მომავალი ჩვენი სამშობლოსათვის. ჩვენ აქ ვშრომობთ უფრო მეტად, ვიდრე მანდ სათავისუფლოში....“– წერდა ლევან გოთუა გადასახლებიდან და აიმედებდა ახლობლებს: „...და თუ ისევ მომიხდა მესამედ ცხოვრების თავიდან დაწყება, კიდევ მოვახერხებ ჩემს ერს მთელი გულით სიყვარული გადაუშალო და საქმით ერთგულება დავუმტკიცო, ვიდრე მე ცოცხალი ვარ, მელოდეთ, უსათუოდ გამიმართლებს იმედი... ...ჩემს კისერზე იმდენი ორომტრიალი ამოგორდა და გადაიყარა, მჯერა, სადმე ცისარტყელა დამხედავს“... – წერდა მწერალი.

მესამე გადასახლებიდან საქართველოში ლევან გოთუა 1955 წელს დაბრუნდა და 50 წლისამ კიდევ ერთხელ ახლიდან დაიწყო ცხოვრება. მთელი მისი მოღვაწეობა უფლისა და საქართველოს სამსახურში ჩაიფერფლა...

ლევან გოთუა დაიბადა 1905 წლის 10 მარტს, 68 წლის ასაკში ამა ქვეყნიდან უფალმა გაიყვანა 1973 წლის 30 იანვარს, ანტონი დიდის ხსენების დღეს, დაიკრძალა არმაზში.

არმაზში განეშორა ლევან გოთუას ნეშტი და გმირთა ვარამის ძეგლი ერთმანეთს. ძეგლის ავტორმა, ბატონ ჯემალ თუშურაშვილმა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით ბოლო ჟამს მრავალი ქვაკვეთილობა აღასრულა წმინდა სამების საკათედრო ტაძარში. მის მადლიან მარჯვენას ეკუთვნის წმიდა ნინოს, ანდრია პირველწოდებულის, გრიგოლ ხანძთელისა და ტაო-კლარჯეთში გაბრწყინებულ და სხვა წმინდანთა ქვაში ნაკვეთი ხატები.

ბატონი ჯემალ თუშურაშვილი საუბარში სიტყვაძვირია. ის მოკრძალებულად ამბობს: – ლევან გოთუას ხსოვნისადმი მიძღვნილი ძეგლის შთანაფიქრი პირველად უფლის ბრწინვალე აღდგომის დღის მადლით დაილოცა, ძეგლიც გასრულდა და მას შემდგომ მადლი არ გაჩერებულა... საერო პირისადმი მიძღვნილი ქანდაკებიდან წმიდა სამების საკათედრო ტაძრის ქონგურებზე ამიყვანა და საქართველოს წმინდანთა და გამაერთიანებელ დიდ ქართველ მეფეთა: ბაგრატ მეფის, წმიდა დავით აღმაშენებელის, წმიდა თამარისა და გიორგი ბრწყინვალეს ხატები ქვაში მაკვეთინა...

ბატონ ჯემალ თუშურაშვილმა კვლავ უპატრონა ლევან გოთუას საფლავს. კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და შიო-მღვიმის მამათა და სამთავროს დედათა მონასტრების სულიერ მოძღვართან, არქიმანდრიტმა მიქაელთან შეთანხმებით, მან ლევან გოთუას ახალი საფლავის ქვაზე გამოკვეთა ძველქართული ბოლნური ჯვარი და ვით საგვარეულო ღერბი, გმირთა ვარამის ძეგლის გამოსახულება... მწერლის სახელი და გვარი, წლები ქვეყნად მოვლინებისა და გასვლის, რომლებიც უსაზღვრო სიყვარულის, თავგანწირვისა და მარტვილობის ექოს გამოსცემენ გმირთა ვარამითა და ძლევაი ძლიერით შემკულ გარდასულ დღეთაგან... ეს ქვაში აჟღერებული ლეგენდა ბატონმა ჯემალმა ლევან გოთუას მიუძღვნა კვლავაც უსასყიდლოდ, გულმართლად და უკვდავსაყოფად... ისე როგორც ოდესღაც თვით ლევან გოთუამ სვეტიცხოველის ტაძარში მისი სათაყვანებელი მეფე ერეკლეს რუსულწარწერიანი საფლავის ქვა ძარღვმაგარი კურსების ქვით შესცვალა და მებრძოლი მეფის ფარ-ხმალზე მადლიანი ქართულით ამოატვიფრინა მეფე ერეკლე მეორე, რითაც გამოხატა „კრწანისის სევდის“ მთავარი ჭირისუფლის თანაზიარობისა და პატივისცემის განცდა.

სამთავროს მონასტრის ეზოში, ტაძრის ლამაზხატული ჩუქურთმის ქვეშ და სიყვარულის ქადაგის, გაბრიელ ბერის მახლობლად გამართლდა, განმეორდა ლევან გოთუას მოწამებრივი და არა „ხელმოცარული“ სასწაული...კვლავ აღმოცენდა მისი შეუცნობელი სიყვარული... ერთ სიცოცხლეში მიფარცხული და ვერ გახსნილი, მაგრამ უკვე მზის კილოზე ამღერებული მისი სიმღერა: „სერაფიტ – სულო ჩემო!... სახევ ჩემი ერისა!... იმედიანო სევდავ ჩემო!...“

**მაია ბოთია,**
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

## თამო ჯაფარიძე

### მონადირის ცოლი ვიყო...

ეჰ, მონადირის ცოლი ვიყო,
დათვის ტყავზე მეფინოს თმები...
დილით ვდგებოდე,
კენკროვანებს ვარჩევდე ჭრელებს,
გითბობდე ხელებს, ვქსოვდე ღამეებს
სტრიქონების გრძელი ძაფებით,
ქროდენ ქარები, ჭორიკანა სოფლის ქალები
კვდებოდნენ შურით...
ბუხარში – ჩვენი ფიქრის ჭაში ვარსკვლავებს ვყრიდე,
საცეცხლურს ვცვლიდე, ვავსებდე...
მღლიდე ლოდინით,
ვნების წამებს მთვარის პირზე ლესავდე,
ჭრიდე თეთრ ღრუბელს და ჩვენს ლოგინში
აფენდე სანდო ზეცისფერობას...
ამ კუნძულიდან ვუწერდე ჰიმნებს დედაცრემლობას!
ზამთრობდეს, თოვდეს, მოგქონდეს მუჭით
ტყის გულიდან გაქცეული ლურჯი იები,
მაბნევდე თმაში – ცის სილურჯეს, მიწის ფორიაქს,
და შენ გოლიათს – ცხრა სიცოცხლე გქონდეს ერთ გულში;
იყო ერთგული, ხარის ძალით, მგლის მუხლებით,
არწივის ნებით, პიტალო მხრებით
მოგქონდეს სახლი წელიწადებით,
თეთრ აკვნებს თლიდე, ბედის ჭიანურს აწყობდე, შლიდე,
ბუდენაჩვევი წიქარები ბღაოდნენ გზაში,
შენ მღეროდე და ბედნიერება წვეთავდეს ხმაში...
ნამუსის სახრე – გეწვოდეს ხელში, იარაღი
დამიზნული სინდისის შუბლზე...
დაცემულს მუხლზე, ჯვარ-ხატების შიშით და ლოცვით
მოგქონდეს პური სიმართლეში გამომწვარი
ცხელი ხელებით.... და გახელებით მიაჭენებდე სვანურ ულაყებს!
კოშკებს-გუშაგებს უტოვებდე ცოლ-შვილს და მშვიდად
სანადიროდ მიდიოდე გაზაფხულამდე...
ვკერავდე პერანგს, დაბრუნების ღამის სადროშედ...
გზებს მიგრძელებდე თმენის წყარომდე, წუთებს ვითვლიდე,
აგვიანებდე, მონატრებას წვიმით მითვლიდე,
ფოთოლნაკეცი გზით ბრუნდებოდე, – სიზმრით ვხვდებოდე...
ნანადირევი ბეჭებზე გეგდოს, დატორილ მხრებზე ყაყაჩოები იხატებოდეს,
სველი თვალებით მეძებდე, ჩემში თოთო ლექსი იბადებოდეს...
ცადამტყდარ კიბით შემოდიოდე,
ჩვენი ეზო ამზევდებოდეს,
ხელებს – თეთრ დროშებს საშენოდ ვშლიდე და გნებდებოდე....
ეჰ, მონადირის ცოლი ვიყო....

ნათია ჩოსტიაშვილი

# ჟანგისფერი სამყურა

დიდი ხნის უნახავი, ერთადერთი შვილი ჩამოსდის ქალაქიდან თალიკოს. ასაკისთვის შეუფერებლად სწრაფად მოძრაობს ეზოდან სახლში, სახლიდან – ბოსტანში... მეზობელს გასძახა. ერთადერთი კვერცხისმდებელი დედალი რომ ჰყავდა, ის დააკვლევინა. გალეული ხელებით გაპუტა, თან მხიარულად ღიღინებდა: „დივლი-დივლი ლალებიიი... გზისკენა მაქვს თვალებიიი...“

დიდი ხნის უნახავი, ერთადერთი შვილი ჩამოსდის ქალაქიდან...

მილაგებულ ოთახს თვალი მოავლო. წარბი შეკრა.

– მტრისას იყოს გაჩერებული, ჩემო ჟანგისფერავ. – გასძახა.

ჟანგისფერბეწვიანმა ძაღლმა პასუხად კუდი ააქიცინა. მოსაუბრედ, აბა, როგორ ივარგებდა, მაგრამ უბადლო მსმენელი კი გახლდათ. ხმის გამცემს დანატრებული მოხუცი მას უზიარებდა ხოლმე თავის დარდს, ფიქრს... ისიც უსმენდა, თვალებში შესციცინებდა. ჟანგისფერას კუდის გაქნევ-გამოქნევა ადამიანის თავის დაქნევის ტოლფასი იყო მარტოქალისთვის.

– მტრისას იყოს გაჩერებული,– ახლა საკუთარ თავს გაუმეორა და მოლაყლაყებული სკამებიდან შედარებით გამძლე შეარჩია, კედელს მიადგა. რის ვაი-ვაგლახით ავიდა ზედ. ძლივს მისწვდა ძველებურ, დამტვერილ საათს. მტვერი გადაწმინდა, მომართა. დრომ სვლა განაგრძო...

წვალებით გახსნა სკივრის ჩაჟანგებული საკეტი. საკუთარი ახალგაზრდობის სურნელმა შეუღიტინა ნესტოებში. ან კი როგორ გამოარჩია ნესტისა და ნაფთალინის სუნში...

მზითვის თავშალი და წინსაფარი ამოიღო, ნაქარგებიანი. შავი, გახუნებული თავშალ-წინსაფარი მოიხსნა. გული ამოუჯდა. ძნელი სათქმელია, მზითვმა გაახსენა დაწყვილების სიხარული თუ ძაძებმა – კენტად დარჩენის სევდა, გული ამოუჯდა კია... ცრემლები წინსაფრის ბოლოთი შეიმშრალა, თავს შეუძახა,– ჩემს ბიჭს მხნედ და ლამაზად უნდა დავუხვდეო, ჩემს იმედას, დედის იმედსო... ძაღლმა კუდი ააქიცინა. რა ხანია, მხოლოდ ნათქვამზე კი არა, ნაფიქრზეც „პასუხობდა“ პატრონს.

სკივრის სიღრმიდან პატარა წიგნი ამოიღო, გადაშალა. გამხმარ, ჩაფერფლილ სამყურას თავისი ჟანგისფერი ანაბეჭდი მარადიულ სანიშნედ დაემჩნია შეყვითლებული ფურცლისათვის. დახურა, ყდას ხელი გადაუსვა, გულაჩუყებულმა უკან ჩააბრუნა.

* * *

ყურის ბიბილოზე ხელწავლებულს მოაპრობიალებდა ზემო უბნელი გივია თალიკოს ერთას. „ზემო უბნიდან სულ ასე თუ მოჰყავს ბეჩავი, დედის იმედი...“ – გული კინაღამ გაუჩერდა დედას. გულჩვილობა არ დაიმჩნია, სახე გაიმკაცრა.

– რა ამბავია ჩემს თავს, გივია?..

– მიხედვა უნდა ბიჭს, თალიკო. სხვის ბოსტანში წოწიალს თუ დაეჩვია, კი მოგჭრის თავს ვარესად, როცა იქნება.

გივია გაბრუნდა. წარბაწკეპილმა გააქნ-გამოაქნია თავი გაბრუნებამდე. თალიკოს ეზოს ზურგი უჩვენა თუ არა, საქმემოგვარებული კაცის კმაყოფილებით შეუდგა იმ წუთის ჩამოლეულ აღმართს.

ხელი ანაკვერჩხლებულ ყურზე მიიფარა იმედამ.

— ეს რა მიყავი, შვილო? მამაშენის შვილს განა ქურდობა გეკადრება? შენს ბოსტანს რას უწუნებ, განა რამე მომიკლია შენთვის როდისმე?

კუნძზე ჩამოჯდა დედა, სახე ხელებში ჩაიმძიმა.

— არ მომიპარია ბოსტნისა არაფერი. — მკლავები დედას შემოხვია, თავი თავზე მიადო ბიჭმა.

ყაყაჩოსავით გაიბრდღვიალა შავ თავშალზე იმედას ყურმა.

— არ მომატყუო! — განზე გასწია თალიკომ. ცუდად გასწია. რა ეგრე გაგიწევია, რა სილა შემოგირტყამს...

— არ ვიტყუები. — თვალებიდან ერთბაშად ჩამოექცა დაგუბებულ-შეკავებული ცრემლი იმედას. — აგე, ეს წამოგიღე... ჯიბიდან წვალებით ამოაძვრინა წვენგადენილი ბალახი. ამ სიცხეში შარვლის ჯიბეში გდებისგან სამივე ყურჩამოყრილი.

— მიისვ-მოისვამ სადაცა გტკივა და მორჩები, ძილის დროს აღარ იკვნესებ ხოლმე, დაგიამდება. მაყვალა მასწავლებელმა თქვა, სამყურა სამკურნალო ბალახიაო. დედასთვის დავკრეფ-მეთქი, ბადრიას ვუჩურჩულე. ბადრიამ მითხრა, გივიას ბოსტნისა ემჯობინება, ეკლესიასთან ყველაზე ახლოს ეგა ცხოვრობსო, მაგისი უფრო უწამლებსო. მაგას რომ წაისმევს, შეიძლება აღარც დაბერდესო.

უცებ აუზვირთდა სისხლი დედას, გულის კედლებს ძლიერად მიასკდა. უკითხავად ამოხეთქა წლების ნაგუბმა ტკივილმა. გულში ჩაიკრა შვილის გაჩხინკული მხრები.

— რა დავიამო, ბიჭო, რომელი ერთი?.. ჩემი ქვრივობა დავიამო, შენი ობლობა დავიამო, ხვალეზე ფიქრი დავიამო... როგორ მეგონა, რომ ჩემი ტკივილისა შენ არაფერს გაგებინებდი, ვერაფერს ხედავდი... როგორ მომსწრებიხარ, შვილო! აღარ დავბერდები. შენს ზრუნვას მოსწრებულს, რაღა დამაბერებს, ბიჭო?!.

ტიროდა თალიკო. ტიროდა და მოსთქვამდა. ტიროდა და იცინოდა.

გულში სიხარული უძგერდა იმედას. ხელს მთელი ძალით უჭერდა სასწაულმოქმედ ჯადო-წამალს, თითქოს ეშინოდა, ძირს არ დავარდნოდა, უბრალო ბალახ-ბულახში არ ჩაჰკარგვოდა.

გაოფლილ მუჭში სულს ძლივს ითქვამდა მისავათებული სამყურა.

— დედი, ხომ მართლაც იმედა ვარ, არა, დედი? — ახალნაწვიმარ თვალებში მზე უცინოდა ბიჭს.

— ჰო, ბიჭო, მართლაც იმედა ხარ, დედის იმედი ხარ, ბიჭო...

* * *

— ჩემი სავარცხელი ხომ არ იცი საითაა, ჟანგისფერავ?

იქნებ იცოდა კიდეც, მაგრამ აბა როგორ უპასუხებდა...

მზის ოქროსფერი, გაბნეული სხივები და მოხუცის ვერცხლისფერი, ნაწნავად შეკრული თმა აირეკლა კედლის გაბზარულმა სარკემ.

„დივლი-დივლი ლალებიიი...“

სოფლის ძაღლებმა ერთმანეთს პატრონების ამბები გადაუყეფეს...

„გზისკენა მაქვს თვალებიიი...“

მშვიდი დღე გაუთენდა სოფელს...

სოფლის დასაწყისში იმედას ბავშვობის მეგობარი ბადრია ცხოვრობს. იმედამ ჭიშკარში თავი შეყო, დაიძახა. მასპინძელმა ხელი მოიჩრდილა, იცნო, გაიხარა:

— შენა ხარ? ო, შე ქალაქელო, შენა! სად დაგვეკარგე, ბიჭო, რატომ არ ჩამოდიოდი, საწყალი დედაშენი მაინც არ გენატრებოდა?! — გადაეხვია და სახლში შეიპატიჟა.

შებინდდა. დედის ძველი თავშლისფერი შეეპარა ჰაერს. შვილი არ ჩანდა...

დაბალ, სამფეხ მაგიდაზე სუფრა იყო გაშლილი. მოხარშული ქათმის ხორცი უკვე გაციებულიყო, ჩაციებული ღვინო კი — გამთბარიყო... სკამზე ჩამოსძინებოდა თვალცრემლიან მოხუცს.

უადგილოდ ნათქვამ სიტყვას ჰგავდა საზეიმო, ნაქარგი თავშალი...

ენაგადმოგდებული ჟანგისფერა ჯოხის რიტმს აყოლებდა თვალს, მოხუცის მუდამ ათრთოლებულ ხელს რომ ეჭირა. ჯოხი ფხიზლობდა. სამფეხა მაგიდასთან მიახლოებას ვერ ბედავდა ოთხფეხი.

სოფლის შარას არეული ნაბიჯით მიუყვება ვიღაც. ერთ-ერთ ჭიშკართან შეჩერდა, დააკვირდა. უზომოდ მთვრალს მხედველობის დაძაბვა უჭირდა.

— ნწ,ეეეს არაა... ნწ,ეეესაა... — არყის ოხშივარადენილ სიტყვებს სლოკინი ამოაყოლა.

ჟანგიანი ჭიშკრის იქიდან, ჟანგისფერი ძაღლი კუდს უქიცინებდა, წკმუტუნებდა. რამდენჯერმე წამოიყეფა კიდეც,მაგრამ მთვრალმა ყურადღება არ მიაქცია,გზა განაგრძო. ძაღლმა ერთი კი გაიფიქრა, უკან ხომ არ გავედევნოო, მაგრამ გადაიფიქრა. თავის სამალავს დაუბრუნდა და მოხარშული დედლის ნარჩენები ნერწყვიან ლაშებში მოიქცია...

ძაღლის კუდის,მოხუცის აკანკალებულ ხელში ჩაბღუჯული ჯოხისა და ძველებური საათის ქანქარის მოძრაობა ერთ რიტმს იმეორებდნენ. დრო გადიოდა.

ჟანგისფერი მოიგდეს მთებმა კინკრიხოზე. ძალადაკარგული ჯადოსნური სამყურების სოფელში უხმოდ თენდებოდა...

## მხატვრობა

# გიორგი წიკლაურის ფერადოვანი სამყარო

2013 წლის 10 დეკემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზმა უსასყიდლოდ უმასპინძლა ახალგაზრდა შემოქმედის, გიორგი წიკლაურის პერსონალურ გამოფენას.

მართალია,ეს თვითნასწავლი მხატვრის მესამე პერსონალური გამოფენა იყო,მაგრამ წინარე ექსპოზიებისგან მასშტაბურობა და სასიამოვნო სიახლეც გამოარჩევდა. ხელოვნებათმცოდნეთა და ჟურნალისტთა მიერ ანიმალისტად მიჩნეულმა გიორგი წიკლაურმა, დამთვალიერებელს ძველ ნამუშევრებთან ერთად, ახლად შექმნილი პორტრეტებიც წარუდგინა და სასიამოვნოდ გააოცა, თუმცა საყვარელ თემას მაინც არ უღალატა და მისთვის ნიშნეული,უჩვეულოდ გასულიერებული, ცხოველ-ფრინველთა ფართო სპექტრიც წარმოადგინა.

ფერადოვანი,ჯადოსნური და ემოციური ატმოსფერო იყო იმ საღამოს ფოლკლორის ცენტრში. მრავალრიცხოვან სტუმარს იმხანად ჯერ კიდევ ცენტრის დირექტორმა, მომღერალმა გიორგი უშიკიშვილმა გაუზიარა ექსპოზიციით გამოწვეული ინტერესი და სიხარული, იგი ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელმა, ქ-ნმა ცისანა მარინდაშვილმა შეცვალა და გამოფენის წარდგენასაც გაუძღვა: ექსპოზიციით მოგვრილ ემოციებს უშურველად გამოხატავდნენ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ცერცვაძე, პოეტები: თემურ ჩალაბაშვილი და ბაღათერ არაბული, მხატვრები — ნატა სირბილაძე და ამირან კუპრავა. აღნიშნავდნენ, რომ ეს იყო ლამაზი სულის გამობრწყინება, უმშვენიერესი სამყარო, საიდანაც ისეთი სითბო და სიყვარული მოდის, ტილოზე გამოსახული ცხოველების მოფერებას რომ მოგანდომებს. აღინიშნა, რომ გიორგის საკუთარი რეალობა აქვს, ის ჯერ კიდევ ეძიებს და ეს გენიალური, ძალზე მნიშვნელოვანი რამ არის. ნატა სირბილაძე კი ისე მოიხიბლა ფერებით, რომ მყისიერად სახატავად განეწყო, მანვე გულდაწყვეტით აღნიშნა — კარგი იქნებოდა ნახატები ბარათებადაც რომ ყოფილიყო, სიამოვნებით წავიღებდი შინო.

ბოლოს გიორგი წიკლაურსაც მოუსმინეს — მან მადლიერება გამოუხატა ყველას თანადგომისა და გულშემატკივრობისათვის და დასძინა, რომ თუკი ყველანი ვირწმუნებთ ზღაპრული, ჯადოსნური სამყაროს არსებობას, მაშინ ის რეალობად იქცევა, თავად სწორედ ასეთი რეალობის შექმნას ცდილობს.

## პროზა

## ზვიად ჯოხაიძე

# მ ა მ ა ო

სოფელში, ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია რომ დაანგრიეს, ტაძრის მოძღვარი მამა როსტომი, ბიძაშვილის ქმარმა „ჩეტირბესომ“ შეიფარა თავისთან, სახლში. ღონიერი და გონიერი კაცი იყო ბესო. ერთხელ, მარცვლეულით სავსე კოდი ოთხმა კაცმა ვერ ასწია. მისულა ბესო, უზარმაზარი, უთქმელი, უჟმური. ჰოო, დიდხელება. – გადდაიკარგეეთ! შემოუჭვდია მკლავები წაბლისფრად აპრიალებულ, ცალყურმოტეხილი კოდისთვის და ციმ-ციმ შემოუდგია ურემზე. კახეთის ამბავი არ იცი? ყველას ზედმეტი სახელი აქვს – სახასიათო! ამის მერე, მისთვის ბესო აღარავის დაუძახია. დიდი და პატარა „ჩეტირბესოდ“ მოიხსენიებდა. ეჟოვმა რომ ოჟები მოუშვა და ქვეყანა ცოტათი მიწყნარდა, წვერდამოკლებული მამა როსტომი კვლავ გამოჩნდა სოფელში – ტაძრის ხავსიანი ლოდებით ნაშენ კოლმეურნეობის კანტორაში მოეწყო დარაჯად.

* * *

ზამთრის ერთ ყინვიან საღამოს, თოვლიანი ფეხების ბრაგუნით, მამაომ აივანი გამოიარა და სახეგაბადრულმა კარებში შეაბიჯა. გრძელი მოსასხამის კალთებიდან თოვლი ჩამოიფერთხა. დამხვდურთ თვალი მოავლო და უბიდან მუქტყავისყდიანი წიგნი გამოაძვრინა. სამფეხაზე მჯდარმა ბესომ წალდის ტარის თლას თავი ანება და მუხლზე მუშტდაყრდნობილმა, გვერდულად გამოხედა მოსულს. თებრომ, მისმა მეუღლემ, საფეთქელთან ჩამოშლილი თმა მოჩითულ თავშალში შემალა და წინდის ქსოვა განაგრძო. ინტერესით თვალებანთებული ბალღები ჭრაქით განათებულ მაგიდას უსხდნენ. ხუთნი იყვნენ – ოთხი ბიჭი და გოგო. ღუმელის ჭრილიდან გამოსული სინათლე კედელზე გადღაბნილ ჩრდილებს ათამაშებდა. ოთახში ცეცხლისა და გახუხული პურის სურნელი ტრიალებდა.

– ვივახშმოთ! – ჩაიბუბუნა „ჩეტირბესომ“ და კალთაში მოგროვილი ბურბუშელა ღუმელთან მიყარა.

* * *

ყინვით მოკრიალებულ ცაში სავსე მთვარეს თოშის გვირგვინი შემოვლებოდა. მხრე-ბამოყრილი „ჩეტირბესო“ ორივე ტორით მოაჯირს დაყრდნობოდა. ცივგომბორს შეფენილი სოფლიდან მკრთალი შუქით განათებულ ალაზნის ველს გადაჰყურებდა. ფართოყელიანი თუნგიდან ორთქლადენილი თბილი წყალი ყრუ ჩხრიალით ესხმებოდა აივნის ქვემოთ, მოიისფრო თოვლს.

– როსტიი! – ჩუმად თქვა თებრომ და თუნგს მეორე ხელიც შეაშველა.

– მამაო! – შეუსწორა მამიდაშვილმა. –კაცოო,ე ბალღები რასმე შარს არ გადამიყარო! – შენიშვნას წაუყრუა ქალმა. – ჰეე, შენი გამკვირვებია, წიგნაძიაანთ ქალო! წიგნმა შაგაშინა? – ღიმილჩამდგარი თვალი სიძისკენ გააპარა...

– ნუ სდარდობთ, „ვეფხიტყაოსანია“! ხელსახოცით ხელები შეიმშრალა და ისე, ბესო-სკენ მიტრიალდა, – რაღა დაგიმალოთ და ბიბლიის მოტანა მინდოდა. მაგრამ, ვიფიქრე ბალღები კლასში იტყვიან, ფათერაკს რასმე გადაჰყრიან ეს ცოფიანები–მეთქი. ამიტომ, „ვეფხისტყაოსანი“ წამოვიღე. ესეც ბიბლიაა! ოღონდ, წაკითხვა უნდა! მა, ბალღებს უღ-მერთოდ, უსიყვარულოდ ხომ ვერ დაიზრდით?!

– სხვები თუ ზდიან?

— არა,ჩემო დაო! — სველი ხელსახოცი გამოწვდილ ხელზე გადაჰკიდა ბიძაშვილს,— აღ-ზდა და გაზდა სხვადასხვაა! იმ ზამთრის გრძელი, ცივი საღამოები თექვსმეტმარცვლიანი რიტმების თავისებური მუსიკით იყო სავსე. უცნაური მრევლი — ვითომ, უგულისყუროდ მსმენელი „ჩეტირბესო"; ოთხი ჩხირით მქსოველი, მისი უთქმელი მეუღლე თებრო და ხუთი ბავშვი, რომელთაგან უმცროსმა და-ძმამ კითხვაც კი არ იცოდა, სულმოუთქმელად ელოდნენ მამაოს წამღერებით წაკითხულს. შიგადაშიგ: „იანბე რა ძიავ, იანბე რა!" — მ ა მ ა ო! — თვალებდაბრიალებული გადახედავდა ასმათივით თითითმახვეწართ, თავს გადაიქნევდა და წაკითხულს განმარტავდა. გარეთ ყინვა ბაბანებდა. ღუმელში შეშა ტკაცუნობდა. თბილოდა და „კაცი ჯაბანი რითა სჯობს, დიაცსა მქსლისა მბეჭველსა! სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა!"

— ჰაი, გადი! — დროდადრო, მუხლზე მუშტს დაიცემდა „ჩეტირბესო" და გრძნობის გამჟღავნებით დარცხვენილი, ცულის ტარის საქმიანი თლით ემალებოდა მისკენ მოპყ-რობილ გაღიმებულ თვალებს.

* * *

მაინც ვერ გადაურჩა მამაო „ცოფიანებს". სექტემბრის მიწურულს, ღვთისმშობლობა ღამეს, კოლმეურნეობის კანტორის დაწვის მცდელობის ფაქტზე დააკავეს მამა როსტომი — შენობის კედელში ჩაყოლებული საკურთხევლის ლოდებზე ანთებდა სანთლებს. ეს ამბავი შემოდგომით მოხდა. კვლავ ხვავრიელი ზამთარი მოვიდა კახეთში. კვლავ დაემგვანა გადათეთრებული ალაზნის ველი, მდინარის გაღმა-გამოღმა ვენახებით დიიდ, გადაშლილ წიგნს. მამაოს „საქმეში" მოწმედ გასული ბორენი, „ჩეტირბესომ" ისე დატორა, ისე დაბუბნა, გაზაფხულამდე წელი ვერ აათრია.

— მაგისი ცხენი ჩემ ყანაში გადასულიყოო! — ასე უთხრა ბოურენის* გმინვა — ყვირილზე მოცვენილ მეზობლებს. — „ჩეტირბესო"! რა ყანა, კაცოო, ამ ზამთარში? — ყანა ზამთარშიც ჩემია და ზაფხულშიცო! — დინჯად, დამარცვლით უთქვამს ბესოს. ფეხზე წამომდგარი დამსმენი სოფლიდან აყრილა და სადღაც სოღანლუღში თუ ნავთლუღში გადასახლებულა.

———————

* ბოურენი — აფთარსა ჰქვიან სომხურს ენაზედ. საბა-სულხანი.

## ეროვნულ ბიბლიოთეკაში „დავით სარაჯიშვილის დარბაზი" გაიხსნა

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ და კომპანია „სარაჯიშვილის" აღმასრულებელმა დირექტორმა ზურაბ ბუბუტეიშვილმა მემორანდუმი გააფორმეს. მემორანდუმის ფარგლებში კომპანია „სარაჯიშვილი" ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ნაბეჭდი ერთეულის საარქივო ფონდის განყოფილების ფართს გაარემონტებს, სადაც შეიქმნება „დავით სარაჯიშვილის დარბაზი". თავის დროზე დავით სარაჯიშვილმა, ანდერძის თანახმად, ყველაზე დიდი თანხა სწორედ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გამოუყო. კომპანია „სარაჯიშვილი" სწორედ ამ საზოგადოების სახელობის დარბაზის ფართს გაარემონტებს. ეროვნული ბიბლიოთეკის მეორე კორპუსი, სადაც ეს ფართი მდებარეობს, ძმები კოსიაკოვების პროექტით აშენდა და რემონტის შემდეგ ფართს პირვანდელი სახე დაუბრუნდება.

## ტარიელ ნამოხაძე

# ბებრები

*„გამხიარულდი, ბუხარო,*
*გულჩათხრობილი ნუ ხარო!*
*შვილი მამას ეუბნება –*
*დაბერდი,ჩემთან ნუ ხარო!..“*

**ხალხური სიმღერა**

გვიანი შემოდგომა იდგა, ზამთრამდე აღარაფერი რჩებოდა. ხეებს თითო-ოროლა ფოთოლიღა შერჩენოდათ. ციოდა. მურა მუცელზე იწვა, დრუნჩი მიწაზე დაედო და განვლილ ცხოვრებას იხსენებდა. თეთრი, შავი ფერით გაწყობილი, ბებერი ძაღლი იყო. ადამიანის ასაკზე გადაანგარიშებით,ოთხმოც წელს იქნებოდა გადაცილებული – როგორც ამბობენ,ძაღლის ცხოვრების ერთ წელს ადამიანის ცხოვრების შვიდი წელი შეესაბამებაო. ალბათ, ამიტომაც ჩქარობენ ხოლმე ძაღლები, უნდათ ყველაფერი მოასწრონ, ღამითაც ცოტა სძინავთ, დრო რომ არ დაკარგონ.

მურას თავისი ადრეული ლეკვობა მოაგონდა. როდესაც დედიკომ ლეკვებს შეატყო, რომ უკვე წამოიზარდნენ და უმისოდ შეეძლოთ ცხოვრება, მიატოვა ისინი. ლეკვებსაც იტაცებდა დამოუკიდებელი ცხოვრების ხიბლი,მაგრამ აღმოჩნდა,რომ თურმე არ ყოფილა ადვილი – ისევ დედასთან სჯობდა ყოფნა...

პატარა მურა ეზო-ეზო დასუნსულებდა, პატრონს ეძებდა, მაგრამ არავინ იკარებდა, ერთი-ორჯერ ქვაც მოარტყეს ფეხში და სიარული გაუძნელდა. აღარ იცოდა, ვის მიკედლებოდა, სოფელში ხალხს უჭირდა, საჭმელს შინაური ცხოველებისთვისაც ძლივს შოულობდნენ, ზედმეტი ტვირთი – ლეკვი, რაში სჭირდებოდათ, რომელიც არც იწველებოდა, არც კვერცხებს დებდა და რომლის ხორციც არ იჭმეოდა.

ნათლისღება ახლოვდებოდა,ყინვა ძვალ-რბილში ატანდა. კოჭლი მიტუას სახლის წინ, ორღობეში ვასო შემოეყარა,მთელი დღის ნაჯაფი შინისკენ ბრუნდებოდა. მურამ ახედა და საცოდავად დაიწკმუტუნა. ვასო დაიხარა, ლეკვი ხელში აიყვანა, თავზე ხელი გადაუსვა, ქურთუკში შეიფარა. იქ თბილოდა,ვასოს მკერდში თავი მშვიდად და უსაფრთხოდ იგრძნო, გარეთ იყურებოდა სასაცილო და კმაყოფილი სიფათით. სახლის ეზოში რომ შევიდნენ, ვასომ მურა ძირს დასვა და ოჯახის წევრებს ხმამაღლა გამოუცხადა:

– ეს არის მურა და იცხოვრებს აქა!

ვასოს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, ალბათ არც სჭირდებოდა. ახლაც მეორედ აღარ გაუმეორებია, ან ვინ შეეწინააღმდეგებოდა! ცოლ-შვილი, რძალი და შვილიშვილები, ყველანი თვალებში შესცი ცინებდნენ, მისი რიდი ჰქონდათ და არა მარტო ოჯახში, იგი სოფელშიც გამორჩეული იყო, ჯანითაც და სხარტი გონებითაც,არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე უმისოდ არ წყდებოდა. ოჯახში ყველამ იცოდა თავისი ადგილი. მურამაც თავისი ადგილი სწრაფად მონახა, ეზოში პატარა ბუდრუგანა გაუკეთეს. მურა თავის საქმეს და მოვალეობას ძალზე სწრაფად შეუდგა, ის ეზოს და სახლ-კარს იცავდა, უცხოებს არ ენდობოდა, ვიდრე ოჯახის წევრები სტუმარს არ აეფარებოდნენ, უსაშველოდ ყეფდა. საჭმელს კი მხოლოდ ვასოს ხელიდან მიირთმევდა.

დრო გადიოდა,მურა სწრაფად იზრდებოდა და ასაკით ვასოს ეწეოდა. ბოლო დღეებში ისინი თითქმის ტოლები იყვნენ – მათმა მეგობრობამ სხვა ელფერი შეიძინა. მოხუცები ერთმანეთს კიდევ უფრო მიეჯაჭვნენ. ვასოს უკვე გარეთ უჭირდა გასვლა, ოთხმოცს გადაშორებულიყო, რა ხანია, უფრო ნაკლებს ლაპარაკობდა ვიდრე ადრე, მურას ესეც არ შეეძლო, თუმცა პატრონს ჩვეულებრივ, ყველაფერს აგებინებდა. როდის დაბერდა ვასო? სამოცის,სამოცდაათის თუ ოცხმოცი წლის? ადამიანები,როგორც წესი,თანდათან ბერდებიან, არც ვასო იყო გამონაკლისი – სმენა დაუქვეითდა, მხედველობაც, გამოშრა,

დანაოჭებული კანი ძვლებზე საცოდავად ეკროდა, კუნთები განლეოდა, ცოტა შარდიც ეპარებოდა, მისდა სამარცხვინოდ. მაგრამ ზუსტად იცოდა, როდის დაბერდა! – როდესაც მისმა უფროსმა შვილმა კოლამ ღობის ლურჯად გადაღებვა გადაწყვიტა, იცოდა, რომ ეს ფერი მამამისს ეჯავრებოდა, მაგრამ თავისი გაიტანა, უფრო სწორად, არც ჰკითხა ვასოს არაფერი, ძაღლად არ ჩააგდო. ადგა და შეღება. ვერავინ იტყვის, ვასოს ცუდად ექცეოდნენო, მუდამ კოხტად ჩაცმულ-დახურული იყო და არც საჭმელ-სასმელი აკლდა. უბრალოდ, არავის აღარ აინტერესებდა ვასო, ცოლი მოკვდომოდა, მეგობრებიდან ზოგი სახლიდან ვერ გამოდიოდა, ზოგი იმ ქვეყანად წასულიყო, ნათესავები თუ შემოივლიდნენ, კოლასთან და მის ცოლთან, ჩამოსხდებოდნენ, ვასოს იშვიათად თუ გამოელაპარაკებოდნენ, არ შევაწუხოთო. ამხელა ჯალაბში ბერიკაცი მარტო იყო. ერთადერთი შვილიშვილი, მისი სეხნია ხარობდა პაპის ნახვით, და მურა... მურას, სრულიად არ აინტერესებდა ვასოს ასაკობრივი ცვლილებები. მისთვის იგი ყოველთვის ერთი და იგივე კაცი იყო, მისი მეგობარი, დიდი ხნის წინ ორღობეში რომ შეხვდა, მკერდში მიიკრა და შინ მიიყვანა...

... იმ დღეს მურამ შენიშნა, რომ დილით ვასო საწოლიდან არ ამდგარა, მერე მოგროვდნენ კაცები, ქალები, ბევრს და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, მეორე დღეს კი ფიცრებისგან შეკრულ გრძელ ყუთში – კუბოში ჩააწვინეს, გვერდით ყვავილები მიუწყვეს, ერთი ქალი ტიროდა. მურა იმ დღეს მშიერი დარჩა, მეორე დღესაც, ვასო არაფერს სთავაზობდა, იგი უხმოდ იწვა და ერთ დროს ძლიერი ხელები საცოდავად დაეკრიფა გულზე. მურას უკვირდა ეს ყველაფერი, რადგან მსგავსი არასდროს ენახა, თან ელოდა, როდის ადგებოდა ფეხზე მისი მეგობარი და ძველებური ცხოვრება დაბრუნდებოდა. მაგრამ ვასო იწვა და იწვა, არც ლაპარაკობდა, არც დგებოდა, დაძინებულს ჰგავდა.

ორი დღის შემდეგ მთელი სოფელი შეიკრიბა, ხალხი ყაყანებდა, ქოთქოთებდა, შეშინებული მურა ეზოს კუთხეში შეიყუჟა. მერე ღონიერმა ახალგაზრდებმა კუბოს ხელი სტაცეს და სოფლის განაპირას ბექობზე აიტანეს, იქ ღრმა ორმო დახვდათ, ვასო შიგნით ჩაუშვეს. მიწის მიყრა რომ დაიწყეს, მურამ ყმუილი მოართო, მაგრამ მას ყურადღება არავინ მიაქცია. საქმე რომ მოათავეს, ყველა უკან დაბრუნდა. მურა შორიახლოს წრიალებდა, არ იცოდა, რა ექნა, შემდეგ იქვე წამოწვა და დაიძინა.

მურა დარწმუნებული იყო, რომ ვასო ქვევიდან მიწას ამოყრიდა, ზევით ამოვიდოდა, მოეფერებოდა, როგორც ყოველთვის და სახლში წაიყვანდა. ამ ლოდინში გავიდა რამდენიმე დღე კვირა, მურა უფრო და უფრო სუსტდებოდა. უცნაურია, მაგრამ, რაც მეტი დრო გადიოდა, მურას ვასოს მიწიდან ამოსვლის იმედი უძლიერდებოდა.

მურას პატარა თავში მოგონებები არეულ-დარეულად ტრიალებდა. ერთხელაც მურას შაქროს სულელი ძაღლი გაახსენდა, ვასოს რომ თავს დაესხა დასაკბენად, მას კი პატრონის დაცვისას ზურგი და ფეხი დაუზიანდა; თუმცა კმაყოფილი დარჩა. იმ დღეს მურა ჭრილობებზე არ ფიქრობდა, მთელი კვირა პატრონს შესცქეროდა თვალებში ამაყად. ვასოც ამაყობდა თავისი მეგობრით. კიდევ რაღაცების გახსენება უნდოდა მურას, მაგრამ უკვე ვეღარ ახერხებდა, ცუდად იყო, თვალები ეხუჭებოდა.

სასაფლაოზე, როგორც ყოველთვის, სიჩუმეს დაესადგურებინა. უცებ მიწის მოძრაობის ხმა მოესმა, თვალები გაახილა, მაგრამ, სამწუხაროდ, თაგვი აღმოჩნდა, რომელიც სოროდან გამოძვრა. მურამ კვლავ დახუჭა თვალები. რაზე ფიქრობდა? ფიქრობდა კი საერთოდ რამეს? იმედი ხომ არ გადაეწურა? ალბათ, არა, თორემ ადგებოდა, შინისკენ გაუდგებოდა გზას, სულს მოითქვამდა, ლუკმას მაინც ჩაიდებდა პირში... მაგრამ არა, ადგილიდან არ იძვროდა, ელოდა, ელოდა, შემდეგ ჩაეძინა, უფრო ღრმად, უკვე სამუდამოდ. ღმერთო, ნუთუ შესაძლებელია, რომ მეგობრები კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს? ვინ იცის...

ცივმა ქარმა დაჰბერა, ვეება ალვის ხეზე შერჩენილი უკანასკნელი ორი ხმელი ფოთოლი ბზრიალ-ბზრიალით მიწაზე დაეშვა, მურას და ვასოს გვერდით მონახა ადგილი. დაზამთრებულიყო...

## ზუსაბ ჰაჰიაშვილი

# პრეზენტაცია

(პიესა)

ლიტერატურული კაფე. ახალგაზრდა, უცნობი პოეტის წიგნის პრეზენტაცია.

ცოტა ხალხია. იქვეა ერთი ჟურნალისტი ტელევიზიიდან. შემოდის ტელევიზიით ცნობილი პოეტი – ფრიდონ აფრიდონიძე. მას მივარდება ჟურნალისტი.

ჟურნალისტი – ბატონო ფრიდონ, რას გვეტყვით დღევანდელ დღეზე? *(მიკროფონს პირში ჩაჩრის).*

ფრიდონ აფრიდონიძე – უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს. პრემიერს. კულტურის მინისტრს, ასეთი კარგი და ლამაზი დღისათვის. ხო, დიდი მადლობა ამ რაიონის გამგებელს, რომ არა ის, დღეს ეს გამოფენა არ შედგებოდა.

*(ჟურნალისტს ეცინება)*

ჟურნალისტი – ბატონო ფრიდონ, აქ ხომ უცნობი, ახალგაზრდა პოეტის პრეზენტაციაა.

ფრიდონ აფრიდონიძე – უი, რას მელაპარაკები და აბა ეს ნახატები *(იხედება კაფეში ჩამოკიდებულ ნახატებისკენ)?*

ჟურნალისტი – ეს ლიტ-კაფეს ეკუთვნის, მაგათია.

ფრიდონ აფრიდონიძე – უი, მაპატიეთ გოგონა, მე მითხრეს რომ გამოფენაა, ერთი წამით *(პიჯაკის შიგნითა ჯიბიდან გაცვეთილ ბლოკნოტს იღებს),* ა, აი, უი, სირცხვილო, ამრევია, სირცხვილი. ოჰ ეს რიცხვები *(ოფლს იწმენდავს შუბლზე),* ხო, ესე იგი, რა ხდება *(ყურში ჩასჩურჩულებს ჟურნალისტს)*?

ჟურნალისტი – ახალგაზრდა უცნობი პოეტის წიგნის პრეზენტაციაა *(ჩუმად ეუბნება).*

ფრიდონ აფრიდონიძე – აუჰ, ავშენდით. ჩვენი ხომ იყიდება და ახლა ამათი ხომ რას ამბობ *(ჩუმად, ვითომ ხუმრობით ეუბნება ჟურნალისტს).*

ჟურნალისტი – *(მორცხვად გაუღიმებს)* ჩაგწერთ რაა?

ფრიდონ აფრიდონიძე – *(რმახიანად)* კი, კი ბატონო, აბა, გისმენთ.

ჟურნალისტი – ბატონო ფრიდონ, რას გვეტყვით დღევანდელ საღამოზე? თუ შეიძლება ორი სიტყვით.

ფრიდონ აფრიდონიძე – *(ჩაახველებს)* დღევანდელ საღამოზე ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლება. გამორიცხულია, რომ ქვეყანას, რომელსაც ჰყავს ასეთი პრეზიდენტი, პრემიერი, პარლამენტის სპიკერი, კულტურის მინისტრი, – შორს არ წავიდეს, არ გაფრინდეს და არ გადალახოს ევროპისა თუ ამერიკის, ნატოსი თუ სხვა ორგანიზაციების მყარი კედლები *(როლში შედის).* თქვენ წარმოიდგინეთ, ქვეყანას, რომელსაც ორი ტერიტორია აქვს დაკარგული, რამხელა ძალა აქვს, რომ მაინც მედგრად ცურაობს საერთაშორისო დიდ აუზში. სწორედ პრეზიდენტის...

*(უცბად პრეზენტაცია იწყება)*

მედროვეებო, მლიქვნელებო,
თქვენი დრო მიდის
და თქვენი საქმე და წარსული
სულ ყველამ იცის....

*(იქ მყოფი საზოგადოება ტაშით აწყვეტინებს პოეტს ლექსის კითხვას).*

## ეთეი ზაქიძე

### ღამის მეკობრე

მეწვია დარდი – ღამის მეკობრე
სევდის მუსიკას უკრავს ვაგნერი...
წრფელ სიყვარულს და
ერთგულ მეგობრებს
ვეძებდი,მაგრამ ვერ მივაგენი.
ჩემთვის ეს ღამეც ჯვარზე გაკვრაა,
არ ველოდები სასწაულს ბედის...
ეს აწმყოც ისევ შენი ნატვრაა,
ეს ლექსები კი – სიმღერა გედის.

### საით მივექანებით?

ირგვლივ ისევ ბინდია,
ქრიან შმაგი ქარები...
გზები საით მიდიან,
საით მივექანებით?
ულიმღამო სიცოცხლეს
ვუმზერ ეჭვის თვალებით,
ღმერთო, ნეტავ ვიცოდე,
საით მივექანებით?
ქართულ ენას ვიწუნებთ
სასაუბროდ, სამღერად...
უცხო ქვეყნებს მიველტვით,
გასართობად, სამზერად.
დედა დედინაცვალში
უსინდისოდ გავცვალეთ...
სხვის ენაზე ვსაუბრობთ,
ვმღერით,ვროკავთ,ვბანცალებთ.
ჩვენი ენის სიწმინდეს
ვრყვნით და განგებ ვამცირებთ,
ყველაფერი ქართული
დასაღუპად გავწირეთ.
სადღაც ეშმა ხარხარებს,
ქრიან შმაგი ქარები...
ქართველებო! შეჩერდით!
საით მიექანებით?!

* * *

გულს არაფერი ახარებს,
ცრემლიან აწმყოს შევყურებ,
სასოწარკვეთამ წამიღო,
ზეცას მგელივით შევყმუვლე.
ეს გზები საით მიდიან?
წინ უფსკრულია საშიში...
ცხოვრება ფეხზე ჰკიდიათ,
გაბრუებულებს ჰაშიშით.
არც საქართველოს დარდი აქვთ,
არც ოჯახის და შვილების,
გონებადაჩლუნგებულებს
სამოთხედ უჩანთ დილეგი.
კარგად დაფიქრდით! ცხოვრება
ჭამა და სექსი როდია,
თქვენს შემდეგ თქვენი სამშობლოს
შთამომავლები მოდიან.
ქვეყანა თავზე გვემხობა,
დავკარგეთ გზა და მიზანი...
საკუთარ სახლში ვიქეცით
თავხედი ,,ჯაყოს ხიზანი".

### ზამთრის ქარები

გამაბეზრებენ ზამთრის ქარები,
უსშენოდ შთენილს რა მეშველება?!
და თოვლის თეთრი მინანქარები
სულში ტკივილად ჩაესვენება.
ვკითხულობ შექსპირს,ბაირონს,დანტეს,
თავს დამტრიალებს შენი მშვენება...
გრძნობას,რომელიც ლექსებში ვხატე,
არ უწერია გადაშენება

### იუდას ვერცხლი

ვხედავ სახეებს თავზარდაცემულს,
დედის ლანდს შვილის
საფლავთან დახრილს
და საქართველოს თავზე აღმართულს
შიშით შევყურებ დამოკლეს მახვილს,
ვერცხლს აჩხრიალებს ისევ იუდა,
იღვრება ბევრი ,,კაი ყმის" სისხლი...
შეურაცხყოფას ვითმენთ ჯიუტად
არაფრად ვაგდებთ
წყენას და სირცხვილს.
არავის ახსოვს სიკეთის ფასი,
ჯოჯოხეთური გიზგიზებს ცეცხლი
და საქართველოს უძღები შვილნი
ჯიბეს ივსებენ იუდას ვერცხლით.

# ღირსებით შეკოლი

## მუვიდობით, დიდებულო ქალბატონო!

ქართულმა საზოგადოებამ კიდევ ერთი დიდებული მამულიშვილი დაკარგა. გარდაიცვალა ქართული მწერლობის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, შესანიშნავი პოეტი და მთარგმნელი – თამარ ერისთავი. მაცხოვრის შობის დღეს იგი ისევე უხმაუროდ განერიდა სამზეოს, როგორც განვლო მისმა მთელმა ცხოვრებამ. ქ-ნი თამარი იმ ღირსეული ოჯახის წარმომადგენელია, რომლის თუნდაც ერთი წევრის ხსენებაც კი სიამაყით აღავსებს ქართველობას. ეკატერინე გაბაშვილი– სახელოვანი ქართველი მწერალი,,,მაგდანას ლურჯას" ავტორი,თამარ ერისთავის დიდი ბებია გახლდათ დედის მხრიდან. ბაბუა – ეკატერინეს სიძე, ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მწერალთა კავშირის დამაარსებელი და მისი პირველი თავმჯდომარე – კოტე მაყაშვილი,დეიდა – 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მე-11 არმიის წინააღმდეგ კოჯრის ბრძოლაში გმირულად დაღუპული მოწყალების და მარო მაყაშვილი, ბიძა კი – ცნობილი მხატვარი შალვა მაყაშვილი.

მამის მხრიდანაც შესანიშნავი წინაპრები ჰყავდა თამარ ერისთავს. ბაბუა ალექსანდრე (საშა) ერისთავი XVII საუკუნის 30-ან წლებში რაჭიდან იმერეთში გადასახლებულ, ე.წ. „ბარის ერისთავთა" იმ შტოს ეკუთვნოდა,რომელთა მამული სოფელი სალომინაო (ვანის რაიონი) იყო. სალომინაოელ ერისთავთა მფლობელობაში შედიოდა აჭარა-ახალციხის ქედის გარკვეული ნაწილი. ამ არეალში იყო ის ადგილიც,სადაც დღეს კურორტი საირმეა გაშენებული. საირმის მინერალური წყაროების აღმოჩენა, მათი პირველი მეცნიერული შესწავლა და იქ კურორტის დაარსების იდეა სწორედ ალექსანდრე ერისთავის სახელს უკავშირდება.

ბებია – როსკან ნიჟარაძე,შესანიშნავი მოქართულე,ბიბლიითა და „ვეფხისტყაოსნით" აღზრდილი, ღრმად ღვთისმოსავი ადამიანი იყო.

თამარ ერისთავი,ნუნუ მაყაშვილისა და ლევან ერისთავის უფროსი შვილი გახლდათ. მამა – უნიჭიერესი ჰიდრომშენებელი,მეტად ორიგინალური პროექტით მდ. აჭარისწყალზე ჰიდროელექტროსადგურის ამგები, 1937 წელს დაიჭირეს და დახვრიტეს აბსურდული ბრალდებით, თითქოს თავისი აშენებული ელექტროსადგურების აფეთქება ჰქონდა განზრახული. თამარი მაშინ 5 წლისა იყო. უმამოდ დარჩენილ ძმისწულებზე ზრუნვა თავს იდო მამიდამ,ლეგენდარულმა აღმზრდელმა მზია ერისთავმა,რომელსაც ამ გარემოებამ ბევრი პირადი ინტერესი დაათმობინა,მაგრამ მწუხარებისა თუ გაჭირვებისგან დაბეჩავება მზია ერისთავს არ სჩვეოდა. „კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია", ან „ჭირსა შიგან გამაგრება", მისთვის არა მხოლოდ აფორიზმები, მსოფლმხედველობა და ცხოვრების წესი იყო, რასაც საკუთარ ძმისშვილებსაც უნერგავდა.

დიდგვაროვანთა ღირსეულ ჩამომავალ თამარ ერისთავს, არასდროს ჰქონია უსაგნო განდიდების სურვილი; მისი წინაპრების მსგავსად,თავი საქართველოს რიგით ჯარისკაცად წარმოედგინა მხოლოდ და დასძენდა: „გვარები და გვარიშვილები წავლენ და მოვლენ, ხოლო საქართველო დარჩება. ეს ქვეყანა თითოეული ჩვენგანის შესანახია იმის მიხედვით, ვის რა შეგვიძლია. ასე იყო მუდამ და ასე იქნება მომავალში. ამას მასწავლიდა ჩემი მამა-პაპა და მეც ამას ვასწავლი ჩემს შვილებს. ვინც კი ამქვეყნად გამაჩნდა და გამაჩნია, ყველა სამშობლოს გადარჩენის მცდელობაში იყო. არავის დაუწუწუნია, ასეთ

ქვეყანაში რატომ დავრჩითო – გულმა არ დაანებათ ამ ქვეყნიდან წასვლა. სამშობლო მაშინაც სამშობლოა, როცა დაპყრობილი, დაჩაგრულია, შენ კი ღატაკი და უძლური. ან გალაღებული როდის ვიყავით? ჩვენ ხომ ღმერთმა მარადიულად გადასარჩენი ქვეყანა გვარგუნა! ქართველობას დღესაც საფრთხე ემუქრება. ყველა თითქოს ჩვენს ჩანთქმას ცდილობს. ბევრი რამ უნდა მოვიგერიოთ,მათ შორის – უწიგნურობა. წიგნი და წიგნიერება მომავალ თაობას უნდა შევუნახოთ და ამით წარსულიც შეინახება".

საქართველოში კარგად ახსოვთ ის დრო, როცა მთელმა ქვეყანამ ერთბაშად აიტაცა სიმღერა – „კაცი ვარ და ქუდი მხურავს, ქედს არ ვუხრი არავის, არც არავის ვემონები, არც ვბატონობ არავის". ეს სიმღერა ამოუხსნელ სიამაყეს უღვიძებდა ქართველ კაცს. მას დღესაც მღერიან, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ ეს ლექსი არა ქართველს, არამედ შოტლანდიელ პოეტს – რობერტ ბერნსს ეკუთვნის,რომელმაც თამარ ერისთავის უბადლო თარგმანით ქართული სული და ჟღერადობა შეიძინა. თამარ ერისთავმა ღირსეული პატივი მიაგო ჩვენსავით დაპყრობილ, გაუტეხელ ქვეყანას – შოტლანდიას. მან ქართულად თარგმნა და გამოსცა შოტლანდიური პოეზიის ანთოლოგია.

მნიშვნელოვანი შემოქმედებითი წარმატებების მოპოვებამდე, თამარ ერისთავმა ქალთა მე-6 საშუალო სკოლა დაამთავრა, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ინგლისური განყოფილება, 15 წლის განმავლობაში ინგლისურს ასწავლიდა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში, შემდეგ კი მთარგმნელობით კოლეგიაში გადავიდა და აქ მუშაობის პერიოდს ყოველთვის კმაყოფილებით იგონებდა: „ვთარგმნიდი, ვწერდი. გიორგი ლეონიძე ხშირად მეუბნებოდა – თამარ, ლექსები წერე, თორემ მთარგმნელის სახელი რომ მოგეკერება, ვეღარ მოიცილებო... შესაძლოა, მართლაც ასე გამოვიდა, თუმც გულწრფელად ვფიქრობ, რომ დღეს ბევრად უკეთეს ლექსებს ვწერ, ვიდრე იმ დროს ვწერდი. სამწუხაროდ, დღეს პოეტობა დაუფასებელია, უფრო სწორად, ხალხს პოეზია ისევ უყვარს, ამ სიყვარულს რა გადააჩვევს,მაგრამ სახელმწიფოს აღარ აინტერესებს. გული მტკივა, როცა ტელევიზიებში მხოლოდ პოლიტიკაზე ლაპარაკობენ. პოლიტიკა ერის სულიერ ღირებულებებს ვერ ჩამოაყალიბებს, ამის გარეშე კი ქართველები აღარ ვიქნებით. საქართველო პოეტების ქვეყანაა და ხალხს საშუალება არ აქვს პოეტს იცნობდეს – წიგნი ძვირი ღირს და ყიდვა ჭირს. ტელევიზიებში პოეზიასა და მწერლობაზე თითქმის აღარ საუბრობენ, ეს კი ახალგაზრდა თაობაზე უარყოფითად აისახება... თავს იმით ვინუგეშებ მხოლოდ, რომ განგებისაგან ნაბოძები ნიჭი ჩვენი ღირებულებების განადგურების საშუალებას არავის მისცემს".

თამარ ერისთავის შემოქმედება უდიდესი სიბრძნით, სიწრფელითა და წარუვალი სამყაროული გრძნობებითაა გაჯერებული. ასევე საყურადღებო და მნიშვნელოვანია მისი ნაშრომი რუსთველოლოგიაში. პოეტების ქვეყანაში მის პოეზიას ყოველთვის ჰყავდა, ჰყავს და ეყოლება თაყვანისმცემელი.

ჩვენ, თამარ ერისთავის არა მხოლოდ პოეზია გვეძვირფასება, არამედ ღირსებით შემკული დიდი მამულიშვილი, სამშობლოს განუხრელი ჭირისუფალი, უმშვენიერესი, უსათნოესი და უსპეტაკესი ქართველი ქალი და უგულითადესი მეგობარი, რომლის სიახლოვე მუდამ გვალაღებდა, გვამაღლებდა, სითბოთი და სიამაყით გვავსებდა.

ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან ღირსებით, სილამაზით, ჭეშმარიტი ქართული კდემითა და ზნეობით შემკული დიდებული ქალბატონი – თამარ ერისთავი, რომელმაც სანაცვლოდ დაგვიტოვა დიდი გულისტკივილი და მასთან ერთად განვლილი ცხოვრების დაუვიწყარი წლების მარადიული ხსოვნა.

მშვიდობით, დიდებულო ქალბატონო, ჩვენო ძვირფასო და დაუვიწყარო თამარ! მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა, რომლის უანგარო სიყვარულითაც ღირსეულად და სამაგალითოდ განვლე ეს წუთისოფელი!

**ივანე ჯაფარიძე,**
დავით აღმაშენებლისა და
ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი

ჯუმბერ ჯიშკარიანი

# ფრაგმენტები ამერიკული დღიურიდან

## ექიმი – ბომბების სპეციალისტი?!..

„ნოვოე რუსსკოე სლოვოს“ ერთ-ერთ ნომერში წავიკითხე ვლადიმერ კოზლოვსკის – „საუბარი ბიოტერორიზმის ექსპერტთან“.

პირველად ნიუ-იორკში გამომავალი გაზეთიდან გავიგე, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში, „სსრკ მინისტრთა საბჭოსთან, „ბიოპრეპარატის“ მთავარი სამმართველო არსებულა. ამ უწყინარი აბრის ქვეშ თურმე ისეთი მონსტრი ფუნქციონირებდა, რომ მისი საქმიანობის გაცნობისას ადამიანს სისხლი გაეყინება!

ოფიციალურად „ბიოპრეპარატი“ სხვადასხვა მიკრობიოლოგიურ პროდუქციას ამზადებდა. ძირითადად – ბიოპესტიციდებს; მაგრამ ეს იყო ამ დაწესე ბულების ფასადი, გარეგნული სახე.

1973 წელს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება სსრკ-ში მოლეკულური ბიოლოგიის დაჩქარებული განვითარების შესახებ. ეს ღია დადგე ნილება იყო; თუმცა, მას ერთვოდა საგანგაშო, საიდუმლო დამატება, რომელიც „ბიოპრეპარატს“ ამოცანად უსახავდა, – ბაქტერიოლოგიური იარაღის გენეტიკუ რად შეცვლილი ვარიანტების დამუშავება დაეწყოთ. კერძოდ, გენეტიკურად შეცვლილი ანტიბიოტიკმედეგი შავი ჭირის, ანტიბიოტიკმედეგი ციმბირის წყლუ ლის, ყვავილის, და ასობით სხვა პროექტის განხორციელებას შედგომოდნენ!

ამ შემზარავი გეგმის უტყუარობა ეჭვს არ იწვევს, რადგან ვლადიმერ კოზლოვსკის რესპოდენტია „ბიოპრეპარატის“ დირექტორის ყოფილი პირველი მოადგილე, პოლკოვნიკი კანაჯან ალიბეკოვი, რომელიც 1992 წლიდან აშშ-ში ცხოვრობს და მოღვაწეობს. იგი ბაქტერიოლოგიური შეიარაღების ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული სპეციალისტია მსოფლიოში! ამჟამად მისი სახელი და გვარია კენეტ ალიბეკი. იგი იმ კომპანიის ვიცე-პრეზიდენტია, რომელიც კონტრაქტით სახელმწიფო შეკვეთებს ასრულებს. ამავე დროს, იგი ერთ-ერთი შვილობილი კომპანიის პრეზიდენტია, რომელიც ბიოლოგიური იარაღისგან თავდაცვის სამედიცინო ასპექტებს ამუშავებს.

ჟურნალისტის შეკითხვაზე,– როგორი იყო ბიოლოგიური იარაღის წარმოების საბჭოთა პროგრამა,– კანაჯან ალიბეკოვი პასუხობს, რომ ეს იყო შემაძრ წუნებელი მასშტაბისა და სიმძლავრის პროგრამა, რომელიც დიდი ხნის წინ, ოციან წლებში დაიბადა. ყველაზე ადრინდელი დოკუმენტი ამ საკითხზე, რომლის გაცნობის საშუალებაც მას მიეცა, დათარიღებულია 1928 წლით, და ერთ-ერთ ინსტიტუტს ეხებოდა, რომელიც სოლოვეცკის კუნძულებზე იყო განთავსებული.

სოლოვეცკის კუნძულების ხსენებაზე ჟრუანტელმა დამიარა! ვინ იცის, რამდენი ქართველი მამულიშვილი დარჩა სამუდამოდ სოლოვეცკის კუნძულების ცივ მიწაში!

...სოლოვეცკის კუნძულები! შორეულ ჩრდილოეთში, თეთრ ზღვაში, დვინისა და ონეგის უბეებს შორის განლაგებული კუნძულების ჯგუფი. თეთრი ზღვა ჩრდილო ყინულოვან ოკეანეს ბარენცის ზღვით უკავშირდება. ასე რომ, კუნძულები ზღვათა სამეფოშია, – ვკითხულობ თამარ და სანდრო გოთუების წიგნში, – „ცხოვრება ლევან გოთუასი“.

XV საუკუნის ოციან-ოცდაათიან წლებში, სოლოვეცკის კუნძულებზე მსოფლიოში უდიდესი, მამაკაცთა მონასტერი დაარსდა.

XIX საუკუნიდან სოლოვეცკის მონასტერი რუსეთის იმპერიის ციხედ, პოლიტიკური პატიმრების იზოლაციის საშინელ სამყაროდ და წამების ადგილად იქცა.

საბჭოთა ხელისუფლების დროს სოლოვეცკის მონასტერი პოლიტპატიმრების საპყრობილე გახდა. სოლოვკების სისასტიკე საკუთარ თავზე იწვნიეს გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა, კონსტანტინე გამსახურდიამ და ლევან გოთუამ.

1921–30 წლებში სოლოვეცკის კუნძულებზე გადასახლებული იყვნენ ქართველი მამულიშვილები: გიორგი თოთუა, ვასო კეჭაღმაძე, სოლომონ თელია, ალბერტ ადეიშვილი, კალისტრატე კვირია, ვასო დვალიშვილი, იოსებ ჟვანია, კანდო ხუბულავა, შოთა აბესაძე, მეტია დგებუაძე, სერაპიონ კეკელიძე, ვახტანგ ბარათაშვილი, მიხეილ შონია, ბიქტორ კარანგოზიშვილი, ვანო ხელაძე, ბესო ვაშაკიძე, სიმონ მეტეხია, ვანო დვალიშვილი, სევერიან არო შიძე, დომენტი ჯაყელი, პარმენ ღამბაშიძე, სანდრო კახაბერი, აფტონ წულაძე, პეტრე კურცხალია და სხვ.

სოლოვკებზე გამეფებული სისასტიკე რომ წარმოვიდგინოთ, საკმარისია გავეცნოთ ორიოდე ნაწყვეტს ლევან გოთუას მიერ ოჯახში გამოგზავნილი ბარათებიდან:

*„...ყინულმჭრელმა სოლოვეცკის კუნძულებზე, ყოფილ კაცთა მონასტერში, სადაც ახლა სასტიკი ციხეა, ძლივს ჩამოგვიყვანა და ყინვაში დაგვტოვა. ისტორიულად ძველ-დიდებულთა ციხე-სიმაგრემ, ამჯერად ჩაფოხილმა, გაპარტახე ბულმა და ჩაშავებულმა ბანაკმა, მძიმე შთაბეჭდილება დამიტოვა. მეთორმეტე ასეულის სარდაფებმა, სადაც მე მოვხვდი, ჩემი ბედის დაცინვა და უკუღმარ თობა მაგრძნობინა. ვერც კი წარმოიდგენთ, აქ რა ხდება. ეს ყოველივე ამქვეყ ნიური არ არის“.*

*„...ყოფილი უძველესი მონასტერი, ძირფესვიანად გაჟღენთილია რუსული ავი სულით. ახლანდელი საკონცენტრაციო ბანაკები ისეთი აღარ არის, რაც სხვა მთავრობის დროს იყო. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, სადაც სისასტი კისა და ულმობლობის საშინელი კანონები მოქმედებს. აქ ადამიანთა სიკვდილი მძვინვარებს, როგორც სრულიად ჩვეულებრივი ამბავი“.*

„სოლოვეცკის მონასტერი“
2.III.1927

აი, ასეთ „ღირსშესანიშნავ“ ადგილზე, გარე სამყაროსგან სრულიად მოწყვეტილ, უცხო თვალთაგან საიმედოდ დაფარულ ადგილზე დაუარსებიათ „ბიოპრეპარატის“ პირველი ინსტიტუტი.

ჰქონდათ კიდეც მიზეზი, გულდაგულ დაემალათ თავიანთი ავი საქმენი; მაგრამ როგორც ბიბლიაშია: „არ არსებობს დაფარული, რომ არ გამოჩნდეს, და არც რამ საიდუმლო, რომ არ გამჟღავნდეს“. (მარკოზი: თავი მეოთხე, 22).

როგორც ჟურნალისტთან საუბარში ირკვევა, კენეტ ალიბეკი მართლაც უდიდესი სპეციალისტია ბაქტერიოლოგიური შეიარაღების დარგში; იგი დამსა ხურებულად ატარებს პოლკოვნიკის სამხედრო წოდებას (გასაკვირი ისაა, რატომ არ მიენიჭა გენერლობა, – სსრკ თავდაცვის სამინისტროსთან არსებულ მეთხუთ მეტე სამმართველოს, რომელიც ბაქტერიოლოგიურ იარაღს ამზადებდა, გენერალ-პოლკოვნიკი ეფიმ ივანეს ძე სმირნოვი ედგა სათავეში).

ბაქტერიოლოგიურ შეიარაღებასთან დაკავშირებით, კენეტ ალიბეკი შეუძლიათ შეამკონ ნებისმიერი აღმატებული ეპითეტებით, გადასცენ ორდენები, მედლები, ფულადი ჯილდო, მაგრამ, უფლება რომ მქონდეს, მას ავუკრძალავდი ექიმის სახელი ეტარებინა.

– რატომ?

– შევეცდები, დავასაბუთო.

კანაჯან ალიბეკოვმა, იგივე კენეტ ალიბეკმა, უმაღლესი სამედიცინო განათლების მიღებისთანავე უღალატა ჰიპოკრატეს ფიცს, რომლის უმთავრესი დევიზია – ადამიანს არ ავნო!

აი, რას წერს თავად კენეტ ალიბეკი:

– 1975 წელს დავამთავრე ტომსკის მედინსტიტუტის სამხედრო-სამედიცინო ფაკულტეტი, მივიღე ლეიტენანტის სამხედრო ექიმის წოდება. უკვე მაშინ დავწერე ორი სტატია ამ თემაზე (ბაქტერიოლოგიურ შეიარაღებაზე – ჯ.ჯ.), ამიტომ ამიყვანეს. პირველად ვიატკის გუბერნიაში მოვხვდი, მაშინდელ კიროვის ოლქში. იქ ერთი პატარა ქალაქია, – ომუტნინსკი. მის მახლობლად მდებარეობ და ქალაქის ტიპის დაბა – ვოსტოჩნი. დაბის ცენტრი იყო ომუტნინსკის ქიმიური ქარხანა. მშვიდობიან დროს იგი ბიოპესტიციდებს აწარმოებდა, მაგრამ აშენებუ ლი იყო, როგორც ბიოლოგიური იარაღის მწარმოებელი ქარხანა. იქ დამუშავე ბული ჰქონდათ ტექნოლოგიები შავი ჭირის, ტულიარემიის, ბრუცელოზის და სხვა ბაქტერიოლოგიური იარაღის საწარმოებლად.

„ბიოპრეპარატის“ განკარგულებაში იყო ექვსი ქარხანა. მათ შორის, – თავდაცვის სამინისტროსთან არსებული

ვირუსოლოგიური ცენტრი ზაგორსკში; ბაქტერიოლოგიური იარაღის დამუშავების ქარხანა და ინსტიტუტი კიროვში; ქარხანა და ინსტიტუტი სვერდლოვსკში.

...კანაჯან ალიბეკოვმა პირველ დღესვე იცოდა, რა საშინელი პროდუქცია მზადდებოდა „ბიოპრეპარატში“, მაგრამ ამ ცოდვილ დაწესებულებას კი არ გაე რიდა, ენერგიულად შეუდგა საქმიანობას და დირექტორის პირველი მოადგილე გახდა!

ჟურნალისტი ერთგვარი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ კენეტ ალიბეკი ამ დარგის ერთ-ერთი უდიდესი სპეციალისტია მსოფლიოში!

უდაოდ, კენეტ ალიბეკი, ალბათ ყველაზე დიდი სპეციალისტია ამ დარგში. მაგრამ ასეთ სპეციალისტად იგი თავის სამშობლოში ჩამოყალიბდა, როდესაც „ბიოპრეპარატს“ ედგა სათავეში! „ბიოპრეპარატს“, რომლის ქარხნებშიც დამზადდა ორასი ტონა (?!) ციმბირის წყლულის, ოცი ტონა შავი ჭირის, ყვავილის და ათასი სხვა ჭირისა და დოზანის გამომწვევი ბაქტერიოლოგიური იარაღი!

პოლკოვნიკი კენეტ ალიბეკი თავის სამშობლოში მილიონობით ადამიანთა მოსაკვდინებლად განკუთვნილ, გაუგონარი მასშტაბის ბაქტერიოლოგიური იარაღის შექმნას ხელმძღვანელობდა; ხოლო ახლა, მეორე ქვეყანაში (მის ახალ სამშობლოში), ამ იარაღისაგან თავდაცვის სამედიცინო ასპექტებს ამუშავებს!

ჩემი აზრით, თუ პიროვნება გარემოებათა გამო, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მილიონობით ადამიანთა შესამუსრავად განკუთვნილი, ასობით ტონა ბაქტერიოლოგიური იარაღის დამზადებას ხელმძღვანელობდა, – მას უფლება არ უნდა ჰქონდეს, ექიმის სახელი ატაროს...

აშშ

# ერთი ლექსი

## ჯუბა ლებელი

### პ ო ე ტ ს

პოეტს სჭირდება რეკლამა,
პოეტს სჭირდება ფული,
არა ეს მწარე ქვეყანა,
ანდა სათუთი გული!..

პოეტს სჭირდება ლაქუცი,
ხელში ბრჭყვიალი ნივთთა
და არა სინდის-ნამუსი,
სისხლში ნაზავი რითმა!..

პოეტს სჭირდება სიმღერაც,
ოღონდ საკუთარ ლექსზე,
სადღაც რომ სისხლი იღვრება,
თავის გმირობას ეძებს!..

არ ეშინია არაფრის,
გულთან არც რამე მიაქვს,
ო, როგორ უყვარს საფლავიც,
თუ პანთეონი იქნა!..

პოეტს სჭირდება მამულიც,
თბილად ძოვდეს და სხვისიც
და არა ასომთავრული,
შეზავებული სისხლით!..

ვაიმე, ჩემო ქვეყანავ,
როგორღა გიცემს გული,
შენ, პოეზიავ, ღმერთთან ხარ,
მიწას ახმება სული...

პოეტს სჭირდება რეკლამა,
მაშასადამე, ფ უ ლ ი!..

# დებიუტი

*დაიბადა ქალაქ თბილისში. ცხრამეტი წლისაა. დაამთავრა 23-ე სკოლა. სწავლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სოციოლოგიის განხრით.*

## ანა ბვენსაძე

### ამბორი

ავიღე თოფი დაბადებისას
და დღემდე მკაცრად გავისვრი ტყვიებს,
ასიდან ყველას ავაცდენ ისევ,
ალბათ ვიღაცა მე მახეს მიგებს.
გავნაგრძობ სროლას არც კი ვჩერდები
არც კი ვისუნთქავ სიცოცხლის წამებს,
დაღონებული განვაგრძობ ისევ,
ისევ გავისვრი სიცოცხლის დამბნევს.
ძალიან ბევრი ტყვია დავხარჯე
ვერც კი დავითვლი – იმდენი, ალბათ.
თან გავაყოლე ჩემი წარსული
ახალგაზრდობა, წლები მალული.
მოკლედ ვიწვალე და ავიხდინე
ჩემი წადილი და სასურველი
მოვარტყი მიზანს და ლტოლვა გაქრა,
წარმატება მაქვს მე განუყრელი?
მალე მივხვდი, რომ ჩემი წადილი
ამაო იყო შეუსაბამო
მიზანი ჩემი გამთელდა უკვე
და ახალ ტყვიებს ვძებს უკვალოდ.
გამთელდა ისევ ჩემი მიზანი
და დროც გავიდა, გავიდა ხანი
ისევ მოვარტყავ აბა რა ვიცი,
აღარ მაქვს თოფის გაწმენდის თავი.
მთელი ცხოვლება ასე შფოთვაში
ასე რაღაცა მიზნის პოვნაში
დავხარჯე თითქოს ფერადოვნება
ცხოვრება მკვდარსაც ეამბორება.

### სიტყვა

რატომ აქვს სიტყვას ასეთი ძალა?
რა არის სიტყვა ბგერების ფარა?
თუ სიტყვა არის ხანჯალი ბასრი,
რომელიც იწვევს ცრემლებს
ან ხალისს.
გლოვობს სხეული და კარგავს ძალას,
იწვევს სიცივეს ან გათრობს სწრაფად...
ეს არის სიტყვა მარტივად თქმული,
მაგრამ სიტყვაა ზენიტის ქურქი.
ზოგჯერ გართობს და
ზოგჯერ გამცივნებს,
ზოგჯერ აგაფრენს ან დაგაფიქრებს,
მოგირჩენს წყლულებს
ან გაჭრის წამსვე.
არ დაგავიწყდეთ ტკივილი თან სდევს.
რა არის სიტყვა? ვამპირი? მონსტრი?
ანგელოზია თუ კაცის ორთქლი?
სიტყვა ეს არის ბოროტის ლოგო –
კარგი კაცისთვის პატარა ორმო.

### ბებო

ჩვენთვის ყველასთვის მეორე დედა,
ეს არის ბებო.
ბებო, რომელიც მუდამ გამშვიდებს,
დაწყნარდი დედი.
შენი არ არის მთელი ხმელეთი,
ზღვაც მალე შენი გახდება ბები.
ყოველთვის ესმის სიტყვები შენი,
ყოველთვის გიცავს პატარა ხელით.
პატარა ხელი, რომელმაც თითქოს
მთელი სამყაროს ტვირთი ატარა.
თვალები მწვანედ შემოგხედავენ,
თითქოს რაღაცის თქმას ვერ ბედავენ.
ბები რა არის? დავბერდი ბები.
მალე სიმაღლეს დაუწყებს წუწუნს,
მერე დაიწყებს საოცარ ტრაბახს
ერთ დროს ისეთი ქალი ვიყავი..
მერე სარკესთან ნაოჭებს დათვლის.
დედა რამდენი? ბევრია ბევრი...
მაინც რად უნდა წკრიალა კანი,
ის ხომ ყველაზე სანატრელია.
მაგრამ მე მაინც ყველაზე მეტად,
ნაღველი მიყვარს ბებოს თვალებში,
ნაღველი, წრფელი წარსულის ბრალი,
აუვსო ბებოს ლამაზი თვალი.

## წლები

ქარმა ქარვისფერმა სევდა მომახვია,
რითმა ჩამიშალა ჩამოწნილი.
სიტყვა – სამშვენისი რა მალია,
შენს გასახარებლად ჩამოშლილი.
მთელი ცხოვრებაა ამ ქარს ვებრძვი!
თმაც ვერ დავიბნიე, როგორც მინდა,
და ჩემი ცხოვრების ერთი ღერძი,–
ლექსი, არის ჩემთვის უფრო წმინდა...
ცხრა მთას გადაფრინდა ის პათოსი,
ფიქრიდან ფიქრში რომ მახანებდა,
ცას რომ მიჭრელებდა, მალაღებდა!
რითმას მიბამდა და მახარებდა!
ქარმა, ქარვისფერმა გამაბრუა,
მზე მეგონა და იყო მთვარე,
დღე მეგონა და იყო ღამე!
გამომელვიძა და... მითხარ რამე!

## სიცოცხლის კარნახით

აგვისტოს დღეა, საათი ორი
ქუჩაში დგას და გული აქვს ორი.
ფიქრობს და ტკბება, გული კი სწყდება.
ბედმა არგუნა ორი მიზეზი –
წარსული ძნელი, აწმყო კი ბნელი,
მის თვალწინ დგება ბავშვობა ძველი...
გული ეტკინა, იტირა ბევრი.
გონება კარგავს წარსულთან კავშირს.
ორივე თვალმა დაიწყო გლოვა
მწუხრია, ბნელა, არ იცის, რა ქნას –
აკოცოს შუბლზე თუ მოკლას დედამ?
სთხოვა სიცოცხლემ – არ გინდა!
არ ქნა!
დაუგდო ყური, რას შვრება? რა ქნას?
აგვისტოს დღეა. საათი ორი.
ქუჩაში დგას და სული აქვს ორი.

## „გზაჯვარედინზე: თანამედროვე არტი სტამბოლიდან ქაბულამდე“

ამ სათაურით ლონდონის „სოტბის“ საუქციონო სახლში, 27 მარტიდან 1 აპრილის ჩათვლით, გამოფენა-გაყიდვა გაიმართა: ექსპოზიციაში ამიერკავკასიის, ცენტრალური აზიისა და შუა აღმოსავლეთის ცხრა ქვეყნის სამოცამდე არტისტის ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. ლონდონის „სოტბის“ საუქციონო სახლის წლევანდელ ექსპოზიციაში ექვსი ქართველი ავტორია ჩართული: ირაკლი ფარჯიანი, ავთო ვარაზი, მერაბ აბრამიშვილი, მამია მალაზონია, ვახო ბუღაძე და თამარ კვესიტაძე. დანარჩენ რვა ქვეყანას თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, ირანი და ავღანეთი წარმოადგენს.



ჯიმშეი ღეჟავა

*1987 წლის 26 აგვისტოს „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ჩემი წერილი „წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“, სადაც მომყავდა მოკლე არგუმენტაცია სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების სათაურის არასწორი დაწერილობის და მცდარი გააზრების შესახებ.*

*წერილს გამოეხმაურნენ ლ.მენაბდე და თ.მუშკუდიანი („ლიტერატურული საქართველო“ 1987 წლის 9 ოქტომბერი), რომლებიც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე (ჩემი აზრით) „ამტკიცებდნენ“, რომ იგავ-არაკების სათაურის ორივე ვარიანტი – „სიბრძნე სიცრუისა“ და „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“ ძალაში უნდა დარჩეს (? ჯ.ლ.).*

*1997 წლის 26 დეკემბერს „ლიტერატურულმა საქართველომ“ გამოაქვეყნა ჩემი შედარებით ვრცელი პასუხის პასუხი „ისევ სიბრძნისა და სიცრუის შესახებ“.*

*რამდენადაც ვიცი, ამის შემდეგ საკითხის ირგვლივ აზრი არავის არ გამოუთქვამს. ამიტომ, გადავწყვიტე კვლავ მივაქციო ფილოლოგთა ყურადღება იგავ-არაკების სათაურის სწორი დაწერილობას და გააზრებას, რაც, ჩემი აზრით, პრინციპული საკითხია.*

# სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების წიგნის სათაურის შესახებ

ტრადიციული გააზრებით „სიბრძნე სიცრუისა“ გაგებულია როგორც მოგონილ ამბავში, ზრაპარში ჩაქსოვილი სიბრძნე. ეს მოსაზრება პირველად **ილია ჭავჭავაძემ** გამოსთქვა და შემდეგ **კორნელი კეკელიძემ** გაიმეორა. უნდა ითქვას, რომ თავის დროზე იგი სადაოდ ითვლებოდა და უცხო ენაზე მას თარგმნიდნენ, როგორც „წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“ (**ო.უორდროპი, ა.ცაგარელი, მ.ბროსე, დ.ლანგი, ქ.ვივიანი**), მაგრამ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ქართულ ფილოლოგიაში ფაქტობრივად დამკვიდრდა სათაურის არასწორი ვარიანტი და, შესაბამისად, არასწორი გაგება.

ამ „ლიტერატურული კურიოზის“ გაჩენას ალბათ იმანაც შეუწყო ხელი, რომ იგავ-არაკების სათაური შეკვეცილია და გამოიყენება არა ისე, როგორც ეს შემონახულია ფაქტობრივად თითქმის ყველა ხელნაწერში – „წიგნი სიბრძნე სიცრუისა, ნათქვამი სულხან ორბელიანისა ჟამსა სიჭაბუკისისა თვისისა“. შეუძლებელია, რომ სულხან-საბას სათაურის სახელწოდება აერჩია იმ მიზნით, რომ ეთქვა – აქ ყველაფერი მონაგონია, სიცრუეა, მაგრამ მასში სიბრძნეა ჩაქსოვილიო. იგავ-არაკების ჟანრი საქართველოში ძალიან კარგად იყო ცნობილი და საბას ამის შესახებ ხაზის გასმა რად დასჭირდებოდა? („სიტყვის კონაში“ იგი ზუსტად განმარტავს იგავის არსს).

ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ **სულხან-საბა** ორბელიანი ასეთ ორიგინალურ სახელწოდებას შემთხვევით არ მოიფიქრებდა და მასში განსაკუთრებული აზრი უნდა იყოს ჩაქსოვილი. საგულისხმოა, რომ **დ. ლანგი** მას „საიდუმლოების შემცველ სათაურს“ უწოდებს, ხოლო **შ. ნუცუბიძის** აზრით „ამ საკითხის ხანგრძლივი კვლევის ისტორია გამართლებულია მისი უაღრესი მნიშვნელობით“.

ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ სათაურის გაგების პრობლემა უფრო რელიეფური გახდა, როდესაც საქმე შეეხო იგავ-არაკების თარგმნას. ქართული ენის სპეციფიკიდან

გამომდინარე „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“-ს და „სიბრძნე სიცრუისა“-ს შორის შინაარსობრივი განსხვავება ნაკლებად თვალშისაცემი იყო და დავას არ იწვევდა, ვიდრე არ დაისვა მისი თარგმნის საკითხი. **ა. ცაგარელს** თავიდან იგი ესმოდა, როგორც **„Мудрость вымисла“**, მაგრამ სულ მალე იგავების პირველ რუსულ გამოცემაში 1878 წელს იგი თარგმნა, როგორც **„Книга мудрости и вымисла“.** მთარგმნელი ხაზს უსვამდა, რომ ეს ვარიანტი უფრო შეესაბამება წიგნის შინაარსს და ქართული გრამატიკის ნორმებსაც. ანალოგიურად თარგმნეს სათაური **მ. ბროსემ** (1887), **მურიემ** (1895), **ო. უორდროპმა** (1895) და **ქ. ვივიანმა** (1978). მათი გაგება ემყარებოდა იმ აზრს, რომ სულხან-საბას იგავ-არაკებში სიბრძნე, ჭეშმარიტება, სიმართლე დაპირისპირებულია სიცრუესთან და ბოროტებასთან. საგულისხმოა, რომ მხოლოდ ყველაზე გვიან შესრულებულ თარგმანში (1973) გერმანულ ენაზე **ჰაინც ფენრიხის** (H. Fähnrich) მიერ სათაური თარგმნილია ისე, როგორც ახლა არის დამკვიდრებული ქართულად – „Die Weisheit der Lüge“ (სიბრძნე სიცრუისა).

დ. ლანგი ყურადღებას აქცევდა გ. იმედაშვილის (1954) იმ მთავარ მიხვედრას, რომ „სიბრძნესა“ და „სიცრუეს“ შორის საჭიროა დეფიზი, ხოლო წიგნის სათაური უნდა ითარგმნოს ქართული გრამატიკის და ჩვევის თანახმად: „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“.

მართლაც, „სიბრძნე-სიცრუისა“ ქართული ენისთვის დამახასიათებელი კომპოზიტია, რომელიც ზედმეტს ხდის (ამოკვეთს) „და“-ს. „მსგავსი ხასიათისაა ქართული სათაურები „ვისრამიანი“, „ვარდბულბულიანი“, „ქალვაჟიანი“ და სხვა, რომლებიც სხვა ენაზე გადაღებისას აღადგენენ ამოკვეთილ „და“-ს (**შ. ნუცუბიძე,** ქართული ფილოსოფიის ისტორია,გვ.248). **შ. ნუცუბიძის** აზრით, „გამოთქმა „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“ ლოგიკური კავშირით უდრის მარტივად თქმულს „სიბრძნე-სიცრუე“-ს (გვ.250).

ყოველივე ამის გათვალისწინებით ადვილი მისახვედრია, რომ ის მრავალი მინაწერი გადამწერთა ანდერძებში მეტყველებენ სწორედ ვარიანტის – „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“-ს სასარგებლოდ: „აღიწერა სიბრძნე სიცრუე ესე...“, „გათავება სიბრძნე სიცრუისა“, აღიწერა წიგნი ესე, რომელსაც ეწოდების სიბრძნე სიცრუე“, „დაიწერა წიგნი ესე მალხენელი და მარტოს გამაძლებელი, სიბრძნე სიცრუედ წოდებული“. ანალოგიურადაა **იოანე ბაგრატიონის** კალმასობაში: „სულხან ორბელიანმა ქმნა წიგნი ზნეთსწავლულებისა, სიბრძნე სიცრუედ წოდებული“. 1782 წლის ხელნაწერში ცნობილი კალიგრაფისტები კორნელი და თომა ჩაჩიკაშვილები მკითხველს განუმარტავენ: „ეს არის ზოგს ცრუს ამბობს და ზოგს – სიმართლეს, ეს არის სიბრძნე-სიცრუვე“. აქ ისიც არის საინტერესო, რომ გადამწერები სიმართლეს სრულიად გარკვევით სიბრძნის ეკვივალენტად ხმარობენ და მიუთითებენ, რომ **წიგნში არის სიბრძნე და სიცრუე, და არა – სიცრუის სიბრძნე!**

1764 წლის ხელნაწერზე თედო ჟორდანიას ასეთი მინაწერი გაუკეთებია: „საბა ორბელიანის „სიბრძნე – სიცრუე” - ეს წიგნი ვიშოვე, პეტრე დადიანის ოჯახში ნაქონია“.

სათაურის ფორმალური მხარის გაგებაში ისიც დაგვეხმარება, თუკი გავიხსენებთ ქართული ენისთვის დამახასიათებელ კომპოზიტებს: ტყუილ-მართალი, ავ-კარგი, ცოდვა-მადლი, სიტკბო-სიმწარე, ასავალ-დასავალი და ა.შ. განა ვინმეს მოუვა თავში, რომ ისინი გაიგოს (ან თარგმნოს), როგორც ტყუილის მართალი, ავის კარგი და ა.შ.?

როგორ შეიძლება იმის იგნორირება, რომ 57 ხელნაწერიდან 35-ს აწერია „წიგნი სიბრძნე სიცრუისა... “. 22 ხელნაწერის უმრავლესობის თავფურცელი დაკარგულია (!) და პირობითად აღიწერება, როგორც „სიბრძნე სიცრუისა“ (იხ. **ს.ს. ორბელიანის** საიუბილეო გამოცემა,1959). ერთადერთ ხელნაწერზეა მხოლოდ: „სიბრძნე სიცრუისა, ყრმათათვის ამოდ საკითხავი სიბრძნეშიც და სიცრუეშიც“. გადამწერთა შორის ერთადერთია ვინმე **პოლოს მესარკოვი** (ისიც, მოგვიანებით – 1834), რომელსაც სათაურის შესახებ დაახლოებით ისეთივე შეხედულება ჰქონია, როგორიც ამჟამადაა გაბტონებული: „სიბრძნისა მიერ აღვსწერე ესე სიცრუვე, ნათქვამი საბა ორბელიანისაგან, თვინიერ ცრუ სრულია“(?! – **ჯ.ლ.**).

ახლა ძნელია იმის დადგენა, თუ როდის, რატომ და ვისგან დაიწყო სათაურის, შეიძლება ითქვას, კურიოზული გაგება. გარკვეული როლი ითამაშა, ალბათ, ბეჭდვითმა სიტყვამ, პუბლიცისტიკამ, როდესაც ისტორიული ან ლიტერატურული მიმოხილვის დროს უნებურად შეამოკლებდნენ ხოლმე სათაურს, როგორც „სიბრძნე სიცრუისა“-დ.

სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ როგორც **რ. თვარაძე,** ასევე **გ.ლეონიძე** მომხრენი იყვნენ ვარიანტისა – „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“. „რადგან ეს სათაური მრავალ ხელნაწერშია შენახული, ვფიქრობ, რომ იგი თვით სულხან-საბას დედნიდან უნდა მომდინარეობდეს“ (გ. ლეონიძე, 1957). იგავ-არაკების სათაურის ასეთი გაგება სრულიად შეესაბამება ნაწარმოების შინაარსს და დანიშნულებას. იგი შექმნილია არა მარტო დიდაქტიკური, აღმზრდელობითი მიზნით, არამედ სოციალ-პოლიტიკური მოსაზრებებითაც.

საქართველოში ამ დროს ზედმიწევნით დაძაბული და რთული ვითარებაა. არის აზრთა ჭიდილი და შეხლა-შემოხლა საქართველოს აწმყოს და მომავლის შესახებ, ქიშპი და ბრძოლა ძალაუფლებისთვის, კამათი ჩრდილოეთისა და დასავლეთისკენ „ორიენტაციის“ უპირა ტესობის ირგვლივ. სულხან-საბა ამ ჭიდილის მომსწრეცაა და მონაწილეც – **მეფე გიორგი XI, არჩილი, ლევანი** მისი მამიდაშვილები და, გარკვეული აზრით, მისი აღმზრდელებიც იყვნენ, ხოლო თავად **საბა ვახტანგ VI ლევანის ძის** აღმზრდელი იყო.

„მთელი ნაწარმოების გასწვრივ მკითხველის თვალწინ ცოცხლდება სიმართლე (სიბრძნე), რომელიც კრიზისული ეპოქების ატმოსფეროში ზოგჯერ დაუჯერებელია და იმოსება სიცრუის სამოსით და სიცრუე, რომელიც იფარებს სიბრძნის ნიღაბს... სიბრძნე **საბასთვის** სიმართლის, სინამდვილის, ჭეშმარიტების მცნებაა, სიცრუე პირიქით – სიყალბის, მოჩვენებითობის, ხოლო ეთიკურ ასპექტში – ბოროტების და ვერაგობის“ (ქართული მწერლობა, ლექსიკონ-ცნობარი, 1984).

„სიცრუის დასადასტურებლად იმდენივე არგუმენტი მოიპოვება, რამდენიცაა სიბრძნის სასარგებლოდ... აქ ყველაფერი ილუზორულია და წარმავალი. ესაა მთელი ეპოქის დამახასიათებელი მოტივი (**რ. თვარაძე**, ქართული მწერლობა, 1984).

„სიტყვის კონაში“ **სულხან-საბა ორბელიანი** ასე განმარტავს: „სიბრძნე ესე არის მშობელი ჭკუისა და განმსინჯველი ცნობათა, სიბრძნე და სივერაგე ემსგავსებიან (!–**ჯ.ლ.**); სიბრძნე კეთილ არს, ხოლო სივერაგე – არა; სიცრუე – დიდი სიმტყუანე“.

გავიხსენოთ საჭურისი **რუქას** მორალური სახე და პაექრობის მანერა. ეს „არაკეთილ სიბრძნით“ (ანუ სივერაგით) აღსავსე ადამიანი, კაცთმოძულე (მას ამისთვის გარკვეული საფუძველიც აქვს), რომელიც ბოროტად ენამჭევრობს და მთელ თავის ცოდნას და მჭერმეტყველებას სინამდვილის განზრახ დამახინჯებისთვის იყენებს, ანუ ცრუობს (სხვათა შორის, მის მიერ მოყოლილი იგავები განსაკუთრებული გონებამახვილობით გამოირჩევიან და 109 იგავიდან 40 რუქას ეკუთვნის!). მას უპირისპირდებიან მეფე **ფინეზ**, ვეზირი **სედრაქ,** მეფისწული **ჯუმბერ** და მისი აღმზრდელი **ლეონ**, რომელთაც მართლაც დიდი სიბრძნე და მეცადინეობა დასჭირდათ, რათა გამოეაშკარავებიათ, ემხილებიათ რუქას სიცრუე, სივერაგე. საბამ იგავის ჟანრი (ეზოპეს ენა) იმის გამო გამოიყენა, რომ შექმნილ სიტუაციაში ძნელი და სახიფათო იყო აშკარა პოზიციის გამომჟღავნება. შემთხვევით არ ათქმევინებს მეფეს თხუზულების ბოლოს: „ჰე, **სედრაქ** ვაზირო, მეც დიდად მიმძიმს თქვენი ასრე გარდაკიდება, მაგრამ ასრე ვხედავ – ვერც შენ გადარჩები ამ საქმეს უფათერაკოდ, ვერც მე და ვერც სხვა ვინმე; და კმა არს დღესა ამას თქმად მრავალი ესე მეტყველება ჩვენი“.

ვფიქრობ, მოყვანილი არგუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ **სულხან-საბა ორბელიანმა** იგავების სახით მოგვაწოდა სწორედ სიბრძნის და სიცრუის წიგნი. ზოგიერთი ხელნაწერის გათვალის წინებით, სავარაუდოა, რომ იგავ-არაკების **საბასეული** სახელწოდება იყო „სიბრნე-სიცრუე“, რასაც შემდეგ გადამწერებმა მიამატეს „წიგნი“, როგორც ეს ხშირად ხდებოდა. ამრიგად, ქართული პროზის ამ შედევრს უნდა ეწოდებოდეს (სანამ არ მოიძებნება **საბასეული** დედანი): **„წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“** ან **„სიბრძნე-სიცრუე“**, ხოლო სასკოლო პროგრამებში და ანოტაციებში წიგნის სათაურის გაგება და არსიც შესაბამისად უნდა იყოს განმარტებული.

## ვასილ ბოსტაშვილი

* * *

მე შეგახსენეთ ჩემი სიკვდილით,
ყოველი წამი უნდა გიყვარდეთ...
სიცოცხლე არის დროსთან ჭიდილი,
გულის სიწრფელე,
მუხლის სიმარდე...

მზესავით უნდა ხარჯავდეთ სხივებს,
რომ მადლობელი იყოს სოფელი...
ლოცვით გაითბეთ სხეული მძიმე,
გამჩენს უძღვენით სამადლობელი...

თოვლივით დნება მტრობა და შური,
ხესავით ხმება კაცი ჭიანი...
ჭკნება სხეული – საწუთროს მდგმური
და სულით ფასობს ადამიანი...

* * *

გაზაფხულდაო... – იტირა ზვარმა,
ჩამოედინა ცრემლი თაფლივით...
მიწამ შეხვრიპა ნაჟური ხარბად
და გაიღიმა ცელქი ბალღივით...

შემოეძარცვა ალაზანს თოვლი,
მზე როცა ფეხზე წამოიმართა...
ნისლივით დაფრთხა ჭალაში გნოლი,
გამოჩნდა ჯაჭვი თმათეთრ მყინვართა...

ჰარმონიულად დაირხა ექო,
ამოძახილი წრფელი გულისა...
სოფელს სილურჯე სასთუმლად ეგო,
ვით პირველსუნთქვა გაზაფხულისა...

* * *

ჭირვეულია ქალივით მარტი,
სავსე ცრემლებით,
შლეგი ქარებით...
უჩუმრად დააქვს უდაბნოს დარდი,
ღიმილით,
ლოცვით
და მდუმარებით...

დააქვს ღირსება
და ერთგულება,
ტაძრად ქცეული – წმინდა ოჯახის
და სხვაგან არსად არ ეგულება,
მშვიდი,
მყუდრო
და თბილი ოთახი...

უძღვნიან ლექსებს,
ამბორს და იებს,
დღესა და ღამეს,
მზესა და მთვარეს...
საწუთრო არის კამკამაც, მღვრიეც,
გამორჩეულად ტკბილიც
და მწარეც...

ჭირვეულია ქალივით მარტი,
სავსე ცრემლებით,
შლეგი ქარებით...
უჩუმრად დააქვს უდაბნოს დარდი,
ღიმილით,
ლოცვით
და მდუმარებით....

* * *

ჯიღად დამადგეს მავთულხლართები,
შემომახვიეს როგორც ხვიარა...
სად ვიწყები და საით ვმთავრდები ?!...
სულმა გოლგოთას გზა გაიარა...

ემატებოდა ტკივილს ტკივილი,
სიკვდილს სიკვდილი,
ხმაურს ხმაური
არ დაცდენია ბაგეს ჩივილი,
არ ღირსებია ცას სათაური...

ულვთოდ აიმღვრა ძმარში ნაღველი,
კირში ბალღამი,
თვალში ცრემლები...
ჩამოეწვეთა თოვლზე ძახველი,
ლურსმანთ სიცივეს გრძნობდნენ ხელები...

ჯიღად დამადგეს მავთულხლართები,
შემომახვიეს როგორც ხვიარა...
სად ვიწყები და საით ვმთავრდები?!
სულმა გოლგოთას გზა გაიარა...

* * *

ჟამი სიკვდილთან ომში გავიდა,
საგაზაფხულო ღიმილს ვიფერებ...
სიცოცხლეს ვიწყებ ისევ თავიდან,
ვერ მეკარება ახლოს სიბერე...

მზე ამობრწყინდა სალოცავიდან
და არწივულად ყელს მოიღერებს...
არ ჩავუგდივარ არვის ნავიდან,
ჯერაც ვერავინ გადავიმტერე...



* * *

ამ გაყინულ კედლებში,
ვზივარ პატიმარივით,
უსიკვდილო სიკვდილის
ქარბორბალა ტრიალებს...
უსამყარო სამყარო
მოჩანს ნაწვიმარივით,
ტევრთა უტევრობაში
.სევდისფერი შრიალებს...

წრეზე მიირხევიან
მეწამული ისრები,
სული სახრჩობელაზე
ნერვის ძაფით კიდია...
ფერთა უფერობაში
ნაკუწებად ვიმცვრევი
და უდღეო დღეები
ბეწვის ხიდზე მიდიან...

# ელისაბედ ერისთავის მემუარებიდან

*ჟურნალის მკითხველს ვთავაზობთ საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში დაცული ელისაბედ ერისთავის (1864-1949) ერთი მოგონების (13483-ბ) პუბლიკაციას.*

*ელისაბედ ერისთავი 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი თავკაცის ელიზბარ ერისთავის უმცროსი ასულია. დედამისი – ქეთევან ერისთავი პოეტის, კოზლოვის „შეშლილის“ მთარგმნელის რევაზ შალვას ძე ერისთავის ძმა, ნათესავი და ახლო მეგობარი ნიკოლოზ ბარათაშვილისა, რომელმაც მას უძღვნა ლექსი „ქეთევან“.*

*მოგონების ფრაგმენტული ხასიათის ტექსტი საყურადღებო წყარო და მასალაა მე-19-20 საუკუნეების მიჯნის საქართველოს კულტურულ-საზოგადოებრივი გარემოს შესასწავლად. ის მოიცავს ეპიზოდებს მემუარისტის თანამედროვე ისტორიულ პირთა ცხოვრებიდან,ახალი შტრიხებით ამდიდრებს მათ პორტრეტებს,გადმოგვცემს ეპოქის კოლორიტს. ხელნაწერი პირველად ქვეყნდება, ძირითადად შენარჩუნებულია ავტორის სტილი, ორთოგრაფია და პუნქტუაცია. უმნიშვნელო ხასიათის რედაქციული ცვლილებები, რომლებიც მოგონების შინაარსის გასაგებად გახდა საჭირო, ჩასმულია კუთხოვან ფრჩხილებში. თანდართული ფოტო ასევე აღნიშნული მუზეუმის იკონოგრაფიულ განყოფილებაშია დაცული. მემუარებში ნახსენებ პირთა შესახებ გენეალოგიური ცნობების დადგენა-დაზუსტებაში დახმარებისათვის მადლობას ვუხდით საქართველოში გენეალოგიური კვლევის ფუძემდებელს ბატონ იური ჩიქოვანს და მის მეუღლეს ქალბატონ ირინეს.*

*ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინათქმა, კომენტარები და შენიშვნები დაურთო მაია ცერცვაძემ.*

## 13483-ბ

## ელისაბედ ელიზბარის ასულის მოგონებანი[,] ერისთავისა. 1.

ელისაბედ ერისთავი

გუშინ დავხედე სურათს ჟურავსკის[1] ცოლისას[2] [,] ამ დიდ[ად] პატივსაცემ ადამიანისა[ს] და მომაგონდა მაგისი დიდი ქველმოქმედება. მაგისი მეუღლე[,] გენერალი ჟურავსკი მსახურობდა მთავარმართებელთან[.] ორივ მოხუცნი[,] მდიდარნი[,] უშვილონი[,] მარტივათ სცხოვრობდნენ და ნახევარზე მეტს თავიანთ საცხოვრებელს უწილავდნენ ღარიბთ[.] ბევრი სტე[პენ]ბიანტები ჰყვანდნენ: სხვათა შორის[,] ერთი აყვანილი ობოლის ქალსა სზდიდნენ[3][,] შაშინელი ულამაზო[,] მარტივათ ჩაცმული[.] მისი ერთადერთი სილამაზე იყო გ[რ]ძელი სქელი ნაწნავი[,] უკან ჩაწნული და მუხლამდინ გ[რ]ძელი[.] ჭკვიანი და კარგათ აღზ[რ]დილი [იყო.] ევროპიული რამდენიმე ენები იცოდა. ბოლოს შეირთო დადიანმა[4] [,] რომელიც იყო არდინარეცი მთავარმართებლისა[.] რამდონიმე ხანი ბედნიერათ ცხოვრობდნენ[.] ეს დადიანი იყო პაშა ვიდგენშტეინის[5] ძმა. იმ ხანებში გა[ნ]თქმული მოწაფე ლ. ტალსტოისა[6] კნ. ხილკოვი[7] იყო აქ გამოგზავნილი ბაშკირეთში და ნაბძანები იყო[,] რომ ხილკოვი როგორმე გადა[ი]

ბირონ თავის აზრებზე და ის დადიანი შეხვდა თუ წავიდა ბაშკირეთში[.] ერთი ღამე გაატარა პალატკაში. ბევრი ილაპარაკეს ტალსტოის მიდრეკაზე და დადიანი ჩამოვიდა იქ[ი]დამ ნამდვილი ტალსტოის აზრებით. თავის საცხოვრებელი აქა[-][+]იქ დაურიგა თუ გაფანტა და დაიწყო შეშის ხერხვა. იმის ცოლიც[,] რასაკვირველია[,] იმის აზრებისა იყო. ცოლიც სარეცხს რეცხამდა[,] მარამ რასაც იძენდნენ ორივენი[,] არა ჰყოფნიდათ[,] რადგანაც ორი ბავშვი ჰყვანდათ[,] ქალ[-][+]ვაჟი. ბოლოს დადიანი გაგიჟდა და მოკვდა. დარჩა ქვრივი ორის ბავშვითა[8] [.] არ ვიცი[,] თავის დედობილის შემდეგ დარჩა[.] ალბათ კიდევ შეძლე ეს არ ვიცი[.] ვიცი, რომ თავის[ი] შვილებით წავიდა სამძღვარგარეთ[,] ესე იგი შვეიცარიაში და იქ ისა და ჯუნკოვსკის[9] ცოლი[,] ისიც ორი ბავშვით[,] ძალიან დაახლოვდნენ[,] დამეგობრდნენ და ორივემ იქ აღზარდეს თავის ბავშვები[.] 1904 წელსა ჩამოვიდნენ თბილისში და დადგნენ ჩემი დის სახლებში[10] [.] სულ ზევი[თ] ეტაჟაში ხუთი დიდი ოთახები იყო[,] მა[გ]რამ აქაც დიდხანს არ გაჩერდნენ და გადავიდნენ სხვაგან. ჩემ[ს] დას ძალიან მოსწონდა დადიანი[11] და გვინდოდა მისი დაახლოვება[,] რადგანაც ჩვენცა გყვანდა ყმაწვილი ქალები და კარგი საქრმო იქნებოდა[,] მა[გ]რა[მ] ის ყმაწვილი ძალიან მორიდებული იყო[,] არავის ეკარებოდა. ბოლოს შეირთო ჯუნკოვსკის ქალი და თავისი და მისცა თავის ცოლის[+]ძმას. არ ვიცი[,] რამდონათ იყვნენ ბედნიერნი. ვგონებ[,] რომ უნდა ყოფილიყვნენ[,] რადგანაც ერთათ აღიზარდნენ[.] პირველ ხანობაში დადიანი დატრიალდა და ანბობდნენ[,] რომ კარგი აგრონომია[.] მერე ცოტა ხანს[,] არ ვიცი[,] რაზე იყო გაგზავნილი და ეხლა არ ვიცი[,] არის ვინმე იმისიანი ან თითონ [თუ არა]

ელისაბედ ელიზბარის ასული ერისთავისა.

## 2.
## მოგონება ელისაბედ ელიზბარის ასულის ერისთავისა.

ბიძაჩემი რევაზ შალვას ძის ერისთავის[12] მეუღლე[,] ძალუა[+]ჩემი ნინო ესტატე ერისთავის[13] ასული გარდაიცვალა მამიჩემის სიკვდილის წინ[,] აღარ მახსოვს[,] რამდენი თვე გავიდა. ტასო[14] [,] მათი უფროსი ქალი[,] ჩვენთან ერთათ სწავლობდა ფრანგულს[.] ჯერ სიცოცხლითვე ძალუა[+]ჩემმა მოიყვანა ტასო ჩვენსა და მე და ის დიდი მეგობრები ვიყავით. როცა ბიძა[+]ჩემი დაქვრივდა[,] დეიდა[+]ჩემი ელენე[15] [,] ბიძი[+]ჩემი[ს] რევაზის გაუთხოვარი და[,] გახდა ექვსი ბავშვის დედა და ამღზ[რ]დელი. ერთი წლის შემდეგ ძალუა[+]ჩემისა და მამიჩემის სიკვდილ[ის] შემდეგ ბებია[+]ჩემმა მოინდომა თავისი ქალი ელენეთი და ბავშვებით აბასთუმანში გამგზავრება. იმ ზაფხულს ტასო წაგვართვეს და თან წაიყვანეს[.] მე ძალიან ვნაღვლობდი იმის მოშორებას[.] იმ დროს ბიძა[+]ჩემი უეზდის ნაჩალნიკი იყო და ჩაფრების ნაჩალნიკი იყო ზაზა ყიფიანი[16]. ეხლაც თვალწინ მიდგას იმის[ი] მშვენიერი სახე. აი[,] სურათიც[:] მხარბეჭიანი[,] ჩასხმული[,] თეთრ[-][+]წითელი[,] ქართულათ ჩაცმული[,] შეიარაღებული[,] მუდამ ჩაფიქრებული[.] ბებია[+]ჩემს კარეტა მოართვეს[,] შუშაბანდიანი ძველებური დორბეზი[17] [,] რომელშიაც ბებია[+]ჩემი[,] დეიდა[+]ჩემი და ოთხი ბავშვი თავიანთ[ი] გამდლით ჩაეტივნენ შიგ[.] მხოლოთ ორი უფროს[ი] ვაჟის[18] გარდა[,] რომლებიც სახლში დარჩნენ სოფელში თავიანთ[ი] დედიდით[,] ანასტასია ესტატეს ასულით[19] [,] ბოლოს ნიკო ამილახვრის[20] ძმის მიხაკოს[21] მეუღლით. ბებია[+]ჩემის დორბეზი რომ დაიძრა[,] ზაზა ყიფიანი კოზლაზე ახტა და უკან ოროლი ჩაფრები ეახლნენ. ჯერ მშვენივრათ თურმე იმოგზაურეს[,] მა[გ]რამ არ ვიცი[,] რომელ ალაგსა[,] ერთგან გადასავარდნელი ალაგი იყო და ბნელოდა[,] კარეტა რომ ცოტა აყირავდა და გადავარდნას აპირობდა[,] ზაზა გადმოხტა და აყირავებულ მხარეს ფეხი დაადგა და კარეტამ გადმოიწია მე[ო]რო მხარეს და ამით გადაარჩინა დაღუპ[ვ]ას ბებიაჩემი თავი[სი] შვილებით. ზაზას წელში ჰქონდა მუდამ[,] როცა ბებიაჩემს ახლდა[,] უკან წელში გარჭობილი აზარფესა[,] რომელიც იწონამდა ერთ გირვანქას და ბებიაჩემი[,] როცა წყაროს სადმე დაინახამდა[,] იმითი მიირთმევდა. ბოლოს ის აზარფეშა დედა[+]ჩემს აჩუქა და მერე მე მერგო[.] ზედ ეწერა ეკატერინე ასლანის ასულის ასული ჯამბაკურ ორბელიანის[22] ვარ[.] ჩემდა სამწუხაროთ[,] გაჭირვების დროს გავყიდე. ზაზა ყიფიანს ჰყვანდა ორი ქალი და ორ ვაჟს ვიცნობდი[.] დანარჩენი[,] არ ვიცი[,] ჰყვანდა კიდევ თუ არა[.][23] უფროსი ქალი ჰყვანდა ლევან აბაშიძეს[24] [,] მშვენიერ მოლეკურეს[.] მეორე და იყო ნათლული ბიძაჩემისა[,] ტუზიკის დედა. ლევან აბაშიძეს ჰყვანდა ერთათ[-][+]ერთი

ვაჟი მიტუშა აბაშიძე[25] [,] მშვენიერი მეთარე[,] მომღერალი და გა[ნ]თქმული მოლეკურე[.] იმან შეირთო აბესალომ მაჩაბლის[26] ქალი[27] და იმასაც მიეცა ერთი მშვენიერი ქალი[28] [.] მიტუშამ გაათხოვა და მისცა მამულაიშვილსა[29]. ეს მშვენიერი ქალი ორსულობის შემდეგ გა[რ]დაიცვალა და დარჩა ეს პატარა ბიჭი[30] დიდი ბებიის სი[ნა]ბარა[,] რომელმაც ვა[ი-] ვაგლახით გამოზარდა ეს ბავშვი. ანეტა აბაშიძისა[31] მეტყოდა ხოლმე[,] ლიზა[,] მიშველე[,] ცოლი შევრთოთო[,] თორემ მე მოვკვდებიო და ამის პატრონი არავინ იქნებაო, მშვენივრათ სწავლობსო[,] ოცი წლისა ფილოსოფოსის კურს[ს] გაათავებსო და ცხოვრებისა არარა ესმის რაო[.] მშიერი მოკვდებაო[.] მინდა[,] შევრთო ვინმეო[,] ოთახი ექნებაო ყველაფრით[,] სამზეო ავეჯიო და[,] მგონი[,] ბევრი ფაიფურის იშვიათი ჩაშკები[,] რომელიც ეკუთ[ვ]ნოდა პაპიჩემის უფროს ძმას გიორგი კნიაზს[32] [,] როგორც ეძახოდნენ[,] ტავრიჩესკის და მაგის დიდი პაპის პაპას ორივ მხრივ[33] [.] ივანე ფილოსოფოზიც[34] მაგისი დიდი პაპის პაპა[35] იყო.

## 3.

ეს ამბავი იყო შარშან[+]წინ[,] როცა იმის დიდი ბებია მეხვეწებოდა[,] ცოლი შევრთოთო. ზამთარი დიდი დაგვიდგა და ვეღარ გამოვდიოდი გარეთ[,] რომ მენახა ანეტა აბაშიძისა. რო[მ] ცოტა მოთბა[,] წავედი ჩემ[ს] საქმეზე სალიტერატურო მუზეუმში და იქ შემხვდა ენიკოლოფოვი[36][,] რომელი[ც] იმათ გვერთით ცხოვრობს და იმისი გერები ნაცვალოვები მახლობელი ნათესავები არიან[37][.] იმას ვკითხე[,] ანეტა აბაშიძისა როგორ არის[-][+] მეთქი და იმან მითხრა[,] ბებია გარდაიცვალაო და შვილიშვილი დატუსაღებულიაო[,] არ ვიცი[,] რისთვისაო. ის ვერ გავიგე[,] ვის დარჩა მის[ი] ავეჯ[ი] ან ოთახი. ზაზასა ჰყვანდა უფროსი შვილი[,] ძალიან კარგი ყმაწვილი[.] ჩვენსა ხშირათ დაიარებოდა ხოლმე. შავი ხავერდის პიდჟაკი ეცვა ხოლმე და სკრიპკას მოიტანდა ხოლმე და კარგათ უკრამდა. გორში გაათავა სწავლა და მერე ოზურგეთში მიიღო სამსახური ნატარიუსობა. რო[მ] მოვიდა ჩვენ[ს] სანახავათა[,] ბევრი რამ გვიანბო იქაური თავის ცხოვრობისა და გვითხრა[,] третье лицо в городе დაერქო[.] ტრეტეე ლიცო в городе[,] მა[გ]რამ საწყალმა იქაური ჰავა ვერ აიტანა და დაჭლექდა და გორში მოიყვანეს[.] ბევრი უწამლეს[,] მარამ ძალიან ყმაწვილი გა[რ]დაიცვალა.

ელისაბედ ელიზბარის ასული ერისთავისა.

1948 წ. 19/II

---

[1]ჟურავსკი – იაკობ ივანეს ძე ჟურავსკი (?-1877), გენერალ-მაიორი.

[2]იაკობ ჟურავსკის ცოლი იყო ელენე ზაქარიას ასული ჩიჩიკაშვილი-ჟურავსკისა (?-1910), „შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოების“ ქალთა კომიტეტის წევრი (1890წ.).

[3]იგულისხმება იაკობ ჟურავსკის შვილობილი ნადეჟდა იაკობის ასული ჟურავსკაია (1863-1939).

[4]დადიანი – გიორგი ალექსანდრეს ძე დადიანი (1855-1900), თავადი, პოდპოლკოვნიკი, იაკობ ჟურავსკის სიძე.

[5]პაშა ვიდგენშტეინი – პელაგია (პრასკოვია, პარასკევა, პაშა) ალექსანდრეს ასული დადიანი (1847-?), ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე (1891-1893), ცნობილი აგრაფინა ჯაფარიძის (გრაფინია ფონ ზარნეკაუს) (1855-1926) მული. 1868 წელს ცოლად გაჰყვა რუსეთში გადასახლებულ გერმანელ თავადს, რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ნათესავს ფერდინანდ ლუდვიგის ძე საინ-ვიტგენშტეინ-ბერლებურგს (1834-1888). ჰყავდა შვილები ალექსანდრე (1869-1901), ოფიცერი, ცოლად ჰყავდა ელიზაბეტ ფონ დინგელშტედტი (ალექსანდრეს დუელში ტრაგიკულად დაღუპვის ამბავს აღწერს რ. ინანიშვილი თავის ნოველაში „ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე?. მის შესახებ იხ. აგრეთვე „ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა (ჩაწერილი ექიმ დავით კვიტაიშვილის მიერ)“. „ლიტერატურის მატიანე“ 1999–2005. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანე“. შემდგენელი ლალი ცომაია. თბილისი. 2005. გვ. 398-409 ), გრიგოლი (გრიცკო) (1873-1964), ოფიცერი, დაქორწინებული ელიზავეტ მოროზოვაზე და ნიკოლოზი (1875-?).

[6]ლ. ტალსტოი – ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი (1828-1910), გრაფი, გამოჩენილი რუსი მწერალი და მოაზროვნე, განმანათლებელი, პუბლიცისტი, რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. მისი ავტორიტეტული აზრი საფუძვლად დაედო ახალი რელიგიურ მიმდინარეობას ტოლსტოველობას.

[7]ხილკოვი – დიმიტრი ალექსანდრეს ძე ხილკოვი (1857-1914), რუსი პოლიტიკური მოღვაწე, ტოლსტოველი, რევოლუციონერი. დაიბადა თავად ალექსანდრე დიმიტრის ძე ხილკოვის (1834-1887) და თავადის ასულ იულია პეტრეს ასულ ჯუნკოვსკაიას (1837-1916) ოჯახში. დაამთავრა

პაჟთა კორპუსი, იყო ლეიბ-ჰუსართა პოლკის ოფიცერი. მონაწილეობდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. ომის შემდეგ მსახურობდა კავკასიაში, სადაც გაეცნო დუხობორებს. სამოქალაქო ქორწინებაში იმყოფებოდა თავისი კავკასიელი მეგობრის, პოლკოვნიკ ვლადიმერ ივანეს ძე ვინერის ქალიშვილთან, ასევე ტოლსტოველ ცეცილია ივანეს ასულ ვინერთან (1860-1922). მათი შვილები არ იყვნენ მონათლულნი, რის გამოც მაშინდელი კანონმდებლობის ძალით მათ ჩამოერთვათ მდგომარეობა და ტიტული. ამან დედამისის ი.პ. ჯუნკოვსკაია-ხილკოვას დიდი გულისწყრომა გამოიწვია.

[8]გიორგი დადიანის შვილებიდან ჩვენთვის ცნობილია ორი ვაჟი: ვლადიმერ გიორგის ძე დადიანი (1886-1939) და იაკობ გიორგის ძე დადიანი (1900-?).

[9]ჯუნკოვსკი – ნიკოლოზ თეოდორეს ძე ჯუნკოვსკი (?-1915), მსხვილი ჩინოვნიკი რუსეთის ფინანსთა სამინისტროში. 1905 წლიდან გადმოყვანილ იქნა თბილისში, კავკასიის მეფისნაცვლის სამმართველოში დაქორწინებული იყო ე. ვ. ვინერზე.

[10]მემუარისტი გულისხმობს მისი უფროსი დის ნინო ერისთავ-ქობულაშვილისას (1860–1935 წლის შემდეგ) სახლს. ქობულაშვილები ცხოვრობდნენ დღევანდელი გრიბოედოვის ქუჩის №22-ში, სადაც ამჟამად თბილისის სამხატვრო აკადემიაა განთავსებული.

[11]დადიანი – უნდა იგულისხმებოდეს გიორგი ალექსანდრეს ძე დადიანის (1855-1900) ვაჟი.

[12]რევაზ შალვას ძის ერისთავი – რევაზ შალვას ძე ერისთავი (1828-1899), ელისაბედ ელიზბარის ასულ ერისთავის ბიძა, დედის ძმა, ანასტასია ბატონიშვილის (1763-1838) და რევაზ გიორგის ძე ერისთავის (?-1813) შვილიშვილი, მათი ვაჟის შალვას (1798-1854) შვილი. ცნობილია, როგორც პოეტი და კოზლოვის „შეშლილის“ ქართულ ენაზე მთარგმნელი. მისმა დისკუსიამ ილია ჭავჭავაძესთან სათავე დაუდო „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლას.

[13]ნინო ესტატე ერისთავის ასული – ნინო ესტატეს ასული ერისთავი (1836-1871), რევაზ შალვას ძე ერისთავის (1828-1899) მეუღლე, ცნობილი მანანა ორბელიანის (1807-1870) ძმისწული.

[14]ტასო – ანასტასია რევაზის ასული ერისთავი (1863-1942), რევაზ ერისთავის უფროსი ქალიშვილი, ელისაბედ ერისთავის ბიძაშვილი დედის მხრიდან.

[15]ელენე – ელენე შალვას ასული ერისთავი (1830-1899), შალვა გიორგის ძე ერისთავისა (179 8-1849) და ეკატერინე ასლანის ასულ ორბელიანის (1802-1877) ასული, ელისაბედ ერისთავის დეიდა.

[16]ზაზა ყიფიანი – ზაზა (ზაალ) გლახას (გიორგის) ძე ყიფიანი (1827-1894), აზნაური, პორუჩიკი, გორის ციხის უფროსი (1878წ.), დიმიტრი ყიფიანის (1811-1887) ნათესავი. ცოლად ჰყავდა მარიამ სიმონის ასული თურქესტანიშვილი. ზაზა ყიფიანს იხსენებს სოფრომ მგალობლიშვილი კოტე ყიფიანისადმი მიძღვნილ მოგონებაში და მას კოტეს ბიძად ასახელებს (იხ. ს. მგალობლიშვილი. „კ. ყიფიანის 45 წ. არტისტული მოღვაწეობის გამო“ (მოგონებიდან ნაწყვეტი) კრებულში „საშვილიშვილო მოკავშირე–დიმიტრი ყიფიანი“. ტ. II. შემდგენელი თ. ჯოლოგუა. „ზეკარი“, თბილისი, 2002წ. გვ. 135).

[17]დორბეზი – დორმეზი (ფრანგ. დორმეუსე), დიდი სამგზავრო კარეტა, გზაში საძილედ მოწყობილი, გავრცელებული იყო ძველად.

[18]ორი უფროს[ი] ვაჟი – იგულისხმებიან რევაზ შალვას ძე ერისთავის (1828-1899) უფროსი ვაჟიშვილები. ალექსანდრე რევაზის ძე ერისთავი (1858-1906), პოლიციის როტმისტრი, და მიხეილ რევაზის ძე ერისთავი (1861-1924).

[19]ანასტასია ესტატეს ასული – ანა ესტატეს ასული ერისთავი (1844-1920), რევაზ შალვას ძე ერისთავის (1828-1899) ცოლისდა.

[20]ნიკო ამილახვარი – ივანე (ნიკო) გივის ძე ამილახვარი (1829-1905), თავადი, გენერალ-ლეიტენანტი.

[21]მიხაკო – მიხეილ (მიხაკო) გივის ძე ამილახვარი (1833-1883), თავადი, პრაპორშჩიკი, ანა ესტატეს ასულ ერისთავის (1844-1920) მეუღლე.

[22]ასლანის ასულის ასული ჯამბაკურორბელიანის – ეკატერინე ასლანის ასულ ორბელიანი (1802-1877), ელისაბედ ერისთავის ბებია დედის მხრიდან, ცნობილი თავადის ყაფლან ორბელიანის (1813-1878) და.

[23]ზაალ ყიფიანს ჰყავდა შვილები: ალექსანდრე, სიმონი, ნიკოლოზი, დარია (გათხოვილი იყო ისიდორე გიორგის ძე გაბაშვილზე), ანა (1861-1912), მიხეილი (ცოლად ჰყავდა გვერდწითელის ქალი), გიორგი, ბარბარე (გათხოვილი მაჭარაშვილზე).

[24]ლევან აბაშიძე – ლევან დიმიტრის ძე აბაშიძე (1848-1889) თავადი.

[25]მიტუშა აბაშიძე – დიმიტრი ლევანის ძე აბაშიძე (1879-1924), თავადი, რეპრესირებული, დახვრიტეს 1924 წელს.

[26]აბესალომ მაჩაბელი – აბესალომ (სოლომონ) დავითის ძე მაჩაბელი (1839-1898), პოეტი, პოდპორუჩიკის, პოეტის, საზოგადო მოღვაწის დავით ბარძიმის ძე მაჩაბლის (1814-1873) შვილი. 1873 წელს ცოლად შეირთო დარია გრიგოლის ასული ერისთავი (1855-1908).

[27]იგულისხმება დიმიტრი ლევანის ძე აბაშიძის (1879-1924) მეუღლე, მარიამ აბესალომის

ასული მაჩაბელი (1875-?). დაქვრივების შემდეგ გათხოვდა მამინაშვილზე.

[28]იგულისხმება ელენე (ელუსია) დიმიტრის ასული აბაშიძე (1898-1925).

[29]მამულაიშვილი – ილია ივლიანეს ძე მამულაიშვილი (?-1937), ელენე აბაშიძის მეუღლე, რეპრესირებული.

[30]იგულისხმება დიკ ილიას ძე მამულაიშვილი (1923-?).

[31]ანეტა აბაშიძისა – ანა (ანეტა) ზაალის (ზაზას) ასული ყიფიანი (1861-1912-ის მერე), ლევან დიმიტრის ძე აბაშიძის (1848-1889) მეუღლე. ელისაბედ ერისთავის ამ მოგონების მიხედვით ანა ყიფიანი-აბაშიძისა გარდაცვლილა 1940-იან წლებში.

[32]გიორგი კნიაზი – გიორგი იესეს ძე ერისთავი (1760-1863), შანშე (1765-1831) და თორნიკე (1779-1860) ერისთავების ძმა. ცნობილი გენერალი, „სენატორად“ წოდებული, რუსეთის ომების აქტიური მონაწილე, გამოირჩეოდა ორატორული ნიჭით. თავრიზის აღების შემდეგ მისცეს სენატორობა საქართველოში ცხოვრების უფლებით, ცოლად ჰყავდა გიორგი XII-ის ასული გაიანე. დასაფლავებულია იკორთაში.

[33]დიმიტრი აბაშიძის მეუღლე მარიამ მაჩაბელი გიორგი იესეს ძე ერისთავის შვილთაშვილია, მისი შვილის მარიამის (1818-1882) შვილიშვილი. მარიამ მაჩაბლის დედა დარია გრიგოლის ასული ერისთავი (1855-1908) მარიამ გიორგის ასულ ერისთავის ქალიშვილია.

[34]ივანე ფილოსოფოზი – ივანე (ნინია) ელიზბარის ძე ერისთავი (1781-1841), თავადი, გორისა და დუშეთის მაზრის მემამულე (გორის მაზრაში ეკუთვნოდა სოფელი მეჯვრისხევი). 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, ცნობილი იყო სახელებით „სწავლული“, „ფილოსოფოსი“. იყო მწიგნობარი, დაინტერესებული ფილოსოფიური ლიტერატურით. ცოლად ჰყავდა პოლკოვნიკ გიორგი ამილახვრის ქალი თინათინი (კონია) (1801-1873). დაკრძალულია იკორთაში. დიმიტრი აბაშიძის მეუღლე მარიამ მაჩაბელი ივანე ფილოსოფოსის შვილთაშვილია, მისი ვაჟის გრიგოლის შვილიშვილი.

[35]დიმიტრი აბაშიძის მეუღლე მარიამ მაჩაბელი ივანე ფილოსოფოსის შვილთაშვილია, მისი ვაჟის გრიგოლის (1821-1876) შვილიშვილი.

[36]ენიკოლოფოვი – ივანე კონსტანტინეს ძე ენაკოლოფოვი (ენიკოლოფაშვილი) (1888-1980), ისტორიკოსი, მწერალი (ძირითადად რუსულენოვანი), ლიტერატურათმცოდნე. თბილისის 1-ლი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტში, შემდეგ დაამთავრა ტვერის კავალერისტთა სასწავლებელი ოფიცრის ჩინით. 1913 წლამდე სამხედრო სამსახურშია. 1919 წლამდე მსახურობდა თბილისის გუბერნატორის სამმართველოს არქივში. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ ერთი წელი კვლავ სამხედრო სამსახურშია, 1922-1929 წლებში მსახურობს საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. 1927 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1954 წელს დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1929-1962 წლებში მუშაობდა მთაწმინდისა და დიდუბის პანთეონების დირექტორად. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1928 წლიდან. უმთავრესად იკვლევდა რუსულ-ქართულკ ულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობებს. ავტორია წიგნებისა: „პუშკინი საქართველოში“, „ცხოვრება გრიბოედოვისა“, „მთაწმინდის პანთეონი“, „А.С. Грибоедов в Грузии и Персии”, „Лев Николаевич Толстой в Грузии”, „Грибоедов в Грузии”...

[37]შეიძლება იგულისხმებოდეს შთამომავლები დარია გრიგოლის ძე ერისთავის ბიძაშვილის თამარ (თალალა) გიორგის ასულ ერისთავისა (1863-19201), რომელიც გათხოვილი იყო აზნაურ დავით მალაქიას ძე ნაცვლიშვილზე (1859-1914).

## „...არმაღანი დროების...“

გამოვიდა ჟურნალ „არმაღანის“ მეორე ნომერი. ვულოცავთ ჩვენს მეგობრებს ახალი ჟურნალის დაბადებას და ვუსურვებთ, რომ მართლაც არმაღანად ქცეულიყოს ქართველი მკითხველისათვის.

# ქართული გენის ბრწყინვალება

## (ლატავრა ფოჩიანი)

**ლატავრა ფოჩიანი და თენგიზ უთმელიძე**

„ქალთა კადრი დასში, თითოეული კენარი, ჯავარი, სინაზით ტვიფრული, მწყაზარი, მორცხვი, კდემილი, ნელი, წყნარი, ნარნარი, ქალწულური სრულიად მიმოხვრაში, როკვა-გოგმანი, გოგმანი-სრიალი, სრიალი-ცორვა, ცორვა-ცურვილი, გედის ცურვილი, ყველანი ერთად: გედები, თეთრი გედები, ხან ფრონტალურ გამწკრივულნი ჰაეროვნებით, ხან მარაოდ გაშლილნი, რომელიც არეს ცისარტყელად ეფინება (რა გოგონებია! დაილოცოს თქვენი დედული!)“.

ჩვენი სასიქადულო მწერლის გრიგოლ რობაქიძის ეს სტრიქონები მისი ცნობილი ესიედან „ქართული გენია როკვით განფენილი“, რომელიც მან 1961 წელს შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ლეგენდარული ქართული ხალხური ცეკვის აკადემიური ანსამბლის ტრიუმფალურ გამოსვლებს მიუძღვნა, დასტურ მიესადაგება ქართული ცეკვის კაშკაშა ვარსკვლავს, საქართველოს სახალხო არტისტს ლატავრა ფოჩიანს.

ლატავრა ფოჩიანის მრავალწლიანმა ნაყოფიერმა შემოქმედებამ და უბადლო საშემსრულებლო საცეკვაო ხელოვნებამ, წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის კულტურის ისტორიაში, განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების აღზევებასა და არნახულ მსოფლიო წარმატებაში. მაინც, რით არის გამორჩეული ლატავრა ფოჩიანის შემოქმედება?

ჩემთვის, უპირველესად, საგულისხმოა ის, რომ მისი ხელოვნება ღრმად ეროვნულია და თვითმყოფადია. იგი ერის წიაღიდანაა აღმოცენებული და ქართული სულიერებითა და სიდიადითაა გაჯერებული. ლატავრას მიერ უზადოდ შესრულებული ცეკვების თითოეულ მოძრაობაში აისახა ქართველი ქალის საუკეთესო თვისებები: კეთილშობილება და კდემამოსილება, სიმამაცე და შეუპოვრობა, ნარნარი სიკეკლუცე და ღვთაებრივი ჰაეროვნება. არავის ტოვებდა გულგრილს ლატავრა ფოჩიანის სცენაზე გამოჩენა, მისი ლაღი და თავისუფალი მოძრაობა მაყურებელს აოცებდა მშვენიერებით, ზომიერებით, სიდარბაისლით.

ფართო დიაპაზონის მოცეკვავემ ქართულ საცეკვაო ფოლკლორში მთლიანად წარმოაჩინა თავისი უნიკალური ტალანტი. მას ხელეწიფებოდა ნებისმიერი შინაარსისა და სირთულის ქართული ცეკვა. თანაბრად ძლიერი იყო ლირიკულ, სწრაფტემპიან და სახასიათო ცეკვებში. განუმეორებელია მისი ქრიალა დავლააღსავსე შინაგანი ტემპერამენტითა და შეზავებული ნატიფი, დახვეწილი პლასტიკით. ბრწყინავდა ცეცხლოვანი „მთიულურისა“ და კოლორიტული „მოხევურის“ შესრულებისას, ნიავივით მიჰქონდა წელი. იმავდროულად, ის იყო უშბასავით ამაყი და ძლიერი, როგორც „ლილეო“. უბადლოდ იხდენდა ქალაქურ ფოლკლორს. დაუვიწყარია მისი „დაირით ცეკვა“ და „მუხამბაზი“, შესრულებული ფრესკული სინატიფითა და სიკეკლუცით. ხოლო ხალხური შემოქმედების მწვერვალ ცეკვა „ქართულში“ გამოირჩეოდა გრაციოზული, მომხიბლავი სიმსუბუქითა და სიფაქიზით. ქალ-ვაჟის ამ პატარა, მაგრამ სულისშემძვრელ სატრფიალო პოემაში, ლატავრამ წარმოაჩინა ის მადლი და ცამდე ამაღლებული მშვენიერება, რაც ჩვენი ხალხის შემოქმედებით ფანტაზიას ჩაუქსოვია უმდიდრეს ქართულ ფოლკლორში.

სწორედ ბუნებით მომადლებული ეს თვისებები მიმაჩნია ლატავრა ფოჩიანის ხელოვნების საყოველთაო აღიარების საწინდრად.

ლატავრას პირველად თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში შევხვდი. იქ, ერთხანს ცნობილი ქორეოგრაფისა და პედაგოგის რომან

ჭოხონელიძის ანსამბლში ვცეკვავდით. შემდეგ იგი თბილისის ახალგაზრდულ ცეკვის ანსამბლში გამოდიოდა, რომლის ხელმძღვანელი გამოჩენილი ქორეოგრაფი გიორგი (ბუხუტი) დარახველიძე გახლდათ. იმ დროს, ამ პოპულარულ ანსამბლში თავმოყრილი იყო ინდივიდუალური ხელწერის მქონე უნიჭიერეს მოცეკვავეთა თაობა. ანსამბლმა არაერთ საერთაშორისო ფორუმზე გამოიჩინა თავი. ლატავრა ფოჩიანის პირველი დიდი აღიარება,როგორც მოცეკვავისა და ქართული ცეკვების შემსრულებლისა, მოხდა 1957 წელს, სტუდენტთა და ახალგაზრდობის მოსკოვის მე-6 მსოფლიო ფესტივალზე, სადაც იგი ამ ანსამბლთან ერთად ფესტივალის ლაურეატი და ოქროს მედლის მფლობელი გახდა. შემდეგ იყო მსოფლიო ფესტივალი ქალაქ ვენაში 1959 წელს. კვლავ ლაურეატის წოდება და ოქროს მედალი.

ლატავრა ფოჩიანისათვის განსაკუთრებით ნაყოფიერი და წარმატებული გამოდგა 1965-1982 წლები, როდესაც იგი ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში მოღვაწეობდა. სწორედ ამ სახელგანთქმულ ანსამბლში წარმოჩინდა მთელი მშვენიერებით ლატავრას ღვთით მომადლებული ნიჭი და მაღალი პროფესიონალიზმი. იგი თავდავიწყებით იყო ჩართულიშემოქმედებით პროცესში, ღრმად სწვდებოდა ეროვნული ქორეოგრაფიის უნიკალურობას, სიღრმესა და სილამაზეს. მისი შესანიშნავი სცენური გარეგნობა, დიდ საცეკვაო ოსტატობასთან ერთად, უზადო პლასტიკის მომაჯადოებელ სანახაობას ქმნიდა.

მსოფლიო საოპერო ხელოვნების ციტადელში – მილანის მრავლისმომსწრე თეატრ „ლა-სკალას“ სცენაზე, „სუხიშვილების“ ტრიუმფალური გამოსვლისას, ლატავრამ, თავის ბრწყინვალე პარტნიორ ფრიდონ სულაბერიძესთან ერთად, აღფრთოვანებული მაყურებლის ტაშის ქვეშ იცეკვა ჯადოსნური „ქართული“. ეს, მართლაც, დიდებული და დაუვიწყარი შესრულება იყო...

ქართული ცეკვის მშვენება, ცნობილი პოეტებისა და გამოჩენილი მხატვრების მუზაც იყო. ავსტრიის დედაქალაქში სწორედ ლატავრა ფოჩიანის ცეკვის ფურორმა დააწერინა პოეტ იოსებ ნონეშვილს მშვენიერი ლექსი – „ვენის ტყეში ქართველები ცეკვავენ“:

„მოგოგმანობს გოგნი-გოგნი, გოგონა,
მოაქვს მთელი საქართველოს ეშხი, და
გოგონას თვალთა ჭიაკოკონა,ლამის
ცეცხლად აბრიალდეს ტყეში...“

საქართველოს სახალხო მხატვარმა კორნელი სანაძემ ლატავრა ფოჩიანის რამდენიმე შთამბეჭდავი ფერწერული ტილო შექმნა: „ცისფერი ლატავრა“, „ლატავრა დაირით“, „ტრიპტიქი შოთა რუსთაველი“. აღსანიშნავია აგრეთვე ცნობილი მხატვრის ესმა ონიანის ტილო „ლატავრა“.

ვერც ქართულმა კინემატოგრაფმა აუარა გვერდი ცეკვის ფერიას. იგი გადაღებულია მხატვრულ და დოკუმენტურ კინოფილმებში: „შეხვედრა მთაში“, „ტრიუმფი ლა-სკალაში“, „საქართველო – ლეგენდები და სინამდვილე“,„ძველი თბილისის მელოდიები“, „კორნელი სანაძე“, „რუსთაველი-800“.

ბედნიერი ვარ, რომ წლების მანძილზე მომიწიალატავრა ფოჩიანთან ახლო ურთიერთობამ. კარგა ხანს ვცეკვავდით ერთად „სუხიშვილებში“ იმ დროს, როდესაც ეს ანსამბლი თავისი შემოქმედების ზენიტში იმყოფებოდა და ამ პერიოდს ნინო რამიშვილმა „ოქროს ხანა“ უწოდა. პარტნიორებიც ხშირად ვიყავით ჯერ ცეკვათა-ცეკვა „ქართულში“,შემდეგ კი 1966 წელს ანსამბლში დადგმულ ქორეოგრაფიულ კომპოზიციაში „ქაჯეთის ციხის აღება“, რომელიც შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა.

ილიკო სუხიშვილმა,ნინო რამიშვილმა და ანსამბლის მხატვარმა სოლიკო ვირსალაძემ ამ კომპოზიციის მთავარი გმირების შემსრულებლებად შეარჩიეს: ლატავრა – ნესტან-დარეჯანი, მე – ტარიელი, ავთანდილი – თენგიზ სუხიშვილი,თინათინი – ნინო კირვალიძე, ფრიდონი – ფრიდონ სულაბერიძე, ასმათი – მანანა აბაზაძე. ეს იყო ბრწყინვალე დადგმა, არაჩვეულებრივი სანახაობა, რომელიც შემდგომ მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ იხილა. უნდა ითქვას, რომ ანსამბლის მოცეკვავე-სოლისტებმა შექმნეს „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა დიდებული სახეები, რაც კომპოზიციის შემსრულებლებისაგან მოითხოვდა არა მარტო ცეკვას, არამედ დრამატული მსახიობის ოსტატობასაც. ლატავრა ფოჩიანის ნესტან-დარეჯანი კი, მართლაც , ბრწყინვალე იყო. ამ დადგმიდან, რომელშიც ლატავრას უშუალო პარტნიორი ვიყავი, ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ სცენას გავიხსენებ: როდესაც „ქაჯეთის ტყვეობიდან გათავისუფლებული“ ნესტან-დარეჯანი – ლატავრა, „გამარჯვებული რაინდების“ მხრებზე გადადებულ, ჰეროიკულ კიბედ წარმოსახულ მეომართა ფარებზე ამაყად გადმოაბიჯებდა, მის

შესახვედრად ხელებგაშლილი ვუმზერდი ამ საოცრებას, თვალწინ (არ ვაჭარბებ) ჩვენი სათაყვანებელი თამარ მეფე მესახებოდა...

ღირსეულად დაფასდა ლატავრა ფოჩიანის შემოქმედება. მას არაერთი სახოტბო წერილი თუ რეცენზია მიუძღვნეს ცნობილმა კრიტიკოსებმა, ჟურნალისტებმა და თაყვანისმცემლებმა, როგორც ჩვენთან, ასევე საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. 1982 წელს თბილისში ქართულმა საზოგადოებამ გრანდიოზული საღამო გაუმართა თავის კერპს და ღირსეულად გააცილა იგი დიდი სცენიდან.

გამოჩენილმა ქორეოგრაფმა იგორ მოისეევმა ლატავრა ფოჩიანის „ქართული“ რომ ნახა, იგი ზღაპრულ ფერიას შეადარა. „ფოჩიანის და სულაბერიძის მიერ შესრულებული „ქართული“,ამ ცეკვათა-ცეკვის კლასიკური ნიმუშია“ – აღნიშნა თავის დროზე ანსამბლ „ბერიოზკას“ ხელმძღვანელმა ნადეჟდა ნადეჟდინამ. ეს კი სოლიკო ვირსალაძის შეფასებაა: „მე არ მახსოვს ოდესმე მენახოს, რომ ქართველი ქალის სილამაზე ესოდენ ჰარმონიულად იყოს შერწყმული მის ფრესკულ სინატიფესა და სინარნარესთან“. და კიდევ ერთ მცირე და მეტად საგულისხმო გამონათქვამს მოვიტან ლატავრა ფოჩიანის შესახებ, რომლის ავტორია ქართული ცეკვის სწორუპოვარი დედოფალი ნინო რამიშვილი: „ლატავრა არის ფართო დიაპაზონის მოცეკვავე, ნამდვილი ხელოვანი,შემოქმედი,ფანატიკურად შეყვარებული თავის ხელოვნებაში. მისი განუმეორებელი სვლა-დავლა, სისწრაფე, შედეგია ლატავრას არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობისა. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ის დიდი ბუნებრივი ნიჭი, რომელიც მხოლოდ ერთეულთა ხვედრია... მისი პიროვნება სინთეზია სიმართლისა და პატიოსნების,სიყვარულისა და ლმობიერების, ზვიადობისა და ქალური ღირსების... ლატავრას სცენაზე გარდასახვა არ სჭირდება. იგი თვითონვე მიისწრაფვის გარდასახვის მაქსიმუმისკენ“.

ლატავრა ფოჩიანი ექიმის პროფესიასაც ფლობდა – დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. წარმატებით უთავსებდა ერთმანეთს მისთვის საყვარელ ორ დარგს – ხელოვნებასა და მედიცინას. ერთ-ერთ ინტერვიუში ამის შესახებ ლატავრა აღნიშნავდა: „უსაზღვროდ მიყვარს ორივე საქმე, რადგან მიმაჩნია,რომ ექიმის და მსახიობის პროფესია ერთმანეთს ჰგავს. ის, ვინც ამ ორ ხელოვნებას დაუკავშირებს თავის ცხოვრებას, ადამიანის სულიერ სიკეთესა და ბედნიერებას ემსახურება. ჩემი მოწოდება კი სწორედ ის იყო,რომ ადამიანებისათვის სიხარული მიმენიჭებინა“.

ლატავრა ფოჩიანი 2011 წლის გიორგობისთვეს გარდაიცვალა. დიდი შემოქმედებით გასხივოსნებული ქართული ცეკვის კაშკაშა ვარსკვლავი, გამოჩენილ მამულიშვილთა სამუდამო სავანემ – დიდუბის პანთეონის წმინდა მიწამ მიიბარა. ლატავრა ფოჩიანთან გამოთხოვების ჟამს დაიბადა ჩემი ეს პატარა ლექსი:

*„ლატავრას ქროლვა ჰაეროვანი,*
*როკვის გვირგვინი – ჩვენი „ქართული“*
*მადლით ცხებული ერის ხატება,*
*გასაოცარი და შემართული.*
*მშვენიერების შორს მოსაფენად,*
*დედოფლურ ეშხით ცეკვავს ლატავრა,*
*ქართული გენი, ქართული სული,*
*მსოფლიოს გზებზე კდემით ატარა“.*

დასასრულ, ისევ პოეზია უნდა მოვიშველიო, მით უმეტეს, ლატავრა ფოჩიანის ხელოვნება ჭეშმარიტად „როკვის პოეზიაა“.

დარწმუნებული ვარ, ჩვენს გამოჩენილ მწერალსა და დრამატურგს გიორგი ერისთავს, ლატავრას მადლით ცხებული როკვა რომ ეხილა, თავის ცნობილ ლექსს – „კნიაჟნა დარია ბეგთაბეგიშვილისადმი (ლეკურის თამაშობაზედ)“, მასაც უშურველად მიუძღვნიდა:

*„...ერთი შეხედვით, ვით ყარყატი*
*ყელმოღერებით,*
*მოსცურავს აგრე მშვენივრად*
*და ნარნარებით,*
*უყურეთ ფეხთა, თვალ ვერ სწრებით,*
*როგორა ხმარობს,*
*ჰაერთა ზვირთთა თვისის ფრთებით,*
*ვითა განაპობს?*
*ხედავთ მაგ ტანსა, გულწამტანსა,*
*ნორჩსა, მრხეველსა,*
*შეხედეთ თმათა, ხშირთა შავთა –*
*შვენობენ წელსა,*
*მკლავს მე ხელების, ზესთა ფრთების*
*უცხოდ ხმარება,*
*აგრე მოჰფრინავს, თითქოს მიწას*
*არ ეკარება!*
*ვიშ მაგ სახესა, სინაზესა, სულის სარკესა!*
*მაგ ნაზ ტუჩებზე ეგ ღიმილი ვინ დაგიწესა?..*
*მოდით მჭვრეტელნო, ტაშისმკვრელნო,*
*ვუთხრათ მადლობა“.*

**თენგიზ უთმელიძე,**
საქართველოს დამსახურებული არტისტი

ᲗᲔᲛᲣᲠ ᲩᲐᲚᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

# გულქანი - მამაის პირიმზე

***მოგონებებს თავს ვერ ვუყრი, ვაჟას გულქანზე ფიქრი ხომ ტკივილიანი მიახლებაა მწერლის დიდი შემოქმედებასთან***

და აი, ჩემს თვალწინ ცოცხლდება საოცარი ჩარგალი. ეზოში ზის წელში ღრმად მოხრილი, დაპატარავებული, კაფანდარა ქალი, წინდას ქსოვს, გვერდით ფანდური უყუდია. იქვე ხბორები დაკუნტრუშობენ; ქალი, თითქოს, ძილღვიძილშია, სხვა სიზმრებითაა ალდაკრული. წამით,აჩერებს ქსოვას, დასწვდება ფანდურს და იღვრება უცნაური, მისეული, ფშაური მელოდიები. მგონი, მამის ლექსებს ღიღინებს, ხმა უკრთის, ლანდებს უხმობს წარსულიდან, მთებს ელაპარაკება, მამას ეძახის...

მაგონდება ჩარგლის წვიმაგადავლილი შუადღე: ლამარა ჯაფარიძემ ვაჟას „არწივი“ უმღერა გულქანს, უნდა გენახათ, ისედაც პატარა ქალი უფრო დაპატარავდა, თითქოს მთების ცვარნამში გაიბნა, ვაჟას ყვავილების ცრემლებად იქცა. ვიც იცის, რას ფიქრობდა ამ დროს? იქნებ, დიდი მამის ხმა სწვდებოდა მის ყურთასმენას, თავი კალთაში ჩაერგო, მხრების ცახცახზე მიხვდებოდით, რომ ტიროდა. ვინ იცის,რა გაახსენდა, რომელი მოგონება ამოიწვერა მის საოცრად ცინცხალ გონებაში...

გულქან რაზიკაშვილთან ერთად – თემურ ჩალაბაშვილი და მისი შვილი ბეჟანი

ან კი, როგორ იტანდა მისი სუსტი მხრები ბუმბერაზი მამის შვილობას, ხშირად მავანთა თვალში,დიდი შემოქმედის შვილი სასაცილოდ ჩანს ხოლმე. ცოდვა გამხელილი სჯობს, ასეთ ყოფაში იყო გულქანიც. ერთი შეხედვით, იფიქრებდით, რომ არას დაგიდევდათ სხვის აზრებს, არ ამჟღავნებდა, მაგრამ, სინამდვილეში, იტანჯებოდა, იტანჯებოდა და როგორ...

სიტყვა აწონილი ჰქონდა, ანდა, რა გასაკვირი იყო დიდი ვაჟას ანასხლეტი სხივისგან. იცოდა, კარგად იცოდა, რას ნიშნავდა დიდი ვაჟას შვილობა:

გულქანი ძუნწად მოლაპარაკე ქალი იყო. აკი გითხარით. ხასიათის ადამიანი გახლდათ „საწყალი“, მამაის ალიკვალი ვარ, – იტყოდა.

ერთხელ, გამომიტყდა, როგორ ნანობდა, რომ მამაი ვერ დაიტირა. ვერ დაუსველა ცრემლებით ნაამაგარი მხრები. ისიც მოყვა, როგორ არ უშვებდნენ მამის ცხედართან, ქაშვეთის ეკლესიაში, მის დას მარიამს, რომელიც ახმეტიდან ცხენით ჩამოქარდა, თურმე. პოლიცია არ უჯერებდა, რომ ვაჟას ქალიშვილი იყო. ბოლოს, უმწეო ქალს აღმოხდენია: „ვაჟას ქალი ვარ, მიმიშვით, საკუთარი მამა მატირეთო“. ძმებზე – ლევანსა და ვახტანგზეც საუბრობდა ხანდახან, როგორც თავად იტყოდა, ნება-ნება.

დავიწყების ბურუსი ვერ დაბინდავს დღეებს, რომლებიც შენში ცოცხლობენ, ნიადაგ. იმ შემოდგომაზეც გულქანი,ზვიად გამსახურდიასთან ერთად, მოვინახულე.

იმხანად, ცოტა ავადობდა და ცოტაოდენი მოსანახულებელი ავუტანეთ. შამპანურის ბოთლები რომ დაინახა (ვიცოდი, რომ უყვარდა შამპანური. „შამპოს“ ეძახდა), თვალები ეშმაკურად მოჭუტა, გაიღიმა და თავისებურად იხუმრა: ამ შამპოებს ნება-ნება დავლევ, არას მიზამსო. თან თვალი ზვიადისკენ გააპარა, აინტერესებდა მისი რეაქცია.

საოცარი სანახაობა იყო – ორი დიდი მწერლის შვილი თითქმის უხმოდ, თვალებით ელაპარაკებოდა ერთმანეთს. მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ ეს დღე ბოლო შეხვედრის იქნებოდა! მერე გულქანი აღარ მინახავს... იმ დღეს სხვანაირი ცა იყო ჩარგალში. მომკვდარიყო ვაჟას პირიმზე, მამაის ხატი, ნაბოლარა შვილი, მამაის ობოლი გოგო.

ასაფლავებდნენ გულქანს. ბუნება ტიროდა. როდესაც სოფლის მღვდელმა წესის აგება დაიწყო, ფრინველთაც კი შეწყვიტეს გალობა. გულის მომაკვდინებელი იყო მოძღვრის ბოლო სიტყვები: „ქალო, გულქანო, მიდიხარ, მიდიხარ და მიუხვალ, დედას თამარს და მამას ვაჟა-ფშაველას“...

... ეს დღე უცნაური იყო ჩარგალში, ბუნება ტიროდა და მწუხარედ ბუბუნებდა ვაჟას საფლავი მთაწმინდაზე...

# განა სიყვარული მინდოდა?

ნაზი კილასონია გამორჩეულ პოეტთა რიცხვს განეკუთვნება. მისი ლირიკა, მაღალნიჭიერად შექმნილი პოეზიის ნიმუშები თავისთავადობით და მშვენიერებით გამოირჩევა. პოეტის სტრიქონები, რომ იტყვიან, გულისგულს პოულობს:

„რა შეიძლება იყიდოს კაცმა
თებერვლის პირზე?
– მხოლოდ იები.
თავი ანებეთ ყოველგვარ განცდას,
თავი ანებეთ ყველა ძიებებს,
რა შეიძლება იყიდოს კაცმა
თებერვლის პირზე?
– მხოლოდ იები“.

ასე ნათლად და ასე უბრალოდ მხოლოდ მას შეეძლო ეთქვა.

პოეტი ქალი მხოლოდ და მხოლოდ ლექსით, პოეზიის სახმილით იწვოდა და სულდგმულობდა, მისთვის, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედისთვის, უფრო მაღალი და ღვთაებრივი არარა არსებობდა. ქართულ მიწასავით განიცდიდა და სტკიოდა ყოველი სტრიქონი:

„არ დამეხსნები, არ დამეხსნები,
სად გავათეთროთ ღამე –
საქართველოში უყვართ ლექსები,
ან შენ გიცნობენ, ან მე...“

და, მართლაც, საქართველოში უყვარდათ ლექსები, უყვარდათ ქართლის ჭრელა-ჭრელა მინდვრებიდან დანახული პოეტური სამყარო.

ქართულ პოეზიაში იშვიათია პოეტი, რომელიც ასეთი საოცარი ხილვებით, მისეული მზის ათინათებით,ასეთი მაღალი სახიერი ხატებით იყო დაჯილდოებული. ნახეთ,რა ნაღდი და ელვარე სტრიქონებია:

„ხელები მაქვს ნათალები,
და თითები თლილი მე,
ფერხთ წავიძრე სანდალები, დილილმე,
ფრონის პირზე ვიყინები და
უბე მაქვს თბილი მე,
ბინდია და ბაყაყები ყიყინებენ,დილილმე,
ღობეები მირიდებენ, ზრდილად მივალ,
ზრდილი მე...
წავამტვრიე სიმინდები ჭყინტი,
ჭყინტი სიმინდები, დილილმე“...

– უფრო ლამაზად, უფრო ხატოვნად როგორ გაგვიცოცხლოს პოეტმა მშობლიური ქართლის შემოდგომით გადაქარვებული სანახები?

ნაზი კილასონიას პოეზია და პირადი ცხოვრება ტყუპისცალებივით გვანან ერთმანეთს. ცხოვრებაშიც არ გაუნებივრებია ბედს. ხშირად ედგა მოწყენილობის ჟამი. რაღა დასამალია და, მას თავისი გამართლება ჰქონდა. და თუ სინაღდეს არ დავკარგავთ, ალალად ვაღიაროთ: პოეტი ნაზი კილასონია – გაუხარელი და ძალზე ნაკლებად დაფასებული წავიდა ამ ქვეყნიდან. ჩვენ ღირსეულად ვერ მოვეფერეთ, ვერ მივუალერსეთ – სულ სხვა სიზმრებით გათანგულ პოეტს. აი, ერთ-ერთ ლექსში რას ამბობს თავად:

„და შენ გართმევდი მზესა და მაისს,
და ეს ამბავი ასე დამთავრდა,
რომ ერთხელ მაინც,რომ ერთხელ მაინც,
ვერ დავიჩოქე ვაჟას საფლავთან“.

ღვთის წყალობით,საფლავთან დაჩოქება ვიცით ქართველებმა,მაგრამ ეს მოწყალება უკან მიდევნებული ლამპარივით არის ხოლმე. რა თქმა უნდა, დასაფასებელ ადამიანთა სხვადასხვა სივრცეები არსებობს,

მაგრამ ერთიც ვიკითხოთ: მუხას რომ ვეფერებით, იამ რა დაგვიშავა?! ეს ისე, სხვათა შორის, თორემ ისეთი მშვენიერი და ამაღლებული პოეზია, რომელიც ნაზი კილასონიამ დაგვიტოვა, თავად იპოვის დამფასებელს:

„წავალ, დავეცემი მინდორთან,
დაღლილი ლექსით და წვითა,
მე განა სიყვარული მინდოდა?
– სხვა რაღაც უფრო წმინდა“...

ნაზი კილასონიას შემოქმედებას შესწავლა და სრულად გამოცემა უნდა. მარტო მეუღლის შთაგონებით დაწერილი ლექსების ციკლი „წარმართული მელოდიები“ რად ღირს.

ჩვენგან ნაადრევად წასული პოეტი ქალი 20 ოქტომბერს გახლდათ დაბადებული. ამიტომაცაა მისი ლექსები შემოდგომასავით მადლიანი და ზედმეტად ნაღვლიანიც.

# „ამღერებული ლექსები“

ქეთევან გაბრუაშვილი
და ანი სპარსიაშვილი

საქართველოს ქალთა საბჭომ და გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმმა დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქველმოქმედო გამოფენა გამართა: „ამღერებული ლექსები, პოეზია, მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“.

მონაწილეობდნენ: ეთნიკური უმცირესობების ქალთა საბჭოსთან მოქმედი 6 კომიტეტი: ოსები, ლიტველები, აზერბაიჯანელები, ბულგარელები, სომხები, უკრაინელები. ასევე – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მათი ოჯახის წევრები და არასრულწლოვანი, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული 13 წლის გოგონა ფერწერაში თეკლა მელაძე, რომელმაც პრიზი დაიმსახურა.

პრიზიორი ოჯახი გახდა – ბატონი სვენ ვოგე (ნორვეგია), ვინც მეორე სამშობლოდ საქართველო აირჩია და პოეტი და მხატვარი თამარ ლომიძე, რომელმაც მეუღლეს საქართველო ისე შეაყვარა, რომ ქართულად აამღერა. ეს ოჯახი ქალთა საბჭოს ყველა ღონისძიების აქტიური მონაწილეა შვილთან – პატარა ლუკასთან ერთად, რომელიც მამას ტოლს არ უდებს სიმღერაში.

ლექსი წაიკითხა პოეტმა ტარიელ ხარხელაურმა. გამოფენის პრიზიორმა მარიამ კოლხიდაშვილმა შეასრულა საავტორო სიმღერა. მომღერალს ექვსი ვაჟიშვილი ჰყავს.

სიტყვით გამოვიდა ქალთა საბჭოს აქტიური ქველმოქმედი წევრი, საქველმოქმედო გამოფენის პრიზიორი, პოეტი მანანა დანგაძე.

„ამღერებული ლექსების“ წამყვანი იყო ქალთა საბჭოს აქტიური წევრი და მცხეთა-თიანეთის რეგიონალური ქალთა საბჭოს თავმჯდომარე მარინა ხარხელაური.

ყველა საღამოს მსგავსად, სამადლობელი სიტყვები დაიმსახურა ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ქეთევან გაბრუაშვილმა, ვისი ინიციატივითა და ორგანიზებით კიდევ ერთი მშვენიერი შეხვედრის მომსწრენი გავხდით. იგი „ქალთა საბჭოში“ ნაყოფიერი მოღვაწეობით, ბევრი ჭეშმარიტად ეროვნული საქმის თაოსანია, – დაუვიწყარია ქართველი ხელოვანების წარმოჩენის, ეთნოსების დაახლოების, ემიგრანტთა პრობლემის წამოწევის, ქველმოქმედების, წასულთა ხსოვნის პატივის მიგებისა და ცოცხალთა დაფასების ნიშნით აღბეჭდილი უამრავი დღე!

გამორჩეული იყო ქალთა საბჭოს შეხვედრა – „მადლიერების დღე“. უბედნიერესი ბრძანდებოდა „ქალთა საბჭოს” სახელობითი ღვინით, ტიტებით და ნარცისებით ხელდამშვენებული ყველა ქალბატონი.

ნინო ჩხიკვიშვილი

# ყველა ჩემი პერსონაჟი, ეს მე ვარ...

*ერლომ ახვლედიანთან ყოველი შეხვედრა და მასთან გულწრფელი საუბარი საკუთარ თავთან დაბრუნების საუკეთესო გზაა...*

*არადა, ლიტერატურაზე ვსაუბრობთ, ვახსენებთ მის ერთ-ერთ საუკეთესო მეგობარს გურამ რჩეულიშვილს, ვბაასობთ ნება-ნება ყველაფერზე და არაფერზე და ამ დიალოგში ბატონი ერლომი ისე უბრალოდ, ისე შეუმჩნევლად აღმოგაჩენინებს საკუთარ პიროვნებას, ვერც კი მიხვდები, როგორ და რანაირად.*

ნინო ჩხიკვიშვილი და ერლომ ახვლედიანი.2004 წლის ივლისი. ნათელა გრიგალაშვილის ფოტო.

**— ბატონო ერლომ, ჩვენი ბოლო შეხვედრისას, თქვენ ხუმრობით, სხვათა შორის თქვით — ჩემი ლიტერატურა ხვრელში ჩაძრომას აპირებდა, კუდში წავავლე ხელი, მაგრამ ამოვწევ თუ არა, აი, ეგ კი საკითხავიაო...**

— ჰო, ასეა, მაგრამ ახლა იმის მეშინია, ხელთ მხოლოდ გველის პერანგი არ შემრჩეს. გულწრფელად გეტყვით, დღემდე არ ვიცი, გამოვა თუ არა რაიმე ჩემი ლიტერატურიდან. ახლა ჩემი ამოცანა სულ სხვაა — მინდა, მთლიანობაში გავიაზრო ის ყველაფერი, რაც დღემდე გამიკეთებია ლიტერატურაში, ანუ რა იყო ჩემი ცხოვრება, რას წარმოადგენდა და რისი გამოტანა მოვახერხე ამ კოშმარიდან. აი, ეს არის მთავარი, თორემ, რაღა დროს ჩემი ლიტერატურული ცდები. მინდა, რაღაც გარკვეული, რამდენადაც მოვახერხებ, დასრულებული სახე მივცე ჩემს ჩანაწერებს და მერე გავუშვა პეპელასავით.

**— ანუ აღარასდროს მიუბრუნდეთ?**

— ჰო, ჰო, აი, ეს არის მთავარი.

**— ასე რომ, ბატონო ერლომ, მგონი, თქვენი ერთ-ერთი რეცენზენტი მართალი იყო, როცა თქვენს შესახებ დაწერა — ერლომ ახვლედიანმა ლიტერატურას ცხოვრება ამჯობინა და, ამიტომაც, მოიგო ლიტერატურაშიო.**

— ლიტერატურაში მოვიგე თუ არა რაიმე, ამას, ჯერჯერობით, ნამდვილად ვერ ვხედავ, მაგრამ ის კი ვიცი, ერთადერთი, რაც ნამდვილად მინდა და მსიამოვნებს, ჩემი ხელნაწერების კითხვაა. იმიტომ, რომ ამ ხელნაწერებში, თავის დროზე, ჩადებული იყო გარკვეული პოტენციალი, შესაძლებლობა იმისა, რომ რაღაც გამეკეთებინა. ისე, სიმართლე რომ გითხრა, არასდროს მიმაჩნდა მწერლობა ჩემს მთავარ საქმედ.

**— ანუ საკუთარ თავზე არასდროს გიზრუნიათ?**

— რა არის იცი, მოცემულ მომენტში რომელიმე ყოფითი პრობლემის მოგვარება ბევრად მთავარი იყო ჩემთვის, ვიდრე მწერლობა. არასდროს მქონია საშუალება, ხანგრძლივად მემუშავა. არ მახსოვს, ოდესმე დავმჯდარიყავი და ერთ თვეში დამემთავრებინოს, ვთქვათ, მოთხრობა, ან პიესა. და ეს იცი, რატომ?.. იმიტომ, რომ ერთიან განწყობას ხანგრძლივად ვერასდროს ვინარჩუნებდი. თანაც, მე ხომ ენა კარგად არ ვიცი.

**— თქვენ ქართული არ იცით?..**

— ეგ შენი ნებაა, მაგრამ ეს ნამდვილად ასეა.

**— მაშინ ასე ვთქვათ, ამ „უცოდინრობამ“ ხომ არ განაპირობა თქვენი წერის მანერა, სტილი, ინტონაცია...**

— რა თქმა უნდა!

**— მაგრამ ამ სისადავეს ხომ აქვს თავისი**

**სირთულე?**

— თუმცა,მაინც არ შეიძლება გამუდმებით ასე წერა.

**— თუკი მკითხველს არ ბეზრდება და მოსწონს?**

— დამიჯერე, ცალ-ცალკე ჩემი იგავები არაფერიც არ არის, ისინი მხოლოდ ერთად, მთლიანობაში შეიძლება აღიქვა, თორემ, სხვანაირად არც ერთი არაფერს წარმოადგენს. უკვე ვთქვი, ამ მოცემულ მომენტში, ჩემთვის მთავარი და გარკვეული დასასრულის განცდაა, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მოვკვდე.

**— ?!**

— არა, ეს არ არის სიკვდილის შიში. ეს იმედია იმისა, რომ რაღაც დამთავრდება;



დასრულდება თუნდაც ჩემი ლიტერატურა, მაგრამ, თუკი მომცემს ღმერთი ცხოვრებისა და წერის გაგრძელების საშუალებას, გავაკეთებ იმას, რაც ხელთ მომხვდება.

**— ახლა „1001 ცხოვრებაზე“ მუშაობთ...**

— აქ ყველაფერი რუბრიკებად იქნება დაყოფილი. ვთქვათ, ბავშვობა... რომელი მთავარი თემაც გამომყვა ბავშვობიდან მოხუცებულობაში, აი, ამაზე მინდა დავწერო.

**— თქვენ ერთხელ ბრძანეთ, ჩემი პერსონაჟები ლამის გაცოცხლდნენ და რეალობაში გადმოვიდნენო.**

— მართალია, როგორი პერსონაჟებიც აღვწერე, შემდეგ, ზუსტად ისეთივენი შემხვდნენ, ჩემი ცხოვრების გზაზე. თუნდაც, ბაქარის მობრძანება ჩემს სახლში, მას ისეთივე ხასიათი აქვს, როგორც ჩემს ერთ პერსონაჟს — შვილიშვილს „ბაბუა და შვილიშვილში“, ისეთივე თაღლითი და ცუღლუტია...

**— და ამავე დროს ისეთივე ძვირფასი...**

— ჰო, ჰო, აი, ეს არის. აი, ასეთი კონკრეტული რაღაცეები აერთიანებს ჩემს ცხოვრებასა და ლიტერატურას. მხოლოდ ის რად ღირს, მათეს ეზოს აღვწერდი, რომ იქ ერთი ალვის ხე იდგა-მეთქი და... ერთ მშვენიერ დღეს ჩემს ეზოშიც ალვის ხე ამოვიდა.

**— თეთრი ლეკვის ამბავი?!**

— ჩემი ბიძაშვილი გარდაიცვალა, მასზე ერთი ისტორია დავწერე — „თეთრი ლეკვი“ და ცოტა ხნის შემდეგ, იმ ოჯახს თეთრი ლეკვი აჩუქეს; შავ-თეთრ კატაზე დავწერე რაღაც და, ამას წინათ, შავ-თეთრი კატა შემოგვეხიზნა.

**— რას ნიშნავს ეს ყოველივე, როგორ ფიქრობთ?**

— მე მაინც მგონია, რომ ეს უცნაური დამთხვევები იყო გარკვეული კურთხევა იმისა, რომ მეწერა.

**— ანუ ის, რაც ფილმში — „ფიროსმანი“ ასე გამოხატეთ, ნიკალა რომ ამბობს, წმინდა გიორგი თავზე მათრახით მედგა, დახატე, ნიკალა, დახატეო!**

— დაახლოებით ასეა, მაგრამ ჩემთან ამ ყველაფერს მეტი იუმორი ახლავს.

**— ვინ არიან თქვენი პერსონაჟები, ბატონო ერლომ?**

— ყველა ჩემი პერსონაჟი, ჩემშივე აღმოვაჩინე და აღარ ვიცი, მათგან რომელი ამოვირჩიო... იაკობ მოციქულს აქვს შესანიშნავად ნათქვამი: თუ ვინმე ისმენს ღვთის სიტყვას და არ ასრულებს, ჰგავს ადამიანს, რომელიც თავის ბუნებრივ სახეს სარკეში ათვალიერებს, დაინახავს, წავა და მყისვე დაავიწყდება, როგორია იგი. ალბათ, მეც იმ ადამიანს ვგავარ... და აბა, რომელი სახე ამოვირჩიო?.. თუმცა, დაცემა და ამაღლება ხომ ყველა ადამიანშია. თუ გახსოვს, გურამ რჩეულიშვილისადმი მიწერილ წერილში ვამბობ, როცა შევიგრძენი საკუთარი ცოდვები, მაშინ შემძულდა ჩემი თავი, მაგრამ, ამავე დროს, შემიყვარდა კიდეც-მეთქი, გესმის?.. ანუ სწორედ მაშინ დამებადა სურვილი იმისა, რომ ისევ ვიცხოვრო, ისევ ვიბრძოლო, ისევ მიყვარდეს და ასე...

**— თქვენ თქვით, პიესის დაწერა მქონდა გადაწყვეტილიო.**

— პიესისთვის ასე უნდა დამერქმია — „ერთ-ერთი ჩვენგანი“.

**— რაზე იყო?**

— ქუჩიდან აყვანილი ათ კაცს შეყრიან ერთ შენობაში, ვერ გაურჩევიათ, ციხეა თუ კლინიკა, არც დამხვდურები ეუბნებიან თავიდან არაფერს; მოკლედ, ამ ათი კაციდან არც ერთმა არ იცის, რატომ დაიჭირეს, ამიტომ, თითოეული საკუთარ ცოდვებზე იწყებს ფიქრს, დაჭერის მიზეზი რომ გამოარკვიოს და... ბოლოს, ამ კლინიკის (დავარქვათ, პირობითად კლინიკა) წარმომადგენელი უცხადებს: ერთ-ერთი თქვენგანი მკვდარიაო!

ასეთი განაცხადი ყველას გააოცებს, ზოგი იცინის, ზოგი მღერის, ზოგი ცეკვავს, მოკლედ, ყველაფერს აკეთებენ იმის დასამტკიცებლად, რომ ცოცხალნი არიან და ბოლოს ირკვევა, რომ იმ ადამიანის გარდა, რომელიც უკვე მოკვდა, სულიერად ცოცხალი არავინ ყოფილა.

**– დასანანია, ეს პიესა რომ არ შეიქმნეს.**

– არ ვიცი, ვნახოთ, თუ მოვახერხე...

**– ბატონო ერლომ, როგორი მკითხველი ხართ?**

– ძალიან ცუდი.

**– რატომ?**

– იმიტომ, რომ მენანება დრო კითხვისთვისაც და წერისთვისაც.

**– რისთვის არ გენანებათ დრო?**

– ვთქვათ, საქმეების მოსაგვარებლად... საერთოდ, არ მიყვარს როცა ყურადღებას მაქცევენ! არც არასდროს მდომებია სახელი, პოპულარობა, არც არაფერი, მით უფრო ახლა.

**– მიუხედავად ამისა, სახელი და აღიარება მაინც გხვდათ წილად.**

– მერე რა, ამ ყველაფერს ჩემთვის მხოლოდ ჩალის გემო აქვს. მე ხომ ვიცი, ვინცა ვარ... საღამოს, როცა ყველანი შინ ვართ, აი, ის მირჩევნია ნებისმიერ სახელსა და დიდებას; მეგობრებთან გატარებული ერთი საღამო მირჩევნია ყველაფერს.

**– როგორ უნდა ვიცხოვროთ ამ დროში?**

– არ ვიცი, ჩვენ ყველანი ღვთის შვილები ვართ და როცა ვიბადებით, თავიდან ვიწყებთ სამყაროს შემეცნებას. ალბათ, აი, ამის განცდა არ უნდა დავკარგოთ...

2004 წ.

*ნინო ჩხიკვიშვილის წიგნიდან*
*„ორი მაესტრო“*

## „შეხვედრა ლორდ ბაირონთან“

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ინესა მერაბიშვილის წიგნი „შეხვედრა ლორდ ბაირონთან“ (Encounter with Lord Byron) გამოიცემა. წიგნი, რომელშიც გაერთიანდება ბაირონის ლექსების ქართულენოვანი თარგმანები და სამეცნიერო კვლევა ბაირონის შესახებ, 23-28 ივნისს, საქართველოში ბაირონის საერთაშორისო ფორუმის ფარგლებში გამოიცემა და ფორუმის 15-მდე სხვადასხვა ქვეყნის უცხოელ მონაწილეებს სასაჩუქრედ გადაეცემათ.



ინგლისელი პოეტი ჯორჯ ნოელ გორდონ ბაირონი გაღარიბებულ, დიდგვაროვან არისტოკრატთა ოჯახში დაიბადა. ბაირონის დიდი პოპულარობა „ჩაილ ჰაროლდის“ გამოქვეყნებით დაიწყო. თავისი ყოვლისმომცველი მელანქოლიური განწყობილებით ე. წ. მსოფლიო სევდის გამომხატველი პოეტი გახდა. ბაირონის შემოქმედებით ევოლუციაში მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია დაუმთავრებელი რომანი ლექსად „დონ ჟუანი“ (დაიწყო 1818), რომელშიც ასახულია ინდივიდუალისტი პიროვნების ამბოხება მსოფლიო სოციალური სისტემის წინააღმდეგ, მისი პესიმისტური მსოფლაღქმა.

ბაირონის თარგმნა საქართველოში XIX საუკუნიდან დაიწყო, მის პირველ ქართველ მთარგმნელთა შორის იყვნენ: ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. პროექტი ხორციელდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს „ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში. პროექტს ინიციატორია საქართველოს ბაირონის საზოგადოება და შპს „პოლიგრაფი“.

კონსტანტინე ტაბაღელი

# ქართული ტიპი

*გაგრძელება*

ჩვენში დღესაც არიან მეჭორე და ფლიდი ოჯახები, ფარისეველი და ცუღლუტი, შურიანი და მოკრივე ტიპები: ყოველ საზოგადო დაწესებულებაში ისინი შედიან განსაკუთრებული მიზნით – პირუტყვულ სურვილებით: მათი იდეალია წაგლეჯა, წართმევა, სკანდალი, უწესობა, ყავახანური ღრიალი, ყველაფერი სერიოზულის და პატიოსანის გამასხარავება.

საშინელია ფსიქოლოგიური სინამდვილე ჩვენი არსებობისა და მეობის,მაგრამ შეიძლება ეს საშინელება მხოლოდ ინტელიგენციის დეგენერაციით ამოიწურება, შეიძლება მხოლოდ ქართველი ინტელიგენციაა აგრე დაცემული და ქართველი ხალხი შეიძლება დღესაც ატარებს მაღალსა და კეთილშობილ მორალურ-ინტელექტუალურ ღირებულებებს? ჩვენი ხალხის ლეგენდებსა და სიმბოლურ-ფილოსოფიურ თქმულებებში შეიძლება სხვა მორალი და სხვა სულია, სხვა განცდა და სხვა იდეაა?

მაგრამ განა ხალხი ისტორიაში არსებობს როგორც ცალკე კატეგორია? განა ხალხის, ერის ისტორია ბოლოს და ბოლოს ინტელიგენციის ისტორია არ არის? განასაბერძნეთის,რომის,საფრანგეთის და სხვა ქვეყნების ისტორია იგივე ამ ქვეყნების ინტელიგენციის თავგადასავალი არ არის? განა ძველი პატრიარქები, ტირანები და ცეზარები, განა საშუალო საუკუნეების ფეოდალები და ვასალები, დროისა და პირობების გამომსახველი ინტელიგენტები არ იყვნენ? ინტელიგენცია, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით,ღრმად ისტორიული ცნებაა და არ არსებობს ერის ისტორია, გარეშე ერის ინტელიგენციისა, ერი მოკლებული ინტელიგენციას,მხოლოდ ხალხია, მხოლოდ ანთროპოლოგიურ-ფიზიოლოგიური ოდენობაა:ერის განცდებსა და იდეალებს, გრძნობებსა და ზრახვებს მეტყველებს ინტელიგენცია და არ არსებობს კულტურა და ისტორია გარეშე ინტელიგენციისა.

ინტელიგენცია გამოსახულებაა ერის სულის და მორალის; ინტელიგენცია ორგანული ამოძახილია ერის შემოქმედებითი განცდისა; ინტელიგენციის სული იგივე ერის სულია და თუ ერი დეგენერაციის გზაზე დგას, ინტელიგენცია საუკეთესო გამომხატველია ერის დეგენერატული სულისა და მორალის.

ჩვენი ისტორიული ფსიქოლოგია საშუალო საუკუნეებში როგორიც იყო, ისეთივეა დაახლოებით შემდეგ საუკუნეებშიც: ჩანს, ტრადიციის ნაშთი ისტორიულ-სოციალური რევოლუციის საფეხურებზე რჩება როგორც ბიოლოგიური ფაქტი ორგანული მეხსიერების და რაც განმტკიცებულია, დამკვიდრებულა ისტორიულ ხვეულებში, რაც სულსა და სხეულს ოდესმე წარსულში შეუთვისებია, ის,სამწუხაროდ,ამ შემთხვევაში,გადმოსულა მემკვიდრეობით, საშვილიშვილოდ ჩვენზე.

ქართველი ერის რასული ვინაობა საბოლოოდ გამორკვეული არ არის,მაგრამ ჩვენს ანთროპოლოგიურ-ფსიქოლოგიურ მეობაში ერთი რამ უდავოა – ქართულ სხეულში არის ელემენტები უცხოელების; ქართულ ძარღვებში მოძრაობს სისხლი ჩქარი, რყევადი, თითქმის ყველა აღმოსავლური რასის და ტომის: გადმოდიოდნენ რა

აღმოსავლეთიდან საქართველოს მიწა-წყალზე აზიელები, ტოვებდნენ როგორც თავიანთ ზნე-ჩვეულებებსა და სტილს, აგრეთვე ფიზიოლოგიურ ელემენტებს, უჯრედებს და სისხლს; ქართველი ქალი ირთავდა ხან ონგოლს, ხან ირანელს, ხან თათარს, ხან ისრაელს და ქართული ტიპი საუკუნეთა განმავლობაში იცვლებოდა.

სისხლი შემდგარი სხვადასხვა ელემენტებიდან ქიმიური დაშლისა და ფსიქიური ასხივოსნების დროს იძლეოდა ქაოტურ სახეს და ნებისყოფა ირყეოდა: გარკვეულობა, სისტემა, ჩვენს კულტურულ განცდასა და შემოქმედებას არ ეტყობა; ქართველს დღესაც არ უყვარს სისტემატიური და გარკვეული გზა არც ლიტერატურაში, არც მეცნიერებაში: ქართველი თავის ფსიქიკას ახრჩობს ფიზიოლოგიაში და ქართველის პათოსი ყოველთვის უფრო ფიზიოლოგიურ სფეროში ხდება, ვიდრე ფსიქიურში. ქართველი თავის ბუნებით მერყევი და უპრინციპოა. ძიება,განყენებისადმი ტრფიალება, ფილოსოფიური ჭვრეტა და პრინციპისათვის ბრძოლა, ქართველს არ უყვარს; ქართული სული ისტერიული და პათეტიურია, არასისტემატური.

რასკოლნიკოვი დოსტოევსკის რომანში ლაპარაკობს: მე კაცი არ მომიკლავს, მე პრინციპი მოვკალიო, და განიცდის ღრმა ჰამლეტურ პრობლემის ტრაგედიას,– იწვის, იტანჯება, რადგან ვერ შეათანხმა თავის ლოგიკურ განზოგადებაში პრინციპი და თვითარსებობის ფიზიოლოგიურ-ნერვიული მოთხოვნილება.

ასეთ ტრაგედიას ქართველი ინტელიგენტი არ იცნობს, არ განიცდის.

გრიგოლ ორბელიანი დიდი პოეტი იყო, თანაც მორალისტი და საზოგადო მოღვაწე; პატრიოტიზმსა და დემოკრატიზმს ხშირად ეტრფოდა, მხოლოდ ყოველთვის ამ ტრფიალებაში, ხშირად უაღრესად რომანტიული, მცონარეულ ფიზიოლოგიას დაუმატებდა ხოლმე: სამშობლოს სიყვარულთან, წმინდა ორგანულ-ეროტიულ ნოსტალგიასთან, მას აგონდება აზარფეშა, სავსე მობუყბუყე ღვინით და ჯეირანის მწვადის შიშინი.

მუშას ელაპარაკება: წადი, მე და შენ საიქიოში გავთანასწორდებითო, აქ კი ეგრე ვიყოთ, როგორც ვართო, ე. ი. შენ მშიერი, მე – მაძღარიო.

გრიგოლ ორბელიანს ასი ძაღლი ჰყავდა თავის ეზოში და რამდენიმე ბაზიერი, ძაღლებს აჭმევდა, ინახავდა, ამავე დროს, თითო მეძაღლეს ოცდაათ მანეთს აძლევდა თვეში ჯამაგირს. ნიკოლოზ ბარათაშვილი – დისწული გრიგოლ ორბელიანის, შიმშილით კვდებოდა, საშინელ სიღარიბეში იყო, ხშირად სწერდა ხოლმე თავის „ძიას", გრიგოლს, თავის უფულობასა და გაჭირვებაზე, მაგრამ არასოდეს გრიგოლ ორბელიანი არ შეწუხებულა, სულიერად არ დატანჯულა; ასობით ძაღლებსა და ბაზიერებს ინახავდა თავისი პირადი სიამოვნებისათვის, პრინციპი, მოვალეობის იდეა, თუნდაც იმისთანა დიდბუნებოვანი ადამიანის წინაშე, როგორიც ნ. ბარათაშვილი იყო, გრ. ორბელიანს არ აწუხებდა. რა თქმა უნდა, აქ პერსონალიზმი ჩანს – ალტრუიზმი, მოვალეობის იდეა, ადამიანობა, აქ არ არის; აქ არის მხოლოდ ფიზიოლოგია და არა მორალი.

(დასასრული მომდევნო ნომერში)

მასალა მოამზადა სოფიო ჯაფარიძემ

# რევაზ გაბაშვილი – 130

## „...წაიკითხო და მეგობარივით იცოდე...“

*გაგრძელება*

21/XII. ამ დროს დოდო უკვე 24 წლისა იყო; მაგრამ, სახითა და გულით თუ 18 წლის უმანკოსა ჰგავდა, მანეკენობით გალამაზებულსა; ტანით სულ მომწიფებულიყო და ღვთის ნაძერწ ქანდაკებას დაემსგავსა, შოლტივით მოქნილს; ცოცხალს, მკერდი – სალოცავ გუმბათებს, კანჭები – სურაიებს, მთლად – სურათს; ხასიათით, – ჯერ ბავშვობიდან გამოუსვლელს. ჰო და, აქ მოხდა მეორე ამბავი. ქართველ ქალებში მე მუდამ ერთგვარ „პროპაგანდას“ ვეწეოდი: „გათხოვდით, შვილები იყოლიეთ, მიწას ტყუილად ნუ ამძიმებთ“-

მეთქი; და დოდომ ერთხელ საიდუმლოდ გამაცნო <<ვთხოვდები.. ლულუ კერესელიძეზე[1]. „წინადადება“ გამიკეთა და სიტყვა მივეცი>>-ო. სიმართლე და სიტყვის არგატეხვა მისთვის მისი ურყევი პრინციპი იყო... ჩემგანაც მუდამ ჩაგონებული ხომა, და, გული გამისკდა. „როგორ, ყოველთვის გაიძახოდი უსიყვარულოდ ვერ გავთხოვდები“-ო და ეხლა რა მოხდა?“ „სიტყვა მივეცი“-ო*). „ქალისაგან კაცისათვის სიტყვის მიცემა არაფერს ავალდებულებს“-მეთქი, თუ არ გიყვარს“... და ერთი კვირაც არ გასულა, თურმე ლულუს გამოუცხადა: „არ მიყვარხართ, მაგრამ, რაკი სიტყვა მოგეცით, თუ გინდათ, – მოგთხოვდებით“-ო. ნაწყენი ლულუ... ლეგიონში გაიქცა, რამაც დოდო ძალიან შეაწუხა, „ჩემი ბრალით კაცი იღუპება“-ო; და, რაკი საერთოდ რომანტიკულად იყო განწყობილი, შემეშინდა, მეორე სისულელე ჩავიდინე, ავჩქარდი და წერილი მივწერე.

———————

*) „სიტყვის მიცემა“, – მისთვის ურყევი რამ იყო ყოველთვის,
რადგან სიტყვისა და სინამდვილის, რეალე-ობის შორის განსხვავება
ვერცკი წარმოედგინა... ჩემ ანგელოზს და მეც ხომ ასე
ვასწავლიდი: „სიტყვას თუ ნამდვილი შინაარსიც არ ახლავს,
– მტკნარი სიცრუე არის“-მეთქი. და რამდენჯერ უთქვამს:
„თქვენთვის თავს მოვიკლავ, წყალში გადავარდები, ყველაფერს
ვიზამ და დაგიჯერებთო...

———————

ვუამბე ჩემი თავგადასავალი, ამბავი, მდგომარეობა და ნამდვილი გრძნობები. შეხვედრისას, გადავეცი. თითქმის ყოველ დღე ჩვენთან მყოფი, მთელ ორ კვირას აღარ გამოჩნდა, და, როცა ბოლოს მაინც მოვიდა, გაფითრებულაღელვებულმა, ლიზასთვის (და ვიღაც სტუმრის) დემონსტრატიულად დასანახავად, – დიდი პაკეტი გადმომცა, და, მგონი, მაშინვე წავიდა... ექვს ფურცელზედ (12გვ.), ეტყობა, აღელვებული და აკანკალებული ხელით, რასა მწერდა? (მოკლე შინაარსსა გწერ, თორემ ზეპირად მახსოვს:)

[„ბატონო რეზო, თქვენმა წერილმა კინაღამ გამაგიჟა, ჯერაც გონზე ვერ მოვსულვარ, ღამეები არ მძინებია და დღეები თქვენზე ვფიქრობდი... მე პატივსა ვცემ თქვენ გრძნობებს, მაგრამ მიკვირს, როგორ გამიბედეთ ამის თქმა... თავი ხან გაუბედურებული მეგონა თქვენი დაკარგვით და ისევ სიკვდილზე ვიფიქრე... მაგრამ, წარმოვიდგინე როგორ ტანჯვას მოგაყენებდით ამით... დედა მეუბნებოდა ხოლმე, – „შვილო, სხვისი ოჯახი არ დაანგრიო“-ო, და, მაშ, ეხლა თქვენთან ფეხი ამომეკვეთა, ვეღარ შეგხვდებით“-ო...]

მართლაც მთელი თვე აღარ გაუვლია ჩვენკენ; ვერც მე მივედი (მაშინ ეკასთან, ე.ი. კნ. თამართან იდგა), ვერც სადმე ვნახე, როცა შემთხვევით, ცარიელ ტაქსს მივაქანებდი მონპარნასზედ, დავინახე შორიდან და.. წინ გადაუდექი. შორიდანვე დაუძახე: „დოდო!“ და ისე გამოქანდა ჩემსკენ, ისეთი სიხარულით მომეკრა ლოყით, თითქო არაფერი მომხდარიყოს, ძველებურად. მაგრამ მალე შუბლი შეეკრა, დაღონდა... „რად მომწერეთ...“-ო(?). –

———

[1]. ლეო (ლულუ) კერესელიძე (1907-1979) – გიორგი კერესელიძის ვაჟი. საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონის ოფიცერი.

სინამდვილე რომ არ მომეწერა, – ხომ სიცრუე იქნებოდა და ყალბ მდგომარეობაში უნდავყოფილიყავით? ეხლა იცი, ხომ მი პასუხე კიდეც და რატომ უნდა გაურბოდეთ ერთმანეთს? მე ხომ მხეცი არა ვარ, გეშინოდეს? ან შენ ბავშვი? რა გენაღვლება, მე მიყვარდე, ეს ხომ შენ არაფერს გავალდებულებს... ნება მომეცი გელაპარაკო, მოგწერო; შენ თუ გინდა,– ერთ ყურში შეუშვი, მეორეში გამოუშვი, ნურაფერს მიპასუხებ, ვითომ შენ არც კი შეგეხება, ვითომ წიგნი წაგეკითხოს უცნობ ავტორისა... მეც ხომ ადამიანი ვარ და უფლება მაქვს ჩემი აზრები მქონდეს, ჩემი გრძნობები, ჩემი სურვილები... თანდათან სახე უბრწყინდებოდა, გამიღიმა, გაიცინა; თითქო, პასუხისმგებლობა რომ ეხსნებოდა, ამან დააჯერა და... „ვცადოთ"-

ო. მეგობრულად დავშორდით, ორთავენი კმაყოფილნი ამ პირობით, და, ამის შემდეგ, ასი ზღაპარი, ათასი პოემა და ლექსი მაქვს მიწერილი, მსჯელობანი ამქვეყნიური თუ ზეციური, – მთელი ტომი გამოვიდოდა... ეს მეორე სტადიაც წლობით გრძელდებოდა. ჩემი „ნაწერები" აშკარად მოსწონდა, არასოდეს მიპასუხებდა, მაგრამ თანდათან ისე დამიახლოვდა... „რანდევუებზე" არა მარტო მოდიოდა სიამოვნებით, გულში მეხუტებოდა და უჩემოდ ნაბიჯს არ სდგავდა: „ყოველ თავის დიდსა თუ პატარა საქმეში ანგარიშს მაბარებდა, არავითარი საიდუმლოება ჩემგან არა ჰქონდა და სიტყვა მომცა და მტკიცედ ასრულებდა, – რაც უნდა მომხდარიყო*), ჯერ მე მეცოდინებოდა და ჩემი რჩევის გარეშე, – არაფერს იზავდა. მეგობარი მეგობარს, ძმა-ძმას ისე არ ენდობოდა, როგორც ჩვენ ვიყავით... ომამდე. ომმა ხომ ისე დაგვაახლოვა, <<ქართველ ტყვეთათვის>> დახმარების კომიტეტის საქმიანობითაც (ჩემგან მოწყობილისა), რომ მზე და მთვარე ერთმანეთზე ამოგვდიოდა, და, ეპიზოდები რომ

გიამბო, არ დაიჯერებ, ასეთი ზოდები, – შესაძლებელი ყოფილიყოს... ე.ი., არასოდეს არც ჩემი „საყვარელი" ყოფილა და არც ცოლად გამომყვა, ბევრი ხვეწნის მიუხედავად დაათასნაირი „შეღავათიანი" პირობის მიცემით ჩემგან**). როცა ვეტყოდი ხოლმე „ჩემი გახდი"-მეთქი, ყოველთვის მიპასუხებდა: „თქვენი არა ვარო? – თქვენს გარეშე არავინ მიყვარსო, მაგრამ როგორც კაცი – არაო, არ შემიძლიან"-ო. – სხვას თითის დაკარებას კი არა, „კომპლიმენტის" თქმის ნებას არ აძლევდა...

———————

*) მე მთავრად მიმაჩნდა – „გათხოვების საკითხი" და მუდმივი შიში – მისი „თავის მოკვლის" მიდრეკილებისა.

**) გულუბრყვილოდ სწამდა, და, თითქმის მეც დამარწმუნა, რომ მისი ჩემდამი სიყვარული, „სხვანაირი იყო" და ჩემი – მისდამი – „სხვა".

———————

მე კი გულში ვიხუტებდი... რაზედაც მიპასუხებდა... ხშირად. როცა, აღტაცებულმა, ოთახი გაიჩინა და მოაწყო, კვირაში ორჯელ (სამშაბათი და პარასკევი... ეხლაც „პორტე ბონჰეურ"[1]-ის დღეებად მიმაჩნია!) „სკოლა" გვქონდა, ვასწავლიდი ისტორიას, გეოგრაფიას, ლიტერატურას და არა მარტო კარგადა სწავლობდა, – თვითონაც მშვენივრად სთარგმნიდა (რაბინდრანატ თაგორს) და თავის ლექსებსა და მოთხრობებსაც.

საოცრად ნიჭიერი, გრძნობიერი და... „არაამქვეყნიური" იყო... (ღმერთი გაუწყრეთ ინგლისელებს, ყველაფერი მისიც და ჩემიც რომ დამიწვეს 1943 წლის 1 მარტის თავდასხმაში). ზ. ავალიშვილს[2] რომ წავაკითხე (დაუსახელებლად ავტორისა),– მიხვდა – ვინ არ იცოდა და არ ხედავდა ჩვენს მეგობრობას? – ძალიან მოეწონა და... მაქო, მიქო! ჩვენი გაკვეთილები, უმეტეს შემთხვევაში ასე სწარმოებდა: მის ტახტზე ვიჯექი, ის მომეყუდებოდა ზურგით... შოთა, ს.ს. ორბელიანი, ივ. ჯავახიშვილი, ვაჟაფშაველა და სხ... სულ „ჩავაბულბულეთ". მხოლოდ ერთხელ დააგვიანა გეოგრაფიის გაკვეთილზედ ათიოდე წუთით... და გამაკვირვა: ეტყობა, მორბოდა, სულს ვერ ითქვამდა, ჩამეხუტა გულში და პირზე კოცნით (მარტო ამას ხუობდა უმეტეს შემთხვევაში), რომ იტყვიან, ჩაბჟირებით, – ბოდიშს იხდიდა... „მარუსა შემხვდა, გამაჩერა, ვერ დავპატიჟე, რადგან არ ვიცოდი თქვენ როგორ მიიღებდით ამ ჭორიკანასაო და ამიტომ დავიგვიანე"-ო. – მარუსას კი არა, ეშმაკს არ მოვერიდები ჩემ საქციელში შენთან... ქრისტეც რომ მოვიდეს-მეთქი. და უფრო ჩამეკრა და ჩამეხუტა. და როცა, კედელზე ჩამოკიდებულ რუკასთან ვაჩვენებდი საქართველოს მთებსა, მდინარეებს, ქალაქებს და აუწერე კავკავიდან (:

———

[1]. იღბლიანი-ბედნიერი დღეები (ფრ.).

[2]. ზურაბ ავალიშვილი (1874-1944) – საქართველოს ედპ-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1918 წ. დი პლომატიური მისიით გაიგზავნა გერმანიაში, ნორვეგიაში. 1921 წლიდან ემიგრაციაშია. II მსოფლიო ომის დროს „ქართული სამოკავშირეო შტაბის" წევრი, მიუნხენში „კონტინენტური ევროპის კვლევის ინსტიტუტის" წამყვანი თანამშრომელი, მრავალი სამეცნიერო შრომისა და წიგნის ავტორი. 1993 წ. გერმანიიდან გადმოასვენეს საქართველოში, დიდუბის პანთეონში.

ძველი ძაუგიდან და ჩვენი დროის ვლადი-კავკაზიდან) თბილისამდე გზის მშვენიერებანი, აღტაცებით კიდევ გადამეხვია: „ნეტა თუ მოვესწრობი როდისმე მაგ გზის გავლას თქვენთან ერთად"-აო. საწყალი ვერ მოესწრო... სხვა დღეებშიაც ვხვდებოდით ხან კაფეში, ხან ტიულრიში, ხან ლუქსამბურგში, // ხან ჩვენსა და ყოველთვის ვაცილებდი, რასაკვირველია, რაკი სამუშაოდან მოდიოდა ჩვენსა და ღამე ბრუნდებოდა. საოცარი, საოცნებო იყო ეს „გაცილებანი"... დაიწყო თუ არა ომი, „ეგვიპტელმა პრინცესამ" ყველაფერი გაყიდა, ბევრი რამ დოდოს დაუტოვა და თვითონ სადღაც გაქრა (მგონი რაღაც საეჭვო იყო და ერთხელ, – წინად, – დოდომ რომ მისი წერილები წამაკითხა, მგონი „ლესბიელიც") და დოდოც, უოთახოდ დარჩა... ეკასთან, მაგრამ, როცა გერმანელები შემოვიდნენ, მთელი დადიანობაც აიყარა და დოდოც მიჰყავდათ... უკვე ავტომობილებში ისხდნენ, რომ მიუსწარი და დოდო მაშინვე ჩამოხტა და... ჩემთან დარჩა, მოურიდებლად...

ეკას 7 ოთახიან ცარიელ ბინაში, რომელიც ჩაებარებინათ ვიღაც რუსის ოფიცრისათვის, მზარეულად რომ ჰყავდათ. გული მისკდებოდა: <<7 ცარიელი ოთახი, ღამე, – დოდო და... შედარებით ახალგაზრდა ნაოფიცრალი რუსი>> და განგებ ხშირად დავდიოდი, რამდენჯერმე ღამეც დავრჩი, რადგან გულუბრყვილო დოდო მეუბნებოდა სიცილით: „რუსია, ვერაფერს გაბედავს"ო. მადლობა ღმერთს! (შეიძლება იმანაც ვერ გაუძლო ასეთ მდგომარეობას, და) ათიოდე დღის შემდეგ... სადღაც დაიკარგა. სანამ დადიანები დაბრუნდებოდნენ (მალე; რაკი გაიგეს – გერმანელები „ადამიანებს არა სჭამდნენ"-ო), – ერთი ოთახის მაგიერ, მე და დოდოს <<უცნაური>> (?) სიყვარულის მოწმედ, რიგრიგობით 7 ოთახი გვქონდა. მაგრამ... როცა ერთხელ (წინად) ლიზამ უთხრა: „დოდო, ბავშვი ხომ აღარა ხარ, გასათხოვარ ქალს, როგორ არ გესმის, მარტო, ოთახში იღებ კაცს, ხანდახან ღამეც, რა არ შეიძლება მოხდეს"-ო, – დოდო გაწიწმატდა: „ქალბატონო ლიზა, მაგას როგორ ამბობთ ბატონ რეზოზედ, განა მუდამ მაგის ხელში არა ვარ... რასაც უნდა მიზამდა"-ო (????!!!???).

მასვინიდისებდა?, მცდიდა?, მაცდუნებდა?, მიწვევდა? (როგორც ხშირად ხდება, ქალს უნდა უპასუხისმგებლო იყოს თავის „შეცდომაში", თუ „შეცდენაში"? დღემდე არ ვიცი, რაკი ვერასოდეს ვერა ვკითხე, – გაშტერებულმა ასეთი პასუხით. // ომამდე და ომის დროსაც, ნათესავები (სულ კახპები სონადან – [...]ანამდე), <<მეგობრები>> აფრთხილებდნენ: რეზო მოარშიყეა, მუსუსიო, დაანებე თავი, ხათაბალას გადაგკიდებსო, და ვის არ წაეჩხუბა, გალანძღა ჩემი გულისათვის: როგორ ბედავთ მაგისთანა ლაპარაკსაო; და, როცა დაჟინებით ურიგებდნენ ჯერ ვიღაც იტალიელ მდიდარსა და ლამაზ „პრინცსა", რომელსაც გამართულ „წვეულებაზედ" ყველა ქართველ ქალებში დოდო მოსწონებია და უთხრეს: „ბედი ხელიდან არ გაუშვა"-ო, სახალხოდ უთქვამს სიამაყით: „მე რეზო გაბაშვილს უყვარვარ და თქვენი პრინცი თქვენ დაიტოვეთ"-ო. ეს რომ პირველსავე შეხვედრაზე, – ამაყად თავის აღებით – თვითონ მიამბო, სხვა ველარაფერი უთხარი: „ჩემო დოდო, შენ თვითონ აძლევ ყველას საბაბს, – ჭორებისათვისა"-მეთქი. „რამდენიც უნდათ იჭორაონ, მე და თქვენ ხომ ვიცით, – რაცა ვართ ერთმანეთისათვისა"-ო. (ვერ გეტყვი დარწმუნებით ეს ამბავი ჩემ წერილამდე მოხდა, თუ... შემდეგ. მგონი, უფრო წინად)... // ... ერთხელ გზაში ჟორა ინჯია[1] შემხვდა, და, ჩვეულებრივ „პროპაგანდას" უწევდი, – რა ხართ ეხლანდელი ყმაწვილები, ცოლებს არ ირთავთ, ამოდენა ლამაზი ქართველი ქალი დადის ტყუილად და თქვენ უშნოები ხართ-მეთქი.

– ბატონო რეზო, ყმაწვილები ლაპარაკობენ: „ვინც კი ლამაზი ქალია, ყველას ბატონი რეზო ეპატრონება(?) და არ გვითმობსო. – ჯერ ერთი, ეგ მართალი არ არის და მეორეც, რასა ჰქვია დათმობა, მე დაჭერილი არავინა მყავს და რომელიც გინდათ წაიყვანეთ... მაგრამ უხეიროები ხართ. შემდეგ შეხვედრაზე, იმავე მონპარნასზე ვაცილებდი დოდოს და სწორედ იქ გავაჩერე, საცა წინა დღეებში ჟორასთან ეს „ანექდოტური" ლაპარაკი მომიხდა. და სიტყვასიტყვით გაუმეორე. დოდომ გადიხარხარა: „უთხარით იმ ყმაწვილებს, რომ ბ-ნ რეზოს ფრჩხილს არ გავცვლი მთელ ახალგაზრდებზე... თუ რამე ვიცი, თუ რამე კარგი მაქვს, თუ რასმე წარმოვადგენ, – ეს სულ თქვენგანა მაქვს და ამ ამაგს რომელ ყმაწვილზე გავცვლი"-ო. ეს მისი სიტყვები, ჩუქურთმასავით გულში ამოჭრილი, არასოდეს არავისთვის მითქვამს. // ასეთი მაგალითები-მარგალიტები ათასობით მომხდომია დოდოსთან და 1926-1944-მდე, მაშ 18 წლის განმავლობაში, და სხვა ქალისათვის არც შემიხედნია... და ვინ მიგონებს ჭორებს?: „ბაბნიკია", „დონჟუანი", „მასთან მარტოდ ოთახში დარჩენა სახიფათოა", „ჯოხზე რომ იუბკა ჩამოაცვა, – იმასაც გაუარშიყდება"-ო და სხ. და სხ. უმსგავსობანი. // რომ ჩამოითვალოს დოდოსთან ნათქვამები, ამბები, შეხვედრები, ალერსები, – ტომი არ ეყოფა ჩვენს <<რომანს>>, ამიტომ უკანასკნელ გაუგებარ „აქტს" გიამბობ ჩვენი ისტორიისას. 1943 წლის ქრისტეშობისთვეში უკანასკნელად ვიყავი პარიზში [(ათჯერ ნამყოფი ტყვეების საქმეზე), და დოდო ხომ ჩვენი მდივანი იყო კომიტეტისა და ჩემი თანაშემწე – ერთგული, გატაცებით მშრომელი დაუღალავად.] სახლში კი არ

---

[1]. გიორგი (ჟორა) ინჯია – გარდაიცვალა მიუნხენში.

მოვედი, ჩამოვხტი სადგურთანვე სასტუმროში და ტელეფონით დაურეკე სამსახურში. მაშინვე მოვიდა და ჩვეულებრივ ჩამეხუტა გულში და კოცნით, მაგრამ, მაშინვე დამიწყო ხვეწნა: „თუ მართლა გიყვარვართ, პატივსა მცემთ, ან ანგარიშს მიწევთ, წადით შინ"-აო. – ჩემი შინაც და გარეც, – ხომ იცი, შენა ხარ და სად უნდა წავიდე, პირიქით, აქ დარჩი... – გეხვეწებით, თუ ერთი ბეწო ხათრი გაქვთ... „შინ" კი არა, ჯოჯოხეთში წავიდოდი, ისე „ჩამიძვრა" გულში. წავედი, მაგრამ სასტუმრო დავიტოვე და შიგ ბარგი... განზრახ: რამდენიმე დღის შემდეგ ხომ უკანა ვბრუნდებოდი ტყვეების ბარგით დატვირთული. ორი დღის წამოსვლის წინად, ტყვეთა ბარგი რომ გავისტუმრე, ყველას გამოვემშვიდობე და ისევ „ჩემ" სასტუმროში წავედი... და კვლავ დაურეკე. მოვიდა და დამეთანხმა პირად მდივნობაზედ, რასაც ვეხვეწებოდი ხოლმე, ე.ი. რომ ჩემთან ყოფილიყო გზაში, პარიზში, ბერლინში და ყველგან, საცა ჩემი მუშაობა (და ძალიან მძიმე) მოითხოვდა. – კარგიო, ვიზა ამიღეთ და განუყრელად თქვენთან ვიქნებიო... – ხომ იცით, გზა როგორ აახლოებს ადამიანებს, მერე სასტუმროებშიაც მოგვიხდება გაჩერება ხომა. ცალ ცალკე ოთახები გვექნება... სადგურამდი გამაცილა, ბარგის ნაწილიც წამომიღო, მეათასედ გადამკოცნა და გახარებული წავიდა. მე ხომ ცას ვეწეოდი... და რა მოხდა? ქალის ამბავს რას გაიგებ?: ოქტომბერში ძმა მოუკლეს, და, მგლოვიარემ, ცრემლებით რომ დასველებული ვიყავი, – ძლივს ვაშოშმინებდი; ქრისტეშობისთვეში რა პირობით გამისტუმრა; იანვარში ლულუს წერილი მივიღე: „ჯვარი უნდა დავიწეროთ და დოდო მარტო თქვენს ნებასა და კურთხევას უცდისო". და 4 თებერვალს, თურმე, ჯვარი დაიწერეს. ოქტომბერი – გლოვა; დეკემბერი – ჩემი ზეცა; იანვარი – ხუმრობა? თებერვალი – სხვის გაყოლა!? ოთხის თვის განმავლობაში ასეთი „მეტამორფოზები" გასაგებია? // დილის მეოთხე საათია. დანარჩენი კვლავ იყოს, თუ გაინტერესებს.

რ. გაბაშვილი

P.S. ამოდენა წერილისაგან გული არ გაგისკდეს, მგონი კია, – „რომანივით" წაიკითხო და მეგობარივით იცოდე, – არშიყი ვარ, თუ არა, – ჭორებს რომ მივრცელებენ. რ. გ. თუ რამემ გაგაკვიროს, ან წინააღმდეგობა ნახო ამ „ზღაპრებში".

* * *

პარიზი. 2/I/1968 წ.

ჩემო პეტრე,

„დონჟუანი", „ლოველასი", ქართულად – არშიყი, ან უფრო დაბალი ხარისხისა, – მუსუსი, არასოდესა ვყოფილვარ. ეს, იმას კი არ ნიშნავს რომ ბერად ვყოფილიყავი, ან (შეუსრულებელი) სურვილი მქონოდა ბერობისა. ასე მგონია, სრულებით ნორმალური კაცი ვიყავი ამ მხრივ; ოღონდ, როგორც უკიდურესად აქტიური ბუნებისა ყველაფერში და აღზრდის გარემოებათა გამო, შეიძლება აქაც ცოტა მეტადა მქონდა განვითარებული ქალისადმი (და არა ქალებისადმი) მისწრაფება. რამდენადაც დაკვირვებული ვიყავი (და ვარ 85 წლამდე) ცხოვრებასა, ისტორიასა და ლიტერატურას, ჩემისთანები – ამ საკითხშიაც – ქვეყანას არ აკლია, მაგრამ, მაინც უმრავლესობის ბრბოს არ ეკუთვნოდნენ, არ ეკუთვნიან, არც როდისმე მიეკუთვნებიან. შენ წაგიკითხავს ჩემი ქართული წიგნი „რაც მახსოვს" (თუ რამე გახსოვს?), რუსული "Камо грядещи... Уратадзе?" და როცა წაიკითხავ ფრანგულსაც: „L'apport de la race caucasienne à la civilisation mondiale"1, ალბად დამეთანხმები, რომ ჩემი ცხოვრების აქტიობა არ გამოიხატა მხოლოდ რომანებში, გინდაც სულ იდეალური ყოფილიყო. და, მიუხედავად ჩემი ოცნებისა „სიყვარულის რაინდი" ვყოფილიყავი, – „რაცხა" სხვა რამეც გამიკეთებია.

შეიძლება იმიტომ რომ პატიოსან-განათლებულ ოჯახში დავიბადე, ბავშვობიდანვე წერა-კითხვის (ნიჭი თუ არა) სურვილი მქონდა და პირველი ჩემი მოთხრობა „ჩვენი ბურჯი" ჯერ კიდევ 15 წლისას დამიბეჭდა დედამ „ჯეჯილში". მას შემდეგ რაც დამიწერია (და იქნება საბეჭდავი ვერასოდეს ვერცა ნახოს) და რაც დამიბეჭდია – ტომებს შეადგენდა. თუ რა ფასისა ან მნიშვნელობისა, – ეს სულ სხვა ამბავია. წერისა და კითხვა-სწავლის გარდა, სხვაც ხომ რაღაცა გამიკეთებია... სხვა რომ არა იყოს რა, სამ ომსა და სამ რევოლუციაში აქტიური („თავ-ფეხიანად" გადავარდნით) მონაწილეობა მიმიღია. არ იფიქრო, ჩემო პეტრე, ამით ან ვტრაბახობდე ან თავის გამართლებას ვეძებდე: ჩემი ყოველი მუშაობა სანატრელ მოვალეობად მიმაჩნდა და ცხოვრების განმეორება რომ შეიძლებოდეს, – როგორც „ნოტებზე" განვიმეორებდი სრულიად დაუნანებლად და სირცხვილის გარეშე; რადგან, როგორც უკვე მოგწერე, მგონია, „გარდამავალ ხანაში" ისეთი პრინცე პები და ფილოსოფია შევიმუშავე-შემიმუშავდა, რომლისთვისაც, – ვცდილობდი, – არასოდეს გადამეხვია.

თუ პირველი მცნება იყო ჩემთვის „არ იცრუო" (ყოველნაირი გაგებით), მეორე, არა-

ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა – დაკარგულია", და, ამ თეორიულ მცნებაში, პრაქტიკულადაც დავრწმუნდი, რადგან შეძენა რისამე არასოდეს მაინტერესებდა (თუ არა სხვისათვის) და მიცემა, – დიდათ*). თვით სიყვარულშიაც კი ასჯერ მეტად ვიხარჯებოდი (ყველა მნიშვნელობით) და ათასჯერ მეტად მინდოდა გაღება, ვიდრე ვსარგებლობდი.

———————

*) ალბად ბედიც ხელს მიწყობდა ამაში, რადგან ერთადერთი შემთხვევა, როცა სურვილით ვიყიდე ჩემთვის, დამოუკიდებლობის დასაწყისში, საუცხოო საწერი მაგიდა, წიგნების კარადა და სავარძელი, – ისე წამოვედით ხიზნობაში, რომ ერთი წერილი არ დამიწერია იმ მაგიდაზე, ერთი წიგნი არ შემიდვია იმ კარადაში და ერთი ორჯელ არა ვმჯდარვარ იმ სავარძელში. მართალია, თურმე ციალა მინახავს ამ ავეჯს, აგერ 45 წელიწადია, მაგრამ, ჩემი ბედის მნახველი, ალბად ვერც ვისარგებლებ.

ვიდრე „ამბავს" გიამბობდე, ერთ ჩემს „აღმოჩენაზედ" მინდა გითხრა ორიოდე სიტყვა. ეს აღმოჩენა, შეიძლება ჩემთვის იყო მარტო, და, ასე ვეძახი მხოლოდ იმიტომ, – არავისაგან გამიგონია, არც სადმე წამიკითხავს, თუმცა, მგონი, არ არის დარგი და „ქალთა საკითხზე" მეტადრე, – არ მესწავლოს... რადგან ერთ დროს მინდოდა ექიმობა და გატაცებულიც ვიყავი – მედიცინითაც.

*ციცინო ჯერვალიძის წიგნიდან „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით"*

*დასასრული შემდეგ ნომერში*

———

[1] „კავკასიური რასის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში"(ფრ.).

## ნუგზარ შატაიძის ხსოვნის საღამო

მწერალთა სახლის სააქტო დარბაზში პატივი მიაგეს თანამედროვეობის გამოჩენილ ქართველ მწერალს ნუგზარ შატაიძეს. საღამო, რომელმაც ძალიან სევდიან და თბილ ვითარებაში ჩაიარა, მწერლის 70 წლის იუბილეს მიეძღვნა.

საღამოს უძღვებოდა ნუგზარ შატაიძის მეგობარი არმაზ ბურნაძე. თბილი მოგონებებით გამოვიდნენ: გურამ გოგიაშვილი, ეთერ თათარაიძე, ამირან არაბული, გია გორგოძე, შადიმან შამანაური, ირაკლი ლომოური, კოტე ჯანდიერი, ზურაბ კანდელაკი, დავით ჭელიძე, ელგუჯა ბერიშვილი.



ნუგზარ შატაიძე და ვახუშტი კოტეტიშვილი.
დავით ჭელიძის საოჯახო ალბომიდან.

გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს მწერლის თავანკარა ქართულს, სიტყვის მისეულ მუსიკალურ ჟღერადობას, მწერლის სიმართლეს. დიდი ყურადღება დაეთმო ნუგზარის შემოქმედების გვირგვინს – „პურის მოთხრობას". ერთ წელიწადში მომზადდება და გამოიცემა წიგნი ნუგზარის შესახებ, რამაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

დამსწრე საზოგადოებამ დიდი ინტერესითა და სიამოვნებით მოისმინა ნუგზარ შატაიძის შესრულებული სიმღერა „დაჭრილი წერო" და თავისი რამდენიმე მოთხრობა. იხილა მწერლის ფოტოკოლაჟი და ნუგზარის რჩეული მოთხრობების კრებული „შეხვედრა" შეიძინა.

მაია ნაჭყებია



*ვაცლავ ჰაველი (1936-2011) – დრამატურგი, პოეტი, ესეისტი, დისიდენტი, ადამიანის უფლებათა დამცველი და პოლიტიკოსი, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველზე გამოჩენილი პიროვნებაა სრულიად არაორდინარული ბედით, რომლის ბედიც ყოველთვის მისი სამშობლოს – ჩეხეთის ბედთან იყო გადაჯაჭვული. ვაცლავ ჰაველის უმდიდრესი შემოქმედება ცხრა ჟანრს მოიცავს და ახლა ჯერ კიდევ მხოლოდ იწყება მისი შესწავლა... ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მაია ნაჭყებია წლების მანძილზე თარგმნის და სწავლობს ვაცლავ ჰაველის შემოქმედებას. ბრატისლავას იან კომენსკის უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, 1990-იანი წლებიდან დაიწყო ჰაველის შემოქმედების თარგმნა. მან პირველმა გადმოაქართულა ორიგინალიდან ჰაველის ესეები და პიესები. იგი აქვეყნებს ესეებსა და სამეცნიერო წერილებს ჰაველის ბიოგრაფიისა და შემოქმედების სხვადასხვა ასპექტზე. 2013 წელს მოიპოვა ჩეხეთის მეცნიერებათა აკადემიის ჩეხური ლიტერატურის ინსტიტუტის სტიპენდია ბოჰემისტიკაში ჰაველის შემოქმედების შესასწავლად, რამაც შესაძლებლობა მისცა, გასცნობოდა სრულიად ახალ მასალას ჰაველის შემოქმედების ირგვლივ. ამჟამად შემოგთავაზებთ თარგმანს ჰაველის პირველი ბიოგრაფიიდან, რომელიც მისამ კოლგამ, ჩეხმა მწერალმა ქალმა – ედა კრისეოვამ 1991 წელს გამოაქვეყნა. წიგნის მიზანი იყო, უცნობი დისიდენტის წარდგენა ფართო საერთაშორისო საზოგადოებისთვის.*

*ედა კრისეოვა*

# *ვაცლავ ჰაველი. ბიოგრაფია.*

დროა გავარკვიოთ, თუ საერთოდ ვინ გამოჩნდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე. ჩავუფიქრდეთ მისი წამოწყებების მიზანშეწონილებასა და ლოგიკას. მის ყოველ წამოწყებაში განსაკუთრებულია ის სიმტკიცე, რომელიც მას მარად მოუწოდებს მოიკრიბოს ძალა და შემდეგში ჩაებას. რატომ არ მოისვენებს ეს ადამიანი და რატომ არ შეეგუება? რატომ არის სხვანაირი? კომუნისტები მას უბრალოდ იმით გაუსწორდნენ, რომ ბურჟუაზიული წარმოშობა მიაკერეს. ეს ისეთი რამაა, რაც ადამიანის ბრალი არ არის და რასაც იგი ვერასოდეს მოიშორებს. ვაცლავი, მართლაც, ვერასოდეს მოიშორებს თავის მძლავრ და ძლიერ საგვარეულოს. ეს ის ჩეხური ბურჟუაზიაა, რომელმაც ჯერ კიდევ ავსტრია-უნგრეთში ჩაუყარა საფუძველი პირველი რესპუბლიკის ომამდელ აყვავებას და გავლენა მოახდინა თანამოქალაქეთა განათლებასა და კულტურაზე. ჰაველთა გვარის აღზევება და დაცემა, ისევე, როგორც ვავრეჩკოვებისა – დედის მხრიდან, ტიპურია ამ ქვეყნის ბედისათვის და ჭკუის სასწავლებელიც არის არა მარტო წარსულისათვის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, აწმყოსა და მომავლისათვის. ის, რაც მოხდა, ვეღარ შეიცვლება, მაგრამ დღეს ისევ იბადება ჩეხური ბურჟუაზია, როგორც ოდესღაც მეცხრამეტე საუკუნეში. იქნება იგი ისეთივე განათლებული და კულტურული, როგორც

ძველი, რომლის ნარჩენებიც დღეებს სიბერესა და სიღატაკეში ლევენ, როგორც ლიკვიდირებული კლასი? ვაცლავ ჰაველმა, დღევანდელი პრეზიდენტის ბაბუამ, ააშენა პრაღის „ლუცერნა“ კულტურის სასახლე, რომელიც ნებისმიერი დიდი ევროპული ქალაქის დონეზე იყო. ეს მთელი მისი ცხოვრების საქმე გახლდათ. მას გაგიჟებით უყვარდა პრაღა და სურდა მისთვის რაღაც ისეთი, რაც მას ავსტრია-უნგრეთის მონარქიის პროვინციული ქალაქიდან დიდ ქალაქამდე აამაღლებდა. 1907 წელს მან იყიდა ბელსკის სასახლე ვოდიჩკას ქუჩაზე და თავიდანვე გაითვალისწინა, რომ თანდათანობით შეიძენდა მიწის მიმდებარე პატარ-პატარა ნაკვეთებს შტეპანკას ქუჩამდე.

მწერლის მამა, ასეთივე ვაცლავი, ათი წლის ბიჭი, თვალს ადევნებდა, თუ როგორ აპროექტებდა მამა. ამ დროს იგი ვირჯინიული თამბაქოსაგან დამზადებულ გრძელ სიგარას ან მოკლე, მაგარ სიგარას ეწეოდა და წამდაუწუმ ეთათბირებოდა მეუღლე ემილიას. ჰაველი -მამა მოგონებებში წერდა: „როდესაც პროექტი უკვე დამთავრებული იყო, ვოდიჩკას ქუჩაზე ვოდიჩკას ქუჩის ფასადის ვარიანტი დედას უჩვენა, მან კი, როგორც კი დახედა, გამოაცხადა, რომ შენობა დიდ ფარანს წააგავდა. მამამ მაშინვე მოახდინა რეაგირება ამაზე იმით, რომ თქვა: – ეს კარგი სახელწოდებაა მთელი შენობისთვის: ლუცერნა ჩეხური სიტყვაა, რომელსაც უცხოელიც ადვილად გამოთქვამს”.

1907-1908 წლებში, პირველ ეტაპზე, ააშენეს სახლი და ეზოს ტრაქტი ვოდიჩკას ქუჩაზე. ბაბუა „ლუცერნას” საკუთარი ხარჯით სამ ეტაპად აშენებდა, და სავექსილო და მოგვიანებით კი – იპოთეკური კრედიტის მეშვეობით. ვალის გადახდის თავმდები თავად იყო თავის მეუღლესთან – ემილიასთან ერთად მთელი თავისი ქონებით. პრაჰის სავაჭრო პალატის საიუბილეოდ, გამოფენასთან დაკავშირებით გახსნეს ყავახანა და საჩაიე „იოკოჰამა“. მისი ხელმძღვანელი დიდი ჩეხი მოგზაური ჯო ჰლოუხა იყო, რომელმაც ერთ-ერთი საუკეთესო „მოგზაურობა” დაწერა იაპონიის შესახებ; „ლუცერნის“ იაპონური საჩაიე გაწყობილი იყო პერგამენტის მაგიდებით, იაპონური ფარნებით, ბამბუკის ავეჯით, იაპონური ნივთებით – სულ ორიგინალებით – რომლებიც ჰლოუხამ იაპონიიდან ჩამოიტანა. ოფიციანტებად კიმონოში გამოწყობილი გოგონები იყვნენ. „იოკოჰამა“ პრაღაში ძალიან პოპულარული იყო, საერთოდ, ყოველივე იაპონური ძველ დროს დიდ მოდაში იყო, სჰლოუხები დაწესებულებას სათავეში მანამდე ედგნენ, ვიდრე ცოლ-ქმარი ჰაველები იმ ადგილზე „ზამთრის ბაღს” გააშენებდნენ, სადაც მიმტანებად სტუდენტი გოგო-ბიჭები მუშაობდნენ, რომელთაც სწავლისათვის ფული ესაჭიროებოდათ. ჰაველი – მამა, რომელიც საინჟინროზე სწავლობდა, ოცი წლის ასაკში სტუდენტური საზოგადოების გამგეობის წევრი გახდა. საზოგადოებამ ფულის შოვნა მოახერხა და ურთიერთდახმარებისა და ნებაყოფლობითი შეწირულებათა წყალობით ორ წელიწადში ააშენა სტუდენტური საერთო საცხოვრებელი – „კოლონკა“ ლეტნაზე, რომელმაც თავდაპირველად დაგეგმილი ხუთი-ათი წლის ნაცვლად მთელი ორმოცდაათი წელიწადი გასწია სამსახური. პაპამ პირველ ეტაპზე „ბიო ლუცერნაც“ ააშენა, რომელიც შემდეგომი ხუთი წლის მანძილზე, როდესაც დანარჩენი მიწის ნაკვეთებიც შეისყიდა, გააფართოვა და მას ის იერსახე შესძინა, რომელიც დღეს აქვს. შენობა ახალი გაფორმებით, ტურბინული ვენტილაციით და სითბური გათბობით აღჭურვა, ყოველივე ეს მაშინდელი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა იყო. ფილმების უმტესობა გერმანული იყო და ჩეხური ტიტრებითურთ მიდიოდა, რომლებსაც დიაპოზიტივით უჩვენებდნენ. პრაჰის სხვა კინოებში მუნჯ ფილმებს აკომპანიმენტს მხოლოდ ერთი მუსიკოსი უკეთებდა, „ლუცერნაში” კი რვა-თორმეტკაციანი ორკესტრი უკრავდა. ორკესტრის ხელმძღვანელი პირველი ნახავდა ხოლმე ფილმს და არჩევდა მისთვის ნაწარმოებს, რომელსაც შემდეგ ორკესტრთან ერთად ახლებურად და ორიგინალურად ამუშავებდა. „ბიო ლუცერნამ” რესპუბლიკაში პირველმა გახსნა ხმოვანი ფილმების ეპოქა, ეს ვაცლავის ბიძის, მილოშ ჰაველის

დამსახურებაა. 1929 წლის 13 აგვისტოს „ლუცერნაში“ შედგა ამერიკული ფილმის – „კომედიანტების ხომალდის“ პრემიერა. უამრავი აფრიკული სიმღერით, რომელთა შორისაც ყველზე პოპულარული იყო ოლდ მან ღივერ. მილოშ ჰაველი სააქციო საზოგადოების „A-B“-ის თავმჯდომარე, მაჟორიტარული აქციონერი და ბარანდოვოს კინოსახელოსნოს მშენებლობის ინიციატორი იყო. მეორე მსოფლიო ომამდე „A-B“-ის ფარგლებში მან ჩეხური ფილმების წარმოების ორგანიზება მოახდინა. კაბარე „ლუცერნა“ პირველ მსოფლიო ომამდე დიდი შენაძენი იყო პრაღის ქალაქური ცხოვრებისათვის. ვაცლავ ჰაველმა თავის მეგობრებთან – იაროსლავ კვაპილთან, კარლ ჰირშელთან და იგნატ ჰერმანთან ერთად კაბარე მსოფლიო დონეზე მოაწყო, არა მარტო ინტერიერის და კულტურული გარემოს,არამედ მხატვრული პროგრამების დონის თვალსაზრისითაც. გაფორმება, აკადემიურ მხატვარს, „ნაროდნი დივადლოს“ სცენოგრაფს – იპზეფ ვენიგის წინადადებით, გვიანი მოდერნის სტილით გამართეს. აქ გაითქვეს სახელი ჰაშლერის ძველ პრაჰულმა და ჰაშლერისა და ფრიმლის მოხეტიალე სიმღერებმა. აქ გამოდიოდნენ ლონგენი, ქსენია ლონგენოვა, ახალგაზრდა ვლასტა ბურიანი: მანამადე კი პრაღაში მხოლოდ პატარა,გაბოლილი შანტანები იყო. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ვაცლავის ბაბუამ კაბარე „კომედიის თეატრად“ გადააკეთა – შუაგულში მოთავსებული იყო მოდური „კაპრიზი“ – მრგვალი გამოსაწევი სცენა,რომელიც იატაკის დონეზე იწეოდა და საცეკვაო პარკეტად იქცეოდა. პირველ პროგრამებში მოცეკვავე მილცა მაიერთან ერთად ვოსკოველი და ვერისი მონაწილეობდნენ. ნუთუ იყო პრაღაში რაიმე ამაზე უკეთესი? ძნელი სათქმელია. ერთი კი ცხადია, კაბარემ მერე უკვე ვეღარასოდეს მიაღწია თავის პირვანდელ დონეს. გასართობი, კულტურული და განმანათლებლური კომპლექსის კონცეფცია 1920 წლის დიდი დარბაზის აშენებით და გახსნით დასრულდა. დარბაზი სამი სართულის დონეზე იყო ჩაძირული, მის ზევით კი შვიდსართულიანი შენობა იდგა.

ეს იყო უდიდესი მიწისქვეშა საკონცერტო დარბაზი პრაღაში. დარბაზის კონსტრუქციაში ვაცლავ ჰაველმა პირველად გამოიყენა საყრდენის რკინაბეტონის კონსტრუქცია ჭერში, რომლის გამოთვლაც და იდეაც ახალგაზრდა ინჟინერს, მომავალ აკადემიკოსს სტანისლავ ბესენიას ეკუთვნოდა. ამგვარი კონსტრუქცია მსოფლიო მასშტაბის იშვიათობა იყო და იგი ყოველგვარი ზარალის გარეშე გადაურჩა 1927 წლის ხანძარს. ერთადერთი, რაც ჰაველებმა ბოლომდე ვერ დაასრულეს, დარბაზის კლიმატიზაცია იყო. ამ მოწყობილობას მაშინ მხოლოდ შეერთებულ შტატებში აწარმოებდნენ, ელოდებოდნენ მის გავრცელებას ევროპაში, მაგრამ ომი დაიწყო. შემდეგ კი კომუნისტებმა „ლუცერნის” ნაციონალიზაცია მოახდინეს... პირველი რესპუბლიკის დროს დიდ დარბაზში არაჩვეულებრივი კონცერტები იმართებოდა. აქ ისეთი ხალხი გამოდიოდა,როგორიც იყვნენ: იან კუბელეკი,ემა დესტინოვა,პაბლო კალასი, რიხარდ სტრაუცი, ჟოზეფინა ბაკერი და მავრიცია შევალიე. აქ იმართებოდა კრებები, დემონსტრაციები, სახალხო სეირნობები, კლასიკური ჭიდაობის ორთაბრძოლები, პინგპონკის ტურნირები. საცეკვაო და თეატრალური წარმოდგენები. დაარსების შემდეგ, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიაც აქ აწყობდა თავის ყრილობებს...

## მეფე ირჟის სახელობის კოლეჯი

საიდან გაჩნდა აქ დაბალი, ცქვიტი ადამიანი, რომელიც უფრო დარბის, ვიდრე დადის და ოდნავ მოუქნელად მოძრაობს? ღია ფერის ხვეული თმები, უბიწოებით აღსავსე ლურჯი მზერა და მამაკაცური სიცილი აქვს. ყველაფერი ისე აინტერესებს და აღაფრთოვანებს, თითქოს პირველად ხედავდეს. იმდენი ენერგია აქვს, რომ ირგვლივ ყველას დაქანცავს. შეუძლია მთელი ღამე სადღაც იჯდეს, დილით მთელი საათი იჭყუმპალაოს საბაზანოში და სამსახურში წავიდეს. არასოდეს ზოგავს თავს. მეოთხე კატეგორიის რესტორნებში

სიამოვნებით ზის მეგობრებთან ერთად და ლუდს შექცევა. სვიტრი და ჯინსები მისი უსაყვარლესი ტანსაცმელია. შემდეგ კი სმოკინგში გამოეწყობა და საცეკვაო დარბაზში გაჩნდება და ექვსნაბიჯიან ვალსს იცეკვებს. ყელზე თეთრი აბრეშუმის შარფით ახალგაზრდა სვანს ჩამოჰგავს. ისეთი კარგია, ხალხს ჰგონია, რომ მისი გამოყენება ადვილად შეიძლება. ეს შთაბეჭდილება იმიტომ იქმნება, რომ მიუკერძოებელია, მისთვის მთავრია საქმე და არა საკუთარი თავი. ეს ზოგჯერ ხალხს აბნევს, რადგანაც თვითონ არ შეუძლიათ იყვნენ ასეთები, ასეთ რისკზე ვერ მიდიან. არ ვიცი, ეს თვისებები თანდაყოლილია, თუ აღზრდით არის მიღებული, მაგრამ ვიცი ის, რომ რთულია, რაიმე აქციის სტრატეგიის მოფიქრება, შენის გატანა და იმ იდუმალებისა და განცვიფრების პატივისცემა, რომელსაც ცხოვრება ყოველ წუთას გიმზადებს. 1947 წელს დაამთავრა დაწყებითი სკოლა და დედამ გადაწყვიტა, იგი სახლს მოეწყვიტა, რათა დამოუკიდებელი, საერთო საცხოვრებლის ცხოვრება ეგემა. მაშინ პოდებრადებში, კოშკში, ვაჟთა საშუალო სკოლა ითონისა და ჰაროუს ინგლისური საინტერნატო სკოლების მიხედვით იყო მოწყობილი. მას პოდებრადელი მეფე ირჟის საერთო საცხოვრებელი ეწოდებოდა. იქ უპარტონო ბავშვები ცხოვრობდნენ, რომლებმაც მშობლები ომში დაკარგეს, როგორც მილოშ ფორმანმა. სკოლამ ამ ღვთისნიერი საქმისათვის სახელმწიფოსაგან საკმაო ფული მიიღო, და ამგვარად, დირექტორ იაჰოდას საუკეთესო პედაგოგების შერჩევა შეეძლო. პედაგოგებისა და ფინანსური საშუალებების წყალობით ეს, მართლაც, კარგი თანამედროვე სკოლა გახლდათ შესაბამისი აღჭურვილობით. იქ სახელოსნოებიც იყო: სადურგლო, საკალატოზო, სამჭედლო, საამკინძაო. იქ პოდებრადელი ბავშვებიც დადიოდნენ და როდესაც სწავლა მთავრდებოდა, სახლში ბრუნდებოდნენ, მაშინ, როდესაც დანარჩენებს ნამდვილი საერთო საცხოვრებლის ცხოვრება ეწყებოდათ. იქ ბავშვების წარმოუდგენლად არაერთგვაროვანმა

ვაცლავ ჰაველი

ჯგუფმა მოიყარა თავი: ობლები, გამოჩენილი ბურჟუაზიული და კომუნისტური ოჯახების წარმომადგენლები. როდესაც არჩევნებში გაიმარჯვეს, კომუნისტებმაც დაიწყეს იქ თავისი შვილების გაშვება. ზოგი უპატრონო ბავშვი ომის ბოლოს მგლებივით ცხოვრობდა. ეს არ იყო მილოშ ფორმანის შემთხვევა, რომელიც, როგორც თვითონ ამბობდა, კარგად უზრუნველყვეს და რომელსაც მოუარეს ბიძებმა და უამრავმა სხვა ნათესავმა. იმ ბავშვებზე, რომლებიც ომის დროს ყაჩაღობდნენ, საღეჭი რეზინის შესახებ ყვებოდნენ, რომ: „თუ არ მისცემდი, დასაკეც დანას გაგიყრიდნენ და მორჩა“. სკოლის ხელმძღვანელობამ ეს საოცარი სოციალური სიტუაცია იმით გადაჭრა, რომ ძალიან მკაცრი რეჟიმი შემოიღო. ეს იყო რაღაც ომის მსგავსი, მაგრამ ძალიან მაღალ დონეზე. აქ გამოგზავნა პანი ჰავლოვამ უფროსი ვაჟიშვილი. მაშინ ათი წლისა იყო, საძინებელ ოთახში უმცროსკლასელებთან ერთად დაბინავდა. უმცროსი მოსწავლეების ყოველ ოთახს ერთი უფროსკლასელი მრჩეველი ჰყავდა და ვაშეკის ოთახში ეს თოთხმეტი წლის მილოშ ფორმანი იყო. „მე საშინლად გაბრაზებული ვიყავი“ – ყვებოდა ფორმანი, – რადგანაც, რა თქმა უნდა, ჩემს თანატოლ ბიჭებთან ერთად მერჩივნა ცხოვრება. თოთხმეტი წლის ბიჭები გაცილებით უფრო საინტერესო რამეებზე ლაპარაკობდნენ, ვიდრე ათი წლისანი, ასე რომ, მე ეგ ფუნქცია არ მიყვარდა. იმიტომ ავიღე საკუთარ თავზე, რომ ამას თავისი უპირატესობა ჰქონდა. იქ ყველაფერი ზედმიწევნით იყო ქულებით

შეფასებული. როდესაც ვინმეს აკადემიური მოსწრება 1,7-ზე მეტი ჰქონდა, მისთვის არ იყო სავალდებულო სწავლა, იგი არ უნდა მჯდარიყო სამეცადინო ოთახში გაკვეთილების შემდეგ და ისეთივე თავისუფალი ადამიანი იყო, როგორც პოდებრადელები. მაგაში მრჩევლის ფუნქცია, მოწესრიგებული კარადა და გასწორებული ლოგინიც ითვლებოდა. თავისუფალი რომ ყოფილიყავი, ან საუკეთესო უნდა ყოფილიყავი, ან ყველაზე უარესი.

„ – გახსოვს რამე ისეთი, რითიც მან სახელი გაითქვა ან განსხვავდებოდა იმ უამრავი ბიჭისაგან, რომლებიც ნერვებს გიშლიდნენ? – ორი შემთხვევა მახსენდება. პრინციპში, მას შემდეგ არც შეცვლილა. როდესაც ფეხბურთს თამაშობდნენ, თავში ჩაბეჭდილი ჰქონდა წარმოდგენა იმის შესახებ, რომ კარგი ფეხბურთელი ყოველთვის იქ არის, სადაც ბურთია. ასე რომ, სულ ბურთს დასდევდა და ათი წუთის შემდეგ ისე იღლებოდა, რომ წამოსაწოლად მიდიოდა, რადგან უკვე სულ მოთავებული იყო ხოლმე. – მაგრამ მას დიდ დისტანციაზე შეუძლია სირბილი და ტაქტიკურია,– შევეკამათე მე. – იმ ბურთს სულ დასდევდა. – დაასრულა მილოშმა. – კიდევ მახსოვს, როგორ ვიშოვეთ ველოსიპედი და დავიწყეთ მართვის სწავლა. სახელოსნოს უფროსმა მიგვიყვანა პირველ ჭიშკართან და უბრალოდ შეგვსვა ველოსიპედზე. ჭიშკრიდან გავდიოდით, ირჟი პოდებრადელის ძეგლს წრეს ვარტყამდით და უკან, ჭიშკართან ვბრუნდებოდით. ყველა ასე მოიქცა, ვაშეკის გარდა. შევსვით ველოსიპედზე და ხელი ვკარით. ვაშეკი მიდის,ჩვენ ველოდებით და უეცრად ვხედავთ, რომ ირჟის ძეგლთან წრე კი არ დაარტყა, არამედ სულ პირდაპირ ნიმბურკისკენ მიდის. ბრიყვებივით მივაშტერდით,ავტეხეთ ღრიალი:– პან პროფესორო,პან პროფესორო, ჰაველი გარბის! მოვიდა არაჩვეულებრივი პროფესორი,ბატონი გუდურა, "ხოო, ამბობს, გარბის,მაშ მე მოტოციკლეტით დავედევნები. ოღონდ ეს მაშინვე არ მომხდარა. ჯერ პან პროფესორს გამაშები უნდა ჩაეცვა, ჩაოეფხატა ტყავის კაპიუშონი, უნდა აეღო ხელთათმანები, გაეკეთებინა მოტოციკლეტის სათვალეები, ანუ, ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ჯერ არს და მაშინღა წავიდა. ჰაველს სადღაც ნიმბურკში ჩაავლო ხელი. გაარკვია, რომ ვაშეკი კი არ გარბოდა, არამედ მოხვევისა ეშინოდა და გაჩერება არ იცოდა. ვინაიდან შედარებით დაბალი იყო, ფეხებით მიწას ვერ სწვდებოდა და ამიტომ ვერ დაამუხრუჭა. არ იცოდა რა ექნა და ამიტომ მიდიოდა და მიდიოდა. ... და პროფესორი რომ არ დასწეოდა, ალბათ საბჭოთა კავშირამდე ჩავიდოდა". ვაცლავ ჰაველმა პოდებრადში სულ სამი წელი გაატარა, ივან ჰაველი ორი წლით გვიან მოვიდა. პატარა იყო და ფორმანს იგი არ აინტერესებდა. იქ ცოტა ხანი – 1940-1950 წლები დაჰყო. 1948 წლის ღირსშესანიშნავ თებერვალში მოწაფეები მთაში იყვნენ – „ბუნების სკოლაში" – მლადე ბოლესლავში პრაჰის მატარებლის მოსვლას ელოდებოდნენ, რომელიც კოლინის და პოდებრადის მიმართულებით მიდიოდა და იქ მოისმინეს სადგურის რეპროდუქტორიდან კლემენტ გოტვალდის გამოსვლა. მილოში საინტერესო რაღაცას დააკვირდა: მათ კლასში, ე.ი. ოცდათორმეტწლიანების ოთხმოცდაათი პროცენტი დარწმუნებული იყო, რომ ეს თაღლითობა იყო. უფროსმა ბიჭებმა, ოცდათერთმეტწლიანებმა დაიწყეს ლოზუნგების დამარცვლა და მაშინვე ჩაეწერნენ ახალგაზრდულ მშენებლობებზე. ფორმანი ამტკიცებს, რომ ოცდათერთმეტწლიანებსა და ოცდათორმეტწლიანელთა თაობას შორის მთელი უფსკრულია...

ჩეხურიდან თარგმნა მაია ნაჭყებიამ

მაყვალა
ბეჰმანოზაშვილი

# „ვიცი, მეც მელის არაგვის ბედი“...



*„აქ ყოველივე ისე ნაზია, ისე ფაქიზი,*
*აქ ცხოვრებაა თვით პოეზია*
*და მხოლოდ უფლის ფუნჯის ხმა ისმის“...*
**ზურაბ ჯაფარიძე**

ზურაბ ჯაფარიძე თავად იყო პოეზია თავისი შინაგანი სიწმინდით, მისი მოქმედი სული ხომ უფლის ფუნჯის მონასმისკენ იყო მიპყრობილი. ჩვენ კი, მის სიახლოვეს მყოფნი, ზურას ასეთ თვისებას უცნაურობას მივაწერდით. უცნაურობას ვამბობ, რადგან ვერ ვაცნობიერებდით მიზეზთა მიზეზს.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა არც თუ ისე იოლი იყო, მითუმეტეს, ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. იმ პერიოდში ყველა სასწავლებელს ჰქონდა მოსამზადებელი განყოფილება, სადაც შეგვეძლო შრომითი წარმატებებისა და გამოცდების ჩაბარების საფუძველზე მსმენელები გავმხდარიყავით. სწორედ ფილოლოგიურ ფაკულტეტზე მოვხვდით ერთად.

მახსოვს, ქართული ენისა და ლიტერატურის ლექტორმა, ქალბატონმა ცირამ გაცნობის შემდეგ მოგვმართა, საგანში ვის რა გვიჭირდა, რათა იმ საკითხებზე გაემახვილებინა ყურადღება.

ზურა დიდი ბოდიშის მოხდით წამოდგა ფეხზე და ბავშვური გულწრფელობით უთხრა..

– ქალბატონო ცირა, მე სასვენი ნიშნების დასმა მიჭირს, თუ შეიძლება ამის გამოსწორებაო.

იმ წუთში ზურას ნათქვამმა როგორც მე, ისე სხვები გაგვაოცა, თუმცა ხმამაღლა არაფერი გვითქვამს.

რა ვიცოდით, რომ სასვენი ნიშნები ზურასათვის ყოველი სიტყვის შემდეგ იყო დასაწერი, მისი თითოეული სიტყვა ხომ წინადადება იყო, ყოველი სიტყვა ხომ უფლის საძიებელი.

ერთი წლის შემდეგ მისაღები გამოცდები ჩავაბარეთ და სტუდენტებიც გავხდით.

ქართულ ენას პირველი კურსიდან გვასწავლიდა ჩვენი ფაკულტეტის დეკანი, ბატონი ჭოლა თევზაძე, აკაკი შანიძის ყოფილი სტუდენტი და ასპირანტი. დიდად საპატივცემულო ადამიანი, რომლის მიმართაც სტუდენტებს სიყვარული, რიდი და შიშიც გვქონდა.

პირველი და მეორე ლექცია ქართულ ენაში დილიდან გვეწყებოდა, ბატონი ჭოლა ვერ იტანდა ლექციის გაცდენას ან დაგვიანებას. მე, თქვენი მონა–მორჩილი, ორი პატარა შვილის დედა, თემქიდან დავდიოდი ვაკეში, სამი ტრანსპორტის გამოცვლა მჭირდებოდა, არასოდეს ვაგვიანებდი, შენიშვნა რომ არ მიმეღო.

ზურას, იქვე ინსტიტუტთან ახლოს, ჰქონდა ნაქირავები ბინა, ხშირად აგვიანებდა და ბატონი ჭოლასაგან შენიშვნებსაც იღებდა.

ერთხელ პირველი ლექცია ახალი გამოსული იყო, დასვენებაზე აუდიტორიაში შემოვიდა ზურა. დაიწყო მეორე ლექცია. ბატონმა ჭოლამ შეამჩნია, რომ პირველ ლექციაზე არ იყო.

– რატომ არ იყავიო?

საოცარი იყო ზურას გამოხედვა

– პატივცემულო, დღეს მოგონა ადრე მოვედი, ზარის დარეკვამდე, თურმე მეორე ლექცია დაწყებულაო.

ბატონ ჭოლას გაეღიმა, მხარზე ხელი დაადო და უთხრა.

– ჩემო ზურაბ, შენ გეპატიება! შემდეგ ჩვენ მოგვიბრენდა და მოგვმართა:

– თქვენ კი–არაო.

სამაგიეროდ, ზურას მოჰქონდა ღამენათევი სტრიქონები, უპეებჩამუქებული ისე კითხულობდა, თითქოს სიტყვათა გახედნაზე ღამე არ დასთენებოდეს. ეს სტრიქონები და ლექსები შემდეგ ყველას საკუთრება ხდებოდა, ზურას პოეზიის თაყვანისმცემლები არამარტო ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტები ვიყავით, უნივერსიტეტელები დიდად აფასებდნენ ზურას ნიჭს და გვეცილებოდნენ კედეც, ზურა უნივერსიტეტელია, ჩვენიაო.

რა ვიცოდით, რომ ზურა ყველასი იყო, ქვეყნის ღირსეული მამულიშვილი მშობელი ერის ტკივილებით გულატკივილებული.

მისი ლექსი „არაგვს“ გამორჩეულად მოგვწონდა. ლექსს რომ ჩავუკვირდებოდი, ერთდროულად დიდი სულიერი ძალაც მოდიოდა და დიდი სევდაც. მიკვირდა და ვერ ამეხსნა ეს სტრიქონები:

„ვიცი, მეც მელის არაგვის ბედი,
და თაობები ლექსს გახედნიან,
რა არის ერთი პოეტის სისხლი,
საუკუნენი როცა კვდებიან“...

ვამბობ, მიკვირდა - მეთქი, დღეს უკვე ვხვდები, რომ ეს წინასწარმეტყველური ლექსი იყო.

– მართლაც, არაგვის ნაპირას, ლოდს ჩაჭიდებული თოვლის დნობასას გიპოვეს, ჩემო შეუცნობელო ადამიანო! ეჭვი აღარ მეპარება ამ სტრიქონების კითხვისას. „თოვლის როიალის“ დასასრული მახსენდება, როდესაც ზურას ტრაგედიის შემზარავ სურათს წარმოვიდგენ:

... „ის კი იქ, მიწის უძირო და სუნთქვის არეში,
ჩაჭედილია როიალი თოვლის კლავიშით“...

ზურას ყველა ლექსი ზეპირად ვიცოდით, მასთან საუბარს ლექსებით ვიწყებდით, ჩვენი დიალოგი, პოეზიის სასწაულები, დაუვიწყარი წუთები მეხსიერებაში მარადიულობის ნაწილებად შემოგვრჩა.

ქართულ მწერობასთან ერთად ინსტიტიტში საზღვარგარეთის ლიტერატურასაც ვსწავლობდით, რომელსაც გვიკითხავდა, რესპრესიებს შემთხვევით გადარჩენილი და შემდეგ გასული საუკუნის 30–იანი წლებიდან მოყოლებული ჩვენი მწერლობის მემატიანე, ბატონი აკაკი გაწერელია. უსაყვარლესი ადამიანი თავისი წარსულით, ცხოვრებითა და მოღვაწეობით. კომუნისტური წყობით უკმაყოფილო ყველას ვერ ენდობოდა. ამიტომ ვისაც სანდო სტუდენტად მიიჩნევდა, მათ უმხელდა გულისტკივილს. ბედმა მარგუნა, რომ ზურასთან და რამდენიმე კურსელთან ერთად მეც ყურადღებით მომესმინა, რა ხდებოდა ავად სახსენებელ დროს მწერალთა კავშირში. როგორ იწირებოდნენ ჭეშმარიტი შემოქმედი მამულიშვილნი.

დაინტერესებული სტუდენტებისთვის აკაკი გაწერელიას მოჰქონდა ოჯახის ალბომიდან ფოტოები, გვაცნობდა მასთნ ერთად გადაღებულ ცისფერყანწელებს. მოგვითხრობდა თითოეული მწერლის საბედისწერო ცხოვრებასა თუ მოღვაწეობაზე. განსაკუთრებით უყვარდა ემიგრაციაში მყოფ გრიგოლ რობაქიძეზე საუბარი. მას ქართული სულის ევროპულად მოაზროვნე არისტოკრატს უწოდებდა. მოგვითხრობდა ტიციანზე, პაოლო იაშვილის უცნაურ სიკვდილზე, მიხეილ ჯავახიშვილთან გატარებულ დროსა და ურთიერთობაზე.

აკაკი გაწერელიას საოცარი თვისება ჰქონდა. თხრობის დროს სტუდენტებს რომ შეგვამჩნევდა ამბის გამო დამძიმებას, უცებ ისეთი ეპიზოდით შეცვლიდა საუბარს, ღიმილს მოგვგვრიდა, რომელსაც შემდეგ მაინც ცრემლი მოსდევდა. ასეთი იყო მიხეილ ჯავახიშვილთან ქაღალდის თამაშის დროს, როგორ დაუმალა აკაკი გაწერელიამ კარტი. სწორედ იმ დროს მიაკითხეს მიხეილ ჯავახიშვილს დასაჭერად. როგორი თავგანწირულობა გამოიჩინა აკაკი გაწერელიამ მის გადასარჩენად, მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა.

ჩვენი უსაყვარლესი ლექტორის, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, ჩვენი სულიერი მეგობრის მონათხრობი ზურას ერთ პატარა ლექსში აიკინძა, ვამბობ, პატარა ლექსში, მაგრამ დიდი სევდის და ტკივილის დამტევ ლექსში. ზურამ მაშინვე დაწერა ერთ ფურცელზე. შემდეგ მეგობრებმა მოაკითხეს და აუდიტორიიდან ისე გავიდა, ეს ფურცელი არც გახსენებია

დავხედე ქაღალდს, რომელშიც ყველაფერი არეკლილიყო, რაც მოგვესმინა, რა თქმა უნდა, ეს ლექსი შევინახე.

ლექცია უნდა დაწყებულიყო. გავიგეთ, იმ დღეს აკაკი გაწერელიას დაბადების დღე ჰქონდა. ზურაც იქ იყო, ყველა ჯიბე მოიჩხრიკა, რაღაცას ეძებდა. მივხვდი, იმ ლექსს ეძებდა, რომელიც აუდიტორიაში დარჩა. ამოვიღე კონსპექტიდან და მივეცი. ვერ წარმოიდგენთ, როგორი გაბრწყინებული თვალებით მითხრა: შენ მართლა გადაარჩინე ეს ლექსიო.

აკაკი გაწერელიას ლეაქცია იმ დღეს ზურას ლექსით დაიწყო, დიდი სიყვარულით წაუკითხა და მთელი ჯგუფის სახელით მიულოცა.

,,მთვარისფერ ულაყს მიაქროლებ, სიბნელეს ებრძვი,
შავ ჩოხას გაცმევს პონტოს ზვირთი, როცა ღამდება
მოჰგავხართ შამილს, თუმცა ძარღვებს, სისხლი კოლხური,
რომ ვერ დაიტევს, პერგამენტებზე ახმიანდება.
ეჰ, ტიციანი ყაჩაღებმა მოჰკლეს არაგვზე,
პაოლოს სიკვდილი, ჟრუანტელი მწერალთა სახლის....
ტირით მეგობართ, სტუდენტებთან სწუხართ ამაზე,
ჯავახიშვილთან მოპარული რომ დაგრჩათ კარტი...
თქვენ წიწამურის ტყვიის სუნი დღესაც გაციებთ,
გტკივათ დღეები, უსაზღვროა დღეთა ტკივილი...''

მახსოვს, მეხისტეხა იყო ჩვენთვის ზურას დედის გარდაცვალების ამბავი. როგორ ცდილობდა, თავისი წუხილი ვინმეს არ შეემჩნია. ჩვეული იუმორით ჩაგვერთვებოდა საუბარში, გულში კი როგორი დაუტეველი ტკივილი ჰქონდა. ზურას მესაიდუმლე თეთრი ღამე და თეთრი ფურცელი იყო, შემდეგ ლექსად გარდაქმნილი. სამსტროფიანი ლექსი მიუძღვნა გარდაცვლილ დედას, როგორი სევდა, სულის სიწმინდე, სიფაქიზე, დედაშვილური სიყვარული ჩააქსოვა. მშვენიერი სულიდან როგორ გადმოიღვარა ეს სევდა და ტკივილიანად დაეწერა ფურცელს.

,,ღამე ნაზად მონანავე ცაცხვზე წვება,
მთვარის შუქი უხმოდ მიდის ზართან,
სოფლის გზაზე აღარავინ მელოდება...
დედაჩემის სასაფლაოს გარდა,
იქ წევს ჩემი გაყინული სიყვარული,
და წარსულში აცრემლდება დარდად,
საფიცარი აწი არვინ მეყოლება,
დედაჩემის სასაფლაოს გარდა,
ღამე ნაზად მონანავე ცაცხვზე წვება,
მთვარის შუქი უხმოდ მიდის ზართან,
სოფლის გზაზე აღარავინ მელოდება,
დედაჩემის სასაფლაოს გარდა.''

სტუდენტებისთვის სანუკვარ მოლოდინს სტიპენდია წარმოადგენდა. მთელი თვე ველოდით, რომ ერთ დღეს დაგვეხარჯა. ერთ-ერთ ასეთ სანუკვარ დღეს ჩემს მეგობრებს მოეთათბირებინათ, რომ თავს დამსხმოდნენ. ამ სტუდენტებში ზურაც იყო. ბედნიერი ვარ, რომ ვიხსენებ იმ დღეს, ჩემს ოჯახში, მაგიდასთან როგორ ახმიანდა ჩვენი პოეტის ლექსები, ზურას ლექსებთან ერთად ტერენტი გრანელის პოეზია. ზურა და გრანელი ხომ განუყოფელნი იყვნენ.

უნდა აღვნიშნო, რომ ზურას არანაირი მუსიკალური განათლება არ ჰქონდა, მაგრამ როიალს რომ მიუჯდებოდა და ,,მთვარის სონეტას'' ასრულებდა, სულგანაბულები ვუსმენდით, თავი კონსერვატორიაში გვეგონა, ისეთი გრძნობით ასრულებდა ამ ნაწარმოებს, თვითონაც კომპოზიციის გმირად წარმოგვედგინა და ჩვენც იმ საოცარი ჟღერადობის ნაწილებად გადაგვაქცევდა.

იმ დღეს ჩემს ოჯახში მოჰფინა ზურამ ,,მთვარის სონეტა''...

თანაკურსელებთან: ნანა ჩუბინიძესთან, რუსუდან ბეთხოშვილთან, ნელი გაგნიძესთან, ელენე ქვათაძესთან, ზოია ბუბუტეიშვილთან, ცირა ბარბაქაძესთან ერთად ზურა უფრო გახსნილი იყო. იმ დღეს ჩემთან სტუმრად იყო ჩამოსული ჩემი დეიდაშვილი ეკა. რომ გავისტუმრე პოეზიის სიყვარულით გულანთებული მეგობრები, აი, რა მითხრა

– რა ბედნიერი ხარ, ასეთ ადამიანებთან რომ გიწევს ყოფნა, სიმართლე გითხრა, აღარ მინდოდა წასულიყვნენ, სული და გული წაიყოლესო!

მესამე კურსზე რომ გადავედით, ზურას მოუწია ჯარში წასვლა. ჩვენს წუხილს საზღვარი არ ჰქონდა. ვერ წარმოგვედგინა ზურას გარეშე ჩვენი კურსი. გაიწვიეს სამხედროში, რუსეთში, ირკუტსკის ოლქში და გაჩნდა „ჯარისკაცის უბის წიგნაკიდან“:

„კვარაციხევ, შენი მეციხოვნობა არ დამაცალა ბედმა ტიალმა....“
„ჭეშმარიტ ხელოვანს ვერ მოისყიდის საწუთრო,
როგორც ვერაფერი მოისყიდის სიკვდილს.“
გაჩნდა მეოცე საუკუნის მამლუქების სევდით დაწერილი ლექსი:
„სპათა სიმცირეს მოსტიროდა მეფე ერეკლე,
სიმცირის გამო წაგვიბილწეს ციხე–ბურჯები,
პატტაპკის ტყეში მოაბიჯებს ჩვენი თაობა,
თაობა ორ წლით გაყიდული მამელუქების,
ო, გვაპატიე, ეს ღალატი ბირთვისო, გრემო,
გვიან შობილებს ჟამთა სვლაში მყოფთ ცოცხალ–მკვდარად,
გასცა ბრძანება კომისარმა, ციმბირი. ჯარი!
ვწუხ, კომისარი ერისთავი რომ იყო გვარად.
ეხსენებინა იმ დალოცვილს ისევ დიდგორი,
ან დარიალი, ანდა ჩვენი „მაღლა მთას მოდგმა,“
მივდივართ, მინუს ორმოცდაათს გვპირდება ყინვა,
ქუხს ბუჩიანი და გინებით მიუძღვის „როტას“...
სპათა სიმცირეს მისტიროდა მეფე ერეკლე,
სიმცირის გამო წაგვიბილწეს ციხე–ბურჯები,
პატტაპკის ტყეში მოაბიჯებს ჩვენი თაობა,
თაობა ორ წლით გაყიდული მამელუქების“.

სამხედროდან დაბრუნებული ზურა უნივერსიტეტელებმა წაგვართვეს, იქ განაგრძო სწავლა, მიუხედავად ამისა, ზურა ჩვენთან იყო, არ გვივიწყებდა.

დამთავრდა სტუდენტობა და ჩვენი შეხვედრები სამსახურმა, ოჯახმა ჩაანაცვლა. მე სკოლაში დავიწყე მუშაობა. იმ დროს პიონერხელმძღვანელი სკოლაში მასობრივი მუშაობის ორგანიზატორმა შეცვალა. ახალგაზრდა გოგონა ცირა გოგუაძე წარმართავდა ამ საქმეს. ერთხელ სამასწავლებლოში გვითხრა: ერთი პოეტი უნდა მოვიწვიოო.

დადგა ეს ნანატრი დღეც და რას ვხედავ, 142–ე სკოლის სააქტო დარბაზში სტუმრად ზურაბ ჯაფარიძე გვწვევია, მას მოჰყვა ჩვენი კურსელი ლელა სახლთხუციშვილი. საოცარი იყო ჩვენი შეხვედრა, არც ის მომელოდა იქ და მეც ბოლომდე არ ვიცოდი ვინ იყო მოწვეული სტუმრად. გავიხსენეთ ჩვენი სტუდენტობა. ზურა ხელდამშვენებული მოვიდა სკოლაში. ხელში ეჭირა ლექსების კრებული „თოვლის როიალი“.

მაგიდასთან რომ დავსხედით, ზურამ მომიბოდიშა, ეს ერთი კრებული წამოვიღე, წარწერა უკვე გავუკეთე, რომ 142–ე სკოლას ვუსახსოვრებ, რომ მცოდნოდა, აქ დამხვდებოდი, აუცილებლად შენთვისაც წამოვიღებდიო. მაგრამ არა უშავს, როგორმე მოგაწვდენო.

რა თქმა უნდა, 142-ე სკოლის სამახსოვრო „თოვლის როიალი“ დღეს ჩემთან ინახება.

იმის შემდეგ კარგა ხანი გავიდა...

ბოლოს 1995 წლის სექტემბერი იქნებოდა, რადგან სწავლა ახალი დაწყებული იყო. მეტროსადგურის ექსკალატორზე ნაცნობი ხმა გავიგონე, მივიხედე და ჩვენი ზურაბ ჯაფარიძე იყო. მოვიკითხეთ ერთმანეთი, მაშინ მითხრა, რომ დაოჯახებულიყო, მარიამი ჰყავდა და მეორესაც ელოდებოდა. ორი–სამი მატარებელი გავუშვით, ვისაუბრეთ. გავიხსენეთ ჩვენი კურსელები, ვინ სად, როგორ მოეწყო, ვინ დაოჯახდა. ზურამ მითხრა, რედაქციაში ვმუშაობ, სამსახური მაქვსო.

სახეზე ეტყობოდა, რომ ბედის უკმაყოფილო არ იყო.

ის იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა.

1996 წლის გაზაფხულის ერთ მშვიდ დღეს დიდი შფოთი შემოიჭრა ჩემში და ჩემი ოჯახის წევრებში, მარტო ჩვენში კი არა, მთელს საქართველოში. ტელევიზორს ვუყურებდი,




უცებ ეკრანზე ზურაბ ჯაფარიძის პორტრეტი გამოჩნდა შავ ჩარჩოში, ერთდროულად მისი სახის გამოჩენა გამიხარდა, მაგრამ შავი ჩარჩო მეუცნაურა. დიქტორის საუბარი კარგად ვერ გავიგონე, ალბათ არ მინდოდა ცუდი რამ გამეგო. მაგრამ მოსახდენი თურმე მომხდარა. წინასწარმეტყველება აუცხადდა ზურას:

„ვიცი, მეც მელის არაგვის ბედი“...

დღესაც დიდია ტკივილი, ზურაბ ჯაფარიძეს რომ ვიხსენებ.

დიდბუნებოვანი ადამიანები ხომ უმეტეს შემთხვევაში ამ წუთისოფელში დიდხანს ვერ ცოცხლობენ. მაგრამ მათი წამიერი მოსვლა ამქვეყნად მარადიულობის კუთვნილება ხდება.

ზურას მოსვლაც ამქვეყნად მარადიულობის მატიანეში ჩაეწერა, იმ მატიანეში, რომელიც გაუხუნარია, არც დროს და არც სივრცეს არ ემორჩილება.

ზურა თავისი ცხოვრებით, შემოქმედებით, უმშვენიერესი ოჯახით ბედნიერია. ბედნიერია, ეს სიტყვა შემთხვევით არ მითქვამს.

ზურამ რუსთველისეული წმინდა სიყვარულით მოძებნა თავისი ნახევარი ქეთი დოლიძე, თავისი სულის ტოლი პოეტი, სევდის დედოფალი. მასთან ეყოლა მარიამი და ვაჟის მოლოდინში მყოფს მოუსწრო ზვავად მოვარდნილმა ტრაგედიამ.

დღეს, ზურას ტრაგიკული დაღუპვიდან 18 წლის შემდეგ, ვისმენ ქეთი დოლიძის საიუბილეო საღამოზე ლექსებს, რომლებშიც უსაზღვრო მონატრებაა მეორე ნახევრისა. ვხედავ მის თვალებანთებულ, თავისივე მოსახელე ვაჟკაცს – ზურას, რომელიც ძალიან ჰგავს მამას. და კვლავ ვიმეორებ, ბედნიერია ზურაბ ჯაფარიძე, რომ ასეთი ლამაზი ცხოვრებით იცხოვრა, უმშვენიერესი ოჯახი დაგვიტოვა, ერთგულების, სიწმინდის, პატივისცემის, ღირსების, თავმდაბლობის, მტკიცე სიყვარულის, მაღალი ზნეობის, უფალთან სიახლოვის მაგალითად.

7 იანვარს, ქრისტესშობას, ზურაბ ჯაფარიძის დაბადების დღეა. ვიცი, რომ ამ მილოცვას მისი სული მიიღებს ჩემგან. მის ოჯახს და მეგობრებს ვულოცავ ამ შესანიშნავ დღეს – ქრისტესშობას და ზურას მოვლინებას ამქვეყნად, სწორედ ქრისტესშობის დღესასწაულზე ჩვენში დატოვა მშვენიერი განცდა სევდისა, რომელშიც დიდი სულიერი სიმტკიცე ჩააბეჭდა და თავისი ცხოვრების თითოეული წუთი გასახსენებლად, დღესასწაულად დაგვიტოვა.

ლინა ბახათაშვილი

# თამარი – მეფე, პოეტი, ქალი...

თამარ მეფე საქართველოს სიამაყე და მშვენებაა. თამარი – „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმფლობელობით მპყრობელი“. თამარი დიდებული დავით აღმაშენებლის შვილთაშვილი, გიორგი მესამის ულამაზესი ასული, ძლევამოსილი სარდლის დავით სოსლანის თანამეცხედრე. თამარი – ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული. თამარი, უსათნოესი, ღარიბთა და გლახაკთა განმკითხავი. თამარი, ჰუმანური მეფე, საქართველოში სიკვდილით დასჯის ამკრძალავი.

კიდევ ბევრი ეპითეტის მოშველიება შეიძლება მეფე ქალის სახელის შესამკობად.

თავისი ძლევამოსილების, ქალური სათნოებისა და სილამაზის წყალობით, თამარ მეფე იყო ქართველ და უცხოელ პოეტთა მუზა. თამარს მიუძღვნა შავთელმა ოდები, მეფე ქალის სახოტბედ დაწერა ჩახრუხაძემ თამარიანი. თამარ მეფემ შთააგონა შოთა რუსთაველს „ვეფხისტყაოსანი“.

საქართველოში ყველაზე მეტი პოემა, ლექსი, ლეგენდა თამარისადმია მიძღვნილი. მისი სახე ცოცხლობს ქართულ ხალხურ პოეზიაში.

შემდეგმა საუკუნეებმაც დაბადეს თამარის მეხოტბეები. პოეტური წერილი უძღვნა მეფე ქალს აკაკი წერეთელმა. „ჩვენო ლამაზო დედაო“, – ასე მიმართა თავის ლექსში მას ვაჟა-ფშაველამ. „თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, – ასე დაასათაურა გრიგოლ ორბელიანმა მეფე ქალისადმი მიძღვნილი ლექსი.

მომავალშიც გაიზრდებიან თამარის მეხოტბეები, რადგან იგი ჩვენი იდეალია, იდეალი კი ძალიან სჭირდება ერს.

18 წლისამ დაიდგა სამეფო გვირგვინი, ეს ის წლებია, როცა ქალიშვილს სიყვარული ეძახის, გაზაფხული მინდვრის ყვავილების გვირგვინს ადგამს თავზე. მას კი ნამდვილი გვირგვინი დაადგეს... მართალია მისი სურვილის გარეშე, მაგრამ რას იზამ, სხვაგვარია მეფის ბედი. გამეფების დღიდან იგი საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა. მძიმე იყო სამეფო გვირგვინი 18 წლის თამარისთვის, მაგრამ უნდა გაეძლო, რადგან გვირგვინის უკან სათაყვანებელი საქართველო იდგა, რომელთან შედარებითაც ყველა მეფე, მათ შორის თამარიც პატარა ჩანდა, რადგან ძალიან მაღალია სამშობლო...

იშვიათი სიბრძნისა და მჭევრმეტყველების ნიმუშია სიტყვები, რომლებიც მეფედ კურთხევის დღეს წარმოთქვა თამარმა: – „ყოველივე ქვეყნიური აქვე დარჩება, არა არის აქ ჩემი სასაკუთრო და სამეფო ჩემი კუთვნილებაა თქვენივე. მე ამამაღლა განგებამ მისთვის, რომ თქვენდა საკეთილდღეოდ აღვამაღლო სამეფო. და განა შევძლებ მე ამას, უძლური დედაკაცი, თუ არა თქვენის დახმარებითა და თანამშრომლობით? პირველად თქვენ მოგმართავთ, მამაჩემის გაწვრთნილო მხედართმთავარნო და მეომარნო, მომეცით შეძლება, რომ პირველ ყოვლისა გავამაგრო სამეფო საზღვრები გარეშე მტრების მოსაგერიებლად. მერე მივყოფთ ხელს შინაგან გაწესრიგებას და თქვენ უნდა მიწინამძღვროთ, წმინდა მამებო, რადგანაც თქვენ, როგორც სასულიერო წოდებას, გაწევთ ორგვარი მოვალეობა, ხორციელი და სულიერი, რისთვისაც მოგელისთ ორკეცი მადლობა. აქ – მეფისა და იქ – ზეციური კურთხევა. ხოლო თქვენ, დიდებულნო და ერისთავნო, შემიწყვეთ ხელი, რომ მივცეთ გზა და განი სწავლას, შრომას და ნიჭს, რომელთა ქვაკუთხედად უნდა დაიდვას საერთო სიყვარული“.

ხიბლი თამარის პიროვნული და მეფური ძლიერებისა მის ფესვებში, გენშია საძიებელი. გზას კი, უპირველესად, მის დიდებულ წინაპართან – დავით აღმაშენებელთან მივყავართ.

დავითი – „მესიის მახვილი“.

დავით მეფე – საქართველოს განმათავისუფლებელი და გამაერთიანებელი. „უშიში ვითარცა უხორცო“.

დავითი – დიდი მწიგნობარი, დიდებული პოეტი, გენიალური „გალობანი სინანულისანის“ ავტორი. ასე მგონია, დიდებული დავთის სული დღესაც საქართველოს დასტრიალებს, წუხს, ღელავს სამშობლოს ბედზე, ვერ ისვენებს საფლავში, როცა საქართველოს უჭირს, კვლავ ხმალს ლესავს... უთუოდ ვერ ისვენებდა მაშინ, იმ ავად მოსახსენებელ დღეებში, როცა რუსთაველის გამზირზე, სამიზნეზე ორივე მხარეს ქართველი იდგა და საქართველო კვდებოდა... იტანჯებოდა, როცა სამაჩაბლოში ტყვიები ზუზუნებდა, როცა საქართველოს ჩამოაჭრეს აფხაზეთი – სხეულის ნაწილი. ბორგავდა რუსეთ-საქართველოს ომის დღეებში და გონიერებისკენ მოუწოდებდა ორივე მხარეს. დღესაც ვერ ისვენებს დიდებული მეფის სული, რადგან ვერ მოვუარეთ მის დატოვებულ საქართველოს, რომ ჩვენში ბევრმა დაივიწყა მოყვასის სიყვარული, ერი და ქვეყანა. სიტყვა კეთილდღეობა სამშობლოს მცნებას ჩამოაშორა და პირად „მე“-ს დაუკავშირა. მომრავლდნენ ჩვენში სავარძლების მაძიებლები. ძნელია დღეს სამშობლოსთვის თავდადებული უსავარძლო მსახურის პოვნა. თამარ მეფე დავით აღმაშენებლის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი იყო. იგი ზენაარმა მოავლინა დავითის დატოვებული საქართველოსთვის საპატრონოდ. უპატრონა კიდეც! მან, საქართველოს უძლეველმა მეფემ, გააბრწყინა საქართველო, მრავალი ბრძოლა მოიგო. ვარძიაში მეფე ქალმა ფეხშიშველმა დალოცა ბასიანის ბრძოლაში მიმავალი ლაშქარი. არ შეიძლება არ შეგძრას ყოველივე ამან, არ გიკარნახოს ლექსი... და აი, ბობოქრობს ჩემი პოეტური ფანტაზია:

„მკერდს კიდია ცას ვარძია,
ვით ლამაზ ქალს ყელს გიშერი,
ბასიანის გმირობისთვის ელავს
ხმალი პირშიშველი...
მშვენიერი, როგორც შველი,
დგას თამარი ფეხშიშველი,
ნაწამებო საქართველოვ,
თუ გიშველის, ის გიშველის!“

და აი, საუკუნეების მირაჟი ქრება, ვხედავ ოცნებაში თამარს, გმადლობ, უფალო, ამის ძალა რომ მომეცი. ვხედავ თამარს – დედას, ლაშა-გიორგისა და რუსუდანის მშობელს. გვირგვინოსანი თამარი ღვთისმშობელს ავედრებს მათ. სთხოვს, ზნეკეთილი და დღეკეთილი გაუზარდოს ისინი. გადია ძილისპირულად ფერად ზღაპრებს უქსოვს ლაშას და რუსუდანს. თეთრი შურით შურს მისი დედას. იმ ქალსაც შენატროდა, მის შვილებს მის ნაცვლად ძუძუს რომ აწოვებდა... ამ წუთებში დედა იმარჯვებს მეფეში... ნატრობს თამარი, სასახლის ნაცვლად, პატარა ქოხი ჰქონდეს, სადაც ყველაფერზე თვითონ იზრუნებს, ღამე შვილებს დააძინებს, თვითონვე გაუსწორებს საბანს, დააპურებს, დაბანს, მათ ფაფუკ ლოყებს არასდროს არ მოინატრებს...

იმდენად ძლიერია ხილვა, თითქოს მეფის ქალური დარდიც მესმის, საქვეყნო საქმეებზე ზრუნვა, შვილებთან ხშირად ყოფნის საშუალებას რომ არ გვაძლევს. აი, ამ ფიქრებით უახლოვდება მეფე-ქალი შვილების ოთახს. ბედნიერი გადია კვლავ მის შვილებთანაა. „სამალავიდან“ უცქერის მათ თამარი, მაგრამ დიდხანს ვეღარ ძლებს ასე. გადია გადის. თამარი ძლივს მარტოა შვილებთან. გალაღდნენ ლაშა და რუსუდანი. წამში გაუთამამდნენ დედას. სამეფო გვირგვინი მოხსნეს (მხოლოდ შვილებს თუ მისცემდა თამარი ამის უფლებას), ხან ერთი ცდილობს მოირგოს პატარა თავზე, ხან მეორე. ეტიტინებიან დედას. ბედნიერია თამარი. უეცრად მოკრძალებული ხმა მეფეს დარბაზობაზე უხმობს... თამარი მთლიანად მხოლოდ საქართველოს ეკუთვნოდა... სათნოება და სიკეთე აცისკროვნებდა მეფე ქალის სულს. თითქოს ვხედავ, მძიმე განცდებშია თამარი, უფალს სთხოვს, აპატიოს მამას – გიორგი მესამეს ცოდვა...

მეფემ მის წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილეები დასაჯა, მათ შორის იყო მისი ძმისშვილი დემნა ბატონიშვილი.

სასტიკად მოექცა ბიძა, მისი ბრძანებით თვალები დათხარეს და დაასაჭურისეს დემნა ბატონიშვილი. მას დიდხანს აღარ უცოცხლია. დემნას ხატება არ ასვენებს თამარს, ვფიქრობ, ჩემი პოეტური ხილვები ახლოს იქნება მეფე ქალის განცდებთან.

„და ბრწყინავს ტახტი სამეფო და საქართველო შენ აამაღლე და განწმინდე წმიდაო ღმერთო... მეწვევა ღამე და დღის ნათელი სიხარულს მიქრობს, დამესიზმრება, მოძმის სისხლში ვიხრჩობი თითქოს... სული კი ჩემი ბორგავს ამ დროს და ახსნას ითხოვს, ღამე მიყურებს დემნას დათხრილი თვალებით თითქოს: ვემუდარები, ტახტი შენი უფროა ძმაო... გაწამებული ცოდვებისგან ვბოორგავ და ვწვალობ. თვითონ დემნა კი სულგრძელობით კოშმარებს მიქრობს, და თან მარწმუნებს, საქართველოსთვის მე ვჯობდე თითქოს... გამეღვიძება... გადავმალავ ჩემს სევდას უთქმელს, და აღსარებას ვანდობ მხოლოდ მღვდელსა და ხუცესს. გავანდობ ამბავს ჩემგან ქმნილს და სხვებისთვის უთქმელს, ყველა დაღუპულს განურჩევლად სანთელს რომ ვუნთებ... ყველა სიცოცხლეს ჩაფერფლილს და კერის დანაკლისს, მდუღარე ცრემლის ფრქვევით ვუხდი ხშირად პარაკლისს. თან გლახაკთათვის საგანძურის ხშირად ვხსნი კარებს, და განძს ვარიგებ უშურველად ყოველ ცისმარე. სხვისი არავის, ხმა ჩამესმის ჩემი გოდების, როგორ ვნატრობდი საქართველო ჰგვანებოდა სახლს სათნოების“.

მამისგან განსხვავებით, თამარმა მშვიდობიანი გზით, სისხლის დაუღვრელად შემოირიგა მეამბოხეები. დიდი გონიერება გამოიჩინა მეფე ქალმა, როცა მათთან მოსალაპარაკებლად ორი უმშვენიერესი და ულამაზესი დიდგვაროვანი ქალბატონი – კრავაი ჯაყელი და ხუაშაქ ცოქალი გააგზავნა. იცოდა, ხმალზე უფრო ძლიერად ჭრის გონიერება და ქალური სათნოება. მემატიანე რატომღაც არაფერს გვეუბნება, რა უთხრეს ხსენებულმა მანდილოსნებმა მათ. თამარის დანაბარების გადმოსაცემად ისევ პოეტურ ხილვას მოვიშველიებ.

„ჩვენ დედები ვართ, ცოლები, დები, და უფლის ძალით, მოვალენი ვართ, ავაშოროთ საქართველოს ავბედით ქარი.. თუმცა მეფე ვარ, დიაცი ვარ. არ მინდა ფიცი, არ ვმალავ, მაკრთობს წვეთი დაღვრილი სისხლი, თქვენ კარგად უწყით, არს ქრისტე და არს ბარაბა, ქრისტეს გზა ვძებნოთ, რომ ბარაბას ვექცეთ გალავნად“.

უთუოდ ბრძნული, სათნოებით სავსე, ჭკვიანური იყო მათი ყოველი სიტყვა, რადგან ამ ქალბატონებმა ბრწყინვალედ შეასრულეს თავიანთი მისია, მეფეს მეამბოხეები შემოურიგეს. აქ ერთხელ კიდევ გაიმარჯვა თამარის სიბრძნემ! თამარ მეფე, ქართველ და უცხოელ პოეტთა მუზა თავადაც წერდა ლექსებს. პოეზიით ჰქონდა სული სავსე. ზოგჯერ მას, უძლეველ მეფესაც მოსწყინებოდა ამქვეყნიური ყოფითობა. ამ დროს ცისკენ მიიწევდა მისი ამაღლებული სული, პოეზიაში ნახულობდა შვებას და სიხარულს. ისევ ბობოქრობს ჩემი პოეტური ფანტაზია. თითქოს ჩამესმის მეფე-პოეტის ხმა პოეზიის მადლით გამთბარი.

„როცა მიწაზე მიჭირს გაძლება, ლექსებს მივყავარ ციურ ძალასთან. და უკვირთ ღრუბლებს წუხილი ჩემი, ცას კი – ცრემლები, ცასა ცათასა. მეფე მპყრობელი ზღვათა ხმელეთთა, დიდი საუნჯის, ძოწის ბადახშის, არავინ იცის, ყველაზე უფრო ლექსებში ვსახლობ, ლექსით გადავრჩი. რადგან სიკეთე დედამიწაზე უმზეოდ, უწყლოდ ბევრჯერ გადახმა, სულმა კი ლექსში ჩასახლებულმა სიყვარული ზღო ერთი ათასად. იყვნენ ქალაქნი, სრა სასახლენი, საწუთროს გზაზე მათგან რა დარჩა? ყველა წავიდა, ყველა მოისრა და საუკუნოდ ლექსი გადარჩა. როცა მიწაზე მიჭირს გაძლება, ლექსებს მივყავარ ცასა ცათასა“...

თამარის პოეზიას პატრიოტიზმი, მისი დედური საწყისი ასაზრდოებს. გული ძნელად იტევს დიდ სიხარულს. ვერც თამარის გული მოერია უთუოდ დედობის სიხარულს და ლექსად გადმოიღვარა. დიდი სინაზე და სიყვარული ჩააქსოვა იამბიკოში, ახალგაზრდა დედა დედობის საწყისს ღვთისმშობელს შეჰღაღადებს და ავედრებს თავის ყრმას – ლაშა-გიორგის.

„მე თამარ, მჩენი ტომთაგან დავითებრთაიდ,
თვისად შემამკე, მადიდე, ამამაღლე!
მეც ხელვყავ შემკობად ხატსა თქვენსა –
დედის ბითურთ, – და მეცა ბითურთ,
მფარვიდ!“

ჩვენამდე მოაღწია თამარის მეორე ლექსმა „ცასა ცათასა“. იგი ეძღვნება ქართველთა ძლევამოსილ გამარჯვებას შამქორის ომში. მტრის სრული განადგურების ნიშნად, თამარს ხალიფას დროშა გელათში, ხახულის ღვთისმშობლის წინაშე წარუგზავნია და ნადავლისთვის ეს ლექსიც დაურთავს. ხელნაწერებში კიდევ ოთხი იამბიკოა, რომელსაც თამარის სახელს უკავშირებენ. იქნებ ჟამთასვლის მსახვრალმა ხელმა მოსპო მეფე ქალის სხვა ლექსები, ან შემოსეული მტრის მიერ დანთებულმა ხანძარმა შთანთქა?

ძნელია ამ კითხვაზე პასუხი გაცემა. იქნებ ლიტერატურის მკვლევარებმა მოაგვარონ ოდესმე ეს საკითხი. დიახ, შესაძლებელია თამარის ბევრი ლექსი დაიკარგა, მაგრამ მეფე-ქალის სახელი საუკუნეებს შემორჩა, როგორც ქართლის მესია, მტრების რისხვა, მათ წინაშე დაუჩოქებელი, მეფე, რომელმაც აამაღლა და გააბრწყინა დავითის დატოვებული საქართველო. ეს კი მეფე-ქალისთვის არცთუ ისე ადვილი იყო. და ისევ ჩემი პოეტური ხილვა, თამარი შთამომავლობას მიმართავს, თითქოს ანგარიშს აბარებს. ერისა და ქვეყნის წინაშე თავის მოვალეობებზე დაფიქრებული მეფე, ყველა გამარჯვებასა და წარმატებას ქალურ საწყისს – დედობას უმადლის. ეს კი ასე წარმოვიდგინე, თითქოს მესმის კიდეც მეფის ხმა:

„შეხედეთ გვირგვინს, საზეიმო მეფის სამოსელს,მაგრამ თუ იცით, გულს ვიტევდი ფიქრებს რაოდენს! – ფიქრს სამამაცეს, ფიქრებს საღვთოს, ფიქრებს სამეფოს, მეუღლის დედის და ოჯახზე ფიქრებს საერთოდ... რა მძიმე იყო ჯვარი მეფის და თან დიაცის, ნაზის, სათნოსი, ტახტზე მჯდომის,თითქოს ზვიადის... იცოდა თუმცა აღზევება ტახტმა მაღალმა, მაგრამ მე უფრო ვმაღლდებოდი ხოლმე აკვანთან... და ასე დავრჩი მეფე ქალი ლეგენდად, ლექსად, რადგან ქალი და დედა ვიყავ უპირველესად“...

დიდხანს ველოლიავე მოწიწებით დიდებული მეფის სახელს, ბოლოს მაინც შევბედე და ოცნებით ჩემს პოემაში „თამარ“ ჩავასახლე. ასე შევთავაზე მკითხველს ჩემი პოეტური თვალით დანახული თამარი – მეფე, დედა, პოეტი. თუ ეს კადნიერებაა, მაპატიოს მისმა უკვდავმა სულმა. ყოვლივე კი დიდი სიყვარულით გავაკეთე. მინდოდა, მეფე ქალის მოკრძალებული მეხოტბე ვყოფილიყავი...

პოეზია

## თამარ შაიმელაშვილი

### სული ლილია...

მე რა ვიცოდი, თუ ლაჟვარდიდან
შენ მომიტანდი
ღვთისმშობლის ყვავილს,
გამოპარული ხარ სხვა ჟამიდან –
ჩამოთოვლილო ვედრებავ ღამის...
მე მოვდიოდი მწუხრის ნისლიდან,
შენს ნაფეხურებს ვეძებდი ქარში
და მზემდინარე ჩემი სისხლიდან
გულს აყვავებულ ლილიად გავშლი!
სული ლილია, შუქი ლილია –
ეს სასწაული სივრცეებს ერთვის...
ამ სიყვარულმა ვერ მოგილია –
თოვლის სარეცელს ვინახავ შენთვის!..

### დედა

ღამის ბინდიდან ვარსკვლავთა
ციმციმს უგზავნის ცისკარს...
დარდი ხატის წინ განქარდა,
დედა აკერებს წინდას...
თეთრი ვარდებით უნაზეს
გულში სიყვარულს სძინავს,
და შემოდგომის გულაბზე
ცრემლის კუნწულა ბრწყინავს...
ქარი ავდრიან მხარეში
შინდის ფოთლებით სწირავს,
მთვარე შოთია ღამეში
დედის ხელივით წმინდა...
შვილებზე მავედრებელი
ქვევრის სანთელი ბზინავს,
და სული ზეცის თანმდევი
სევდას უკემსავს წინდას...

**გიორგი ფიკლაურის ნამუშევრები**

ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები:
როზა ინანიშვილი, მაია გოთუა, გიული ჩქარეული,
ზურაბ ჯოხარიძე, ხათუნა ჩიტაძე.

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტებია:

ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22;
ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900

ფიქრია ყუშიტაშვილი —
„ბიძაჩემ ოთარას სიზმარი“

ჯემალ შონია —
„ეს ირემი ტყვიას უნდა
გადაურჩეს“

ნათია როსტიაშვილი —
„ქანგისფერი სამყურა“

მაია გოთუა —
„არმაზიდან სამთავროში“

ზურაბ ჯოხარიძის ახალი მოთხრობა

თენგიზ უთმელიძე —
ლატავრა ფოჩიანის
პორტრეტი

ივანე ჯაფარიძე —
„მშვიდობით, დიდებულო
ქალბატონო!“

მაია ცერცვაძე —
„ელისაბედ ერისთავის
მეშუარეებიდან“

ვასილ ბოსტაშვილის შემოქმედება

ედა კრისეოვა —
„ვაცლავ ჰაველი. ბიოგრაფია“

# ახალი — გახალულის ხნული